მმართველი პარტიის "რაიონული" პრობლემები A2
დიდი და პატარა ლიახვის ხეობები ქართულ დენს ელიან A4
მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 იანვარი, 2005 წელი. №10 (870)

ფასი 50 თეთრი

*სამართალი*

### რა ბედი ეწევა საკონსტიტუციო სასამართლოს



საინტერესოა, რა ადგილს დაიკავებს ახალი, რეფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო სახელისუფლებო სისტემაში მას შემდეგ, რაც იგი სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან გამოვა.

A7

იურიდიული ოფისი „ბაპი" და გაზეთი "24 საათი" ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

### "საკოლმეურნეო ბაზარი" პროფილს არ შეიცვლის



განახლებულ ბაზარში გარანტირებული ხარისხის ქართული პროდუქტი იგივე ფასად გაიყიდება.

A4

# რუსეთის "კეთილ" ზრახვებს საქართველოში "ვერ ხვდებიან"

გიორგი ასანიშვილი

ჭორი რომ ძველდება, მითად გადაიქცევა ხოლმე. ჰოდა, რუსებიც მათ მიერვე შექმნილი მითის ტყვეობაში არიან - საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში უკვე მერამდენედ წამოტივტივდა ერთხანს მივიწყებული "პანკისური საფრთხის" თემა.

რუსეთის დიპლომატიური უწყება "წუხს", რომ ბოლო პერიოდში ოფიციალური მოსკოვი რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადა ამ პრობლემისადმი საქართველოს ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას.

მეტიც, საელჩოს მტკიცებით, რუსული მხარის მიერ ქართველებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში, თურმე, კონკრეტულად ყოფილა მითითებული პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ბოევიკებისა და ტერორისტების ადგილსამყოფელი და მათი სავარაუდო რაოდენობა - 250-300 კაცი. მაგრამ რად გინდა: **"დამატებითი ქმედითი ზომების მიღების ნაცვლად, ქართული მხარე მხოლოდ იმის განცხადებით შემოიფარგლა, რომ პანკისის ხეობა ტერორისტებისგან თავისუფალია,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთის დიპლომატიურ უწყებას არაფრად მიაჩნია ის ფაქტი, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტებისა და ბოევიკების ყოფნას კატეგორიულად უარყოფენ უცხოელი, მათ შორის, რუსი დამკვირვებლები. როგორც "ირკვევა", გაქნილი ჩეჩნები ბედოვლათ დამკვირვებლებს სულ იოლად აბითურებდნენ.

**"ჩვენ გაგვაჩნია სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დამკვირვებლების სტუმრობის დროს ბოევიკები იქსაქსებოდნენ, მათი ვიზიტების დასრულების შემდეგ კი კვლავ ბრუნდებოდნენ ხეობის სოფლებში,"** - "მწარე სიმართლეს პირში გვახლის" რუსეთის საელჩო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პანკისური ექო

## ჩეჩენი ლტოლვილები საქართველოს ხელისუფლებას სიფხიზლისკენ მოუწოდებენ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*საქართველოში, რუსეთის საელჩოს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებას, იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობას სამასამდე ჩეჩენი ბოევიკი აფარებს თავს, ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილებიც გამოეხმაურნენ. ისინი საქართველოს ხელისუფლებას ფხიზლად ყოფნას ურჩევენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინვე, მოგვიანებით, საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმაც.*

რუსეთ-საქართველოს დაუსრულებელი ინფორმაციული ომი პანკისის ირგვლივ არ ცხრება. გუშინ, საქართველოში, რუსეთის საელჩოს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება, ხეობაში ბოევიკების არსებობის შესახებ, პანკისში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა გააპროტესტეს. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არ სურს. გარდა ამისა, ხეობაში მცხოვრები ჩეჩნები, რუსეთის ისტერიას ხეობაში "ბოევიკების" არსებობის შესახებ იმით ხსნიან, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პანკისში, ლტოლვილებთან

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ანთემმა" სახლი საქართველოში იპოვა B1

*კელიმ "ვარდების რევოლუციის" წინასწარმეტყველება შექმნა, რომელსაც უწოდა "ანთემი" (ჰიმნი). ნახატზე გადმოცემულია, თუ როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ადამიანები იარაღითა და ვარდით და როგორ გადაიქცევა ეს დაპირისპირება სიყვარულად. კელის ეს ნამუშევარი "ჰუმანისტური ხელოვნების არქივშია" შესული. მალე გამოჩენილი მხატვარი თბილისს ეწვევა.*



# იძულებითი ქველმოქმედება

ნინო გომართელი

*ვინ ეხმარება საქართველოს მთავრობას საჯარო მოსამსახურეების ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფაში და ვინ რიცხავს კოლოსალურ თანხებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების და რეფორმების ფონდში? სია, რომელიც საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს.*

2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების და რეფორმების ფონდის" შექმნის შესახებ. ფონდის მიზანია, მთავრობას დაეხმაროს საჯარო მოსამსახურეების ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფაში. ხალხში ამ ფონდს "სოროსის ფონდს" უწოდებენ, ანაზღაურებას კი, რომელსაც ამ ფონდიდან იღებენ - სოროსის ხელფასს. რეალურად კი, ჯორჯ სოროსის მიერ გაღებული თანხა ამ ფონდში დაახლოებით 1 მილიონ დოლარს შეადგენს. ბევრად უფრო საინტერესოა ის წყაროები, რომლებმაც ფონდიდან შარშან გაწეული დაახლოებით 16 მილიონი ხარჯი დააფინანსეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

## წარსული, აწმყო, მომავალი

წერილი მესამე

იგორ კვესელავა

### აფხაზეთი რუსეთ-ამერიკის პოლიტიკურ არეალში

აფხაზეთის საკითხის რუსულ-ამერიკული ხედვა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საერთაშორისო რეზონანსი და ამ პრობლემის რუსეთისა და აშშ-ს ინტერესთა სფეროში მოქცევა დიდი ხანია, სვამს კითხვას, - არიან ეს სახელმწიფოები მზად ქართულ-აფხაზური საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად?

კრემლი შიშობს, რომ ტერიტორიააღდგენილი საქართველო მთლიანად აღმოჩნდება დასავლეთის გავლენის ქვეშ, რაც სერიოზულ დარტყმას მიაყენებს კრემლის მიზნებს და დააჩქარებს კავკასიიდან რუსეთის განდევნას.

თავის მხრივ, არც ვაშინგტონი ჩქარობს საკითხის გადაწყვეტას იმ მოტივით, რომ სასურველია, საქართველოში კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ანტირუსული განწყობილება, რაც, სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით მისაღებია ამერიკელებისათვის კავკასიაში.

გაგრძელება A8 გვერდზე

*ამინდი*

| | 18/1 | 19/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 7 |
| ქუთაისი | 11 | 11 |
| ბათუმი | 14 | 14 |
| სოხუმი | 11 | 11 |
| ფოთი | 13 | 13 |
| თელავი | 5 | 6 |
| ზუგდიდი | 12 | 12 |
| გორი | 2 | 4 |
| ახმეტა | 5 | 6 |
| ჭიათურა | 6 | 7 |
| გაგრა | 9 | 8 |
| სამტრედია | 11 | 12 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.3790 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3957 |
| რუბლი | 0.0649 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.



A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# "გოლიათთა" შერკინება

*საპრივატიზაციო დოლი საფინიშო სწორზე გავიდა. დღეს საქართველოს ხელისუფლებამ, წინასწარი შეპირების შესაბამისად, გამარჯვებულების ვინაობა უნდა გამოაცხადოს. ყოველ შემთხვევაში, დღეს სატენდერო კომისია წინასწარ შედეგებს გააჟღერებს.*

თამარ ხორბალაძე

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის შესყიდვის ირგვლივ ვნებები გუშინ ისე გახურდა, საქართველოში თითქმის დაავიწყდათ, რომ ამ პაკეტის გარდა დღეს "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" ბედიც წყდება. ჩანს, სანაოსნოს ბედი გუშინ უკვე გადაწყვეტილი იყო - ვერ გეტყვით, ზუსტად ვის სასარგებლოდ, თუმცა ფაქტია, რომ გუშინ სანაოსნოს დასათვალიერებლად ბათუმში ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლები ჩავიდნენ. ცხადია, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, რომ მაგალითად დანიურ "Greenoak Group"-ის წარმომადგენელს იან ნილსენს სანაოსნოს გასაცნობად დამატებითი ვიზიტები ბათუმში აღარ ჭირდება.

შეგახსენებთ "საქართველოს საოკეანო სანაოსნო"-ზე შეტანილი განაცხადების ავტორთა ნუსხას: დანიური "Greenoak Group", ავსტრიული "ASP-SHIP Managment", ბრიტანული "Marin kapital", გერმანული "shellor-ship Managment", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაცილებით ხმაურიანი აღმოჩნდა "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის ტენდერი, სადაც, პრაქტიკულად, გოლიათთა შერკინება გაიმართა. როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქციათა პაკეტის მოპოვებას უკრაინული "Интерпаип", ავსტრიული "DCM-ფერო", ჩეხური "მორავაია ჯორჯია" და რუსული "Евразия Холдинг" ცდილობდა. ჩეხური კომპანია თავიდანვე აუტსაიდერთა რიცხვში ჩაეწერა. როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგა ამ პაკეტის ყიდვის შანსი "DCM-ფერო"-მაც, რომლის წარმომადგენელი გიგა ბედინეიშვილი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში "Евразия Холдинг"-ის მფლობელთან ბორის აბრამოვთან ერთად გამოჩნდა. პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ კომპანია "Евразия Холдинг" თავად "ფეროს" ყიდვასაც გეგმავს.

ჯერჯერობით არ სახელდება ის ფასი, რომლის გადახდის წინადადებაც თბილისში სპეც-ვიზიტით ჩამოსულმა აბრამოვმა გუშინ საღამოს პრემიერთან შეხვედრაზე გააჟღერა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თავდაპირველი წინადადება 101 მილიონი გახლდათ და დღეს კი, თავად პრემიერის განცხადებით, ახალი ფასი 117 მილიონს აღემატება. ცნობილია ისიც, რომ აბრამოვთან მოლაპარაკების პერიოდში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია პრეზიდენტთან სალაპარაკოდ ავიდა.

ცხადია, აბრამოვი, რომელმაც "Интерпаип"-თან ბრძოლა უკრაინაში "კრივოროჟსტალისთვის" ერთხელ უკვე წააგო, საქართველოში საკმაოდ სერიოზულად არის განწყობილი: **"მე არ გამიგია ასეთი კომპანია,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა აბრამოვმა ჟურნალისტის კითხვაზე "Интерпаип"-თან კონკურენციის შესახებ.

იმ დროს, როცა "Евразия Холдинг"-ის წარმომადგენელი საქართველოს კანცელარიაში მართავდა შეხვედრებს, კომპანია "Интерпаип"-ის წარმომადგენელი ქართულ მედიას კიდევ ერთხელ უდასტურებდა "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" კასკადის შესყიდვის სურვილს და ამბობდა, რომ კომპანიამ საქართველოს ხელისუფლების შენიშვნები გაითვალისწინა და წინადადება გააუმჯობესა.

კომპანიების წინადადებათა შინაარსი მედიისთვის, ჯერჯერობით, ისევ დახურულია. სახელისუფლებო კულუარებში საუბრობენ იმაზე, რომ აბრამოვმა ფასი 157 მილიონამდე "ასწია", რასაც "ინტერპაიპი" უფრო მომხიბლავი წინადადების წარმოდგენით პასუხობს. დეტალები, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი. მანამდე კი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, სატენდერო კომისიის წევრი, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს: **"შუბლზე ვაკოცებ ყველას, ვინც მეტს გადაიხდის..."**

# 450 გურული რეზერვისტი

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ გურიის მხარის რაიონებსაც. საჩხერის მოსამზადებელ ბაზაზე სამხედრო წვრთნას დღეს შეუდგება 450-კაციანი რეზევისტთა ბატალიონი. გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან შედგა რეზერვისტთა გაცილების ცერემონიალი. ახალწვეულები ჯერ შემოქმედის ეპარქიის წინამძღოლმა მეუფე იოსებმა დალოცა, ხოლო შემდეგ მათ სიტყვით მიმართა გურიის მხარის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ. მან აღნიშნა, რომ რეზერვისტთა გაწვევა გურიის მხარის სამივე რაიონში ორგანიზებულად მოხდა.

**"სამწუხაროდ, სამუშაო რეჟიმი საშუალებას არ მაძლევს, ამჟამად სრულად გავიარო მომზადების კურსები, მაგრამ რაღაც ეტაპზე მეც შემოგიერთდებით და თქვენთან ერთად მოვიხდი მხედრულ ვალს,"** - განუცხადა მან სამხარეო ადმინისტრაციასთან შეკრებილ რეზერვისტებს.

გურიის რეზერვისტთა ბატალიონი სამი კვირის მანძილზე გაივლის წვრთნას საჩხერის რეზერვისტთა მოსამზადებელ ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ რეზერვისტთა შორის 2 ქალია - ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ირინა საჯაია და ეკა მუჯირი.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

# "საქართველო რუსეთის ბაზების გარეშე"

რესპუბლიკელი პარლამენტარის დავით ბერძენიშვილის აზრით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის საქართველოში ვიზიტი ორი ქვეყნის ურთიერთობებზე დადებითად იმ შემთხვევაში აისახება, თუ საქართველოს ხელისუფლება მტკიცე პოზიციას დაიკავებს.

დავით ბერძენიშვილის განცხადებით, რუსეთთან ლაქუცის დრო არ არის და ნებისმიერი ვიზიტი თუ შეხვედრა ამ ქვეყნის ბაზებისაგან საქართველოს გათავისუფლებას უნდა ემსახურებოდეს.

"წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად, ქვეყანაში სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა. "საქართველო რუსეთის ბაზების გარეშე," - აი, ეს არის ჩვენი სადღეისო ამოცანები. საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ რუსეთი 2-3 წელიწადში მისი ბაზების გაყვანას დათანხმდეს. რუსეთი კარგი მეზობელი არ არის, მაგრამ მისი მეზობლობა რეალობაა," - აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

*მედია-ნიუსი*

# თანამშრომლობა შვეიცარიასთან

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შტეფან შპეკმა ორშაბათს ხელი მოაწერეს შეთანხმებას "შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური, ფინანსური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ." საქართველოში შვეიცარიის მთავრობის ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებას შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) ახორციელებს, რომელიც 2005 წელს საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების გაორმაგებას გეგმავს. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, 2002-2004 წლებში საქართველომ შვეიცარიის მთავრობისაგან 7 მილიონამდე, ხოლო ჰუმანიტარული დახმარების სახით, 8 მილიონამდე შვეიცარიული ფრანკი მიიღო.

*პრაიმ-ნიუსი*

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო FM 107.4

რადიო შოუ როკი და ფეხბურთი



„ღმერთო,ღმერთო მანახა ფეხბურთის რენესანსი საქართველოში. ძირს ფუტურიზმი ფეხბურთში."

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე 32-43-46; 32-43-47

წამყვანები -

16 დეკემბრის გადაცემის სტუმარი -

# რუსეთის "კეთილ" ზრახვებს საქართველოში "ვერ ხვდებიან"

პირველი გვერდიდან

მის მიერ გაკეთებული განცხადება, სულ ცოტა, ორ კითხვას ბადებს: ცხადია, რომ 250-300 შეიარაღებული ბოევიკი კავკასიონს შუა ზამთარში ვერ გადმოლახავდა. ისინი, პანკისის ხეობაში, ყველაზე გვიან, გასული წლის შემოდგომაზე უნდა შემოსულიყვნენ. ამ შემთხვევაში, გაუგებარი ხდება, მაშინ რატომ არ ატეხა რუსულმა მხარემ განგაში და არ გააკეთა ანალოგიური განცხადება? ან, ასეთი "საფრთხის" არსებობის პირობებში, რატომ ითხოვდა მოსკოვი დაჟინებით პანკისის ხეობაში ეუთო-ს მისიის საქმიანობის შეწყვეტას?

ამ კითხვებზე პასუხი ძალიან იოლი გასაცემია და ისინი ლოგიკიდან გამომდინარეობს: პანკისის ხეობაში ჩეჩენი ტერორისტების ყოფნის შესახებ განცხადებას მოსკოვი გასული წლის შემოდგომაზე ვერ გააკეთებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ პერიოდში პანკისის ხეობაში მონიტორინგს ეუთო-ს მისია ახორციელებდა, რომელიც ბრალდებების უსაფუძვლობას იოლად დაამტკიცებდა. ამ მისიის "ლიკვიდირებაც", როგორც ირკვევა, რუსეთს სწორედ იმისთვის დასჭირდა, რომ "პანკისიდან მომდინარე საფრთხე" გაეხსენებინა.

რუსების მიზნები და სურვილები ყველაზე ნათლად იკითხება სელჩოს განცხადების იმ ნაწილში, რომელშიც ნათქვამია: **"საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ორი ქვეყნის სპეცსამსახურებისა და სასაზღვრო უწყებების ურთიერთობების გააქტიურობით და არა პრობლემისადმი წაყრუებით ან საერთაშორისო მონიტორინგზე იმედის დამყარებით, რომელიც ნაკლებად ეფექტური გამოდგა და თავისი შესაძლებლობები ამოწურა".**

ერთი სიტყვით, რუსები კიდევ ერთხელ გვთავაზობენ, რად გინდათ ეგ უცხოელები, პანკისში ჩვენ დაგიმყარებთ წესრიგსო...

გუშინ რუსეთის საელჩო, როგორც ჩანს, "წერას ჰყავდა ატანილი": ზემოთ აღნიშნულ განცხადებას მეორეც მიაყოლა, რომელშიც საქართველოს ხელისუფლების დამოძღვრა განაგრძო.

საელჩო, პირველ რიგში, თავისი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს ესარჩლება. მინისტრმა ნიუ-იორკში ყოფნისას მოითხოვა, რომ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ქართული საჯარისო ნაწილები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ იქნეს გამოყენებული. ამაზე ივანოვს თბილისიდან მიუთითეს, რომ **"რუსეთს არა აქვს საქართველოსთვის იმის კარნახის უფლება, როგორ და სად დაასაქმებს თავის შეარაღებულ ძალებს",** რამაც, ნუ იტყვით და, რუსული მხარე, ძალიან გააოცა: იგი ირწმუნება, რომ თავდაცვის მინისტრის გამონათქვამში ახალი არაფერია და საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი...

რუსეთის საელჩო წუხს, რომ თბილისი იმ შეთანხმების რევიზიას ცდილობს, რომლის მიხედვითაც, ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მომზადებული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ იქნებოდნენ დასაქმებულნი. ასეთი "რევიზიის" მცდელობად განცხადებაში დასახელებულია 2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები.

**"ეს კიდევ უფრო შეამცირებს ნდობას ორმხრივ ურთიერთობებში, აგრეთვე გაართულებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების შესაძლებლობას,"** - ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებზე ფიქრში ათენებენ და აღამებენ რუსეთის საელჩოში.

ოფიციალური მოსკოვის პოზიციას, გაცხადებულს საელჩოს საშუალებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინვე გამოეხმაურა. საპასუხო განცხადებაში რუსეთის საელჩოს მიერ გამოთქმული მოსაზრებები "უპასუხისმგებლოდ" არის მონათლული, რითაც სალომე ზურაბიშვილის უწყებამ რევანში აიღო: როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ანალოგიური ეპითეტით შეამკო საქართველოს დიპლომატიური უწყების პროტესტი, რომელიც აფხაზეთში ბაბურინისა და კალესნიკოვის წინასაარჩევნო ვოიაჟს უკავშირდებოდა.

# რუსების განცხადებების პანკისური ექო

პირველი გვერდიდან

შესახვედრად ჩასული რუსეთის დელეგაციის ვიზიტები ყოველთვის კრახით სრულდებოდა.

**"ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რუსეთს რა მიზანი ამოძრავებს. ამიტომ ჩვენ მათთან მოლაპარაკებაზე არასდროს წავალთ,"** - აცახდებენ ლტოლვილები.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა ჩეჩენი ლტოლვილების გადაბირება, სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანით სცადა, მაგრამ ამაოდ. ახალი წლის წინ კი, რუსებმა ჩეჩნებს ხეობაში ინგუშეთის დელეგაცია გაუგზავნეს, მაგრამ მოლაპარაკება კვლავ კრახით დასრულდა.

ჩეჩნეთის ადამიანის უფლებების დამცველი კომიტეტის თავმჯდომარე ასლანბეკ აბურზაკოვი განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ხეობაში, შინაგანი და უშიშროების სამინისტროების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების დროს, უდანაშაულო ჩეჩენი ლტოლვილების დაკავება მოხდა, ლტოლვილებს ქუჩაში დგომისაც კი ეშინიათ. **"მოულოდნელი სპეცოპერაციების დროს, სამართალდამცველები ლტოლვილების ბინებში პროცესუალური დარღვევებით ახდენდნენ ლტოლვილი მამაკაცების დაკავებას. აქედან გამომდინარე, ხეობაში თავშესაფარებლად არავინ ჩამოვა,"** - ამბობს ასლანბეკ აბურზაკოვი.

სოფელ დუისის გამგებლის ჯარაფ ხანგოშვილის თქმით, ამ დროისთვის ხეობაში ლტოლვითა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და ის ინფორმაცია, რომ აქ სამასამდე "ბოევიკი" აფარებს თავს, აბსურდია. **"პანკისში ბოლო წლებში ჩატარებულმა ანტიტერორისტულმა სპეცოპერაციებმა და საქართველო-ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვრის მონაკვეთზე განხორციელებულმა მონიტორინგმა დაადასტურა, რომ ხეობაში „ბოევიკების" არსებობის ვერსია უნდა გამორიცხოს,"** - აცახდებს დუისის გამგებელი.

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში, პეტრე ცისკარიშვილი კი რუსეთის საელჩოს უპასუხისმგებლოს უწოდებს, რადგან მათ მირ გაკეთებული განცახდება რეალურ ინფორმაციას არ ეფუძნება. **"რუსები არაერთხელ ყოფილან ხებაში და "ბოევიკების" არარსებობაში თავადაც დარწმუნებულან. მე ვერ გამიგია, რატომ უნდა დავაფაროთ ხელი, ან რატომ უნდა გადავმალოთ ხებაში ტერორისტები? რომელ "ბოევიკების" შემოსვალაზეა საუბარი, როცა ხეობაში მცხოვრები ლტოლვილები მესამე ქვეყანაში გადადიან და მათი რიცხვი პანკისში საგრძნობლად შემცირდა. ეს არის მორიგი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, სხვა ვერაფერს ვუწოდებთ ამას,"** - განაცხადა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე პეტრე ცისკარიშვილმა.

პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები კი საქართველოს ხელისუფლებას მაინც ფხიზლად ყოფნას ურჩევენ. ლტოლვილები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთმა, პროვოკაციის მიზნით, შესაძლოა, საჰაერო სივრცეც დაარღვიოს.

## მოკლედ

### პრეზიდენტს ევროსაბჭოს შენიშვნები საგანგაშოდ არ მიაჩნია

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის მიერ საქართველოს მიმართ გამოთქმულ რეკომენდაციებს და შენიშვნებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მსგავს შენიშვნებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იღებს და ამაში გასაოცარი და საგანგაშო არაფერია.

მანვე ქართველი პარლამენტარების მიერ აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გამოთქმულ შეშფოთებას "პროვინციული და სასაცილო გნიასი" უწოდა. სააკაშვილის თქმით, საქართველოს დასავლეთში ისეთი მასშტაბური მხარდაჭერა აქვს, მსგავსი მხარდაჭერა შესაძლოა, მომავალშიც არ ჰქონდეს.

"ჩვენ გვაძლევენ რეკომენდაციას. ეს კარგია, მაგრამ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ჩვენი ხალხი გადაწყვეტს იმას, თუ როგორ უნდა იმართოს ქვეყანა, - განაცხადა პრეზიდენტმა. **მედია-ნიუსი**

### საქართველოს რუსეთთან საზღვარზე საერთაშორისო დამკვირვებლების ჩაყენება სურს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომ ყველანაირი საშუალება უნდა ეძებოს, რათა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საერთაშორისო წარმომადგენლობა ფუნქციონირებდეს.

როგორც საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეები არ უნდა იყოს და აღნიშნულ მონაკვეთებზე საერთაშორისო დამკვირვებლებიც უნდა იყვნენ.

"არის მოსაზრება, რომ საზღვარზე წარმოდგენილი იყოს ევროკავშირის მისია, მანამდე კი შესაძლოა, ფინანსური და ტექნიკური დახმარება ევროკავშირმა გაგვიწიოს," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გიორგი არველაძე უახლოეს დღეებში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს. იგი უკვე წარდგენილია ამ თანამდებობაზე და მისი დამტკიცება 22 იანვრისათვის დაგეგმილ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე მოხდება. ამასთან, გიორგი არველაძე ევროპარლამენტის ფრაქცია "ლიბერალების" ვიცე-პრეზიდენტიც გახდება. საქართველოს დელეგაცია სწორედ ამ ფრაქციაშია გაწევრიანებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, მისი განკარგულებით თავდაცვის სამინისტროში რეზერვისტთა მომზადების დაწყების თაობაზე. ბაგაფშის განცხადებით, რეზერვისტთა არანაირი სწავლება დღეისათვის აფხაზეთში არ მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსი დაიხურა. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, დაწყებითი სამხედრო სასწავლებლის 311 მოსწავლე სახლებში გაუშვეს, ოფიცრები და მომსახურე პერსონალი კი კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს. შესაბამის ბრძანებას ახალმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ხელი დეკემბრის ბოლოს მოაწერა. მინისტრის N405 ბრძანების თანახმად, კადეტთა კორპუსის გაუქმება საქართველოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას უკავშირდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. გენერალური შტაბის სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ვიცე-პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯღავა აცხადებს, რომ მან კადეტთა კორპუსის დახურვის შესახებ არაფერი იცის, რადგან მის დეპარტამენტში შესაბამისი ბრძანება არ შესულა. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# იძულებითი ქველმოქმედება

პირველი გვერდიდან

2004 წელს განვითარებისა და რეფორმების ფონდი საჯარო მოხელეთა სახელფასო დანამატს მთლიანად დონორების ხარჯზე გასცემდა. დონორთა შორის არიან როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირები. 2004 წელს, ქართველი დონორების მიერ ფონდში შეწირულობამ 16 მილიონ 90 ათას 903,28 აშშ დოლარი შეადგინა.

## საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" (Charitable organization GOLDEN FLEECE)

ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი, რომელიც აღნიშნულ სიაში ჩნდება, უკავშირდება ფონდის ძირითად შემომწირველს, საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისს", რომელმაც ფონდის ანგარიშზე, გასულ წელს, 8 თვის განმავლობაში გადარიცხა 10 მილიონ 496 ათას 245,04 აშშ დოლარი.

მარტში გადმორიცხულია მილიონ 298 ათას 652,95 აშშ დოლარი; აპრილში - მილიონ 998 ათას 623,96 აშშ დოლარი; ივნისში - მილიონ 999 ათას 940 აშშ დოლარი; ივლისში - 3 მილიონ 499 ათას 940 აშშ დოლარი; სექტემბერში - მილიონ 499 ათას 116; ოქტომბერში - მილიონ 999 ათას 72,13 აშშ დოლარი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ უდიდესი თანხების მფლობელ ორგანიზაციას არ გააჩნია ვებგვერდი და მასზე არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის ხელმძღვანელის კოტე კუბლაშვილის ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია დაფუძნებულია ოფშორში, კერძოდ კვიპროსში, იქ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის მიერ, რომლის სახელი და გვარიც ფონდისთვის უცნობია.

**"ჩვენთვის უცნობია, ვინ არის ეს ქართველი ბიზნესმენი, თუმცა, შესაძლოა, მას შეხვედრები ჰქონდა საქართველოს მთავრობის პირველ პირებთან და ფულის გადმორიცხვაც წინასწარი შეთანხმების შედეგად ხდება,"** - განაცხადა "24 საათთან" ინტერვიუში კოტე კუბლაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, "ოქროს საწმისის" მიერ ფონდის ანგარიშებზე გადმორიცხული თანხები გაკონტროლდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ფულის გათეთრების ფაქტი. ოფშორული ორგანიზაცია შემოწმდა როგორც კვიპროსის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, ისე ქართული მხარის მიერ.

(**საჭირო ინფორმაცია**: მთელს მსოფლიოში არ არსებობს ოფშორულ ზონაში ფინანსური მონიტორინგის მექანიზმი. ამის გამო აღნიშნულ ზონებში ხშირად ფულის გათეთრების საუკეთესო პირობებია).

როგორც "24 საათს" ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, აღნიშნულ ორგანიზაციას კავშირები აქვს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან და ლონდონში ემიგრირებულ მის მეგობარ ბორის ბერეზოვსკისთან. ბორის ბერეზოვსკის ინტერესები საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით უკვე არაერთგზის დაფიქსირდა.

(**ინფორმაცია დასაფიქრებლად**: 2003 წლის 4 დეკემბერს პლატონ ელენინის პასპორტით თბილისში ჩამოვიდა ბორის ბერეზოვსკი).

"საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გენერალურმა პროკურატურამ მაშინვე აღძრა საქმე. როგორც მაშინდელი გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე აცხადებდა, თბილისში ჩამოსულ ბერეზოვსკის სერიოზული გარანტიები ჰქონდა. მას შვიდი მანქანა დახვდა და იგი მის მეგობარ ბიზნესმენამდე მიაცილეს. მეგობარი ბიზნესმენი, როგორც ცნობილია, ბადრი პატარკაციშვილი გახლავთ. ყოფილი გენპროკურორი აცხადებდა, რომ პროკურატურა ყველა მოწმეს დაკითხავდა, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილსაც. მაშინ სამართალდამცავები ირწმუნებოდნენ, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ დადგინდებოდა, ჰქონდა თუ არა პოლიტიკური ხასიათის შეხვედრები თბილისში ჩამოსულ ბერეზოვსკის. მთავარი სამხედრო პროკურატურა ამის თაობაზე, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს". ("24 საათი", 2004 წლის 19 თებერვალი.)

(**ინფორმაცია დასაფიქრებლად:** "ბერეზოვსკი უამრავ კომპანიას ფლობს რუსეთში, კვიპროსზე, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, ირლანდიასა და კარიბის კუნძულებზე. მათი მეშვეობით ის აკონტროლებს ვალუტის მოძრაობას რამდენიმე უდიდეს სამრეწველო საწარმოში" (ამერიკული ჟურნალი "ფორბსი").

ბერეზოვსკის სახელმა გაიჟღერა თავის დროზე საქართველოში რამოდენიმე კომპანიასთან მიმართებაშიც...

## ფიზიკური პირები

განვითარებისა და რეფორმების ფონდის შემომწირველთა შორის არიან ფიზიკური პირებიც: ბიზნესმენი **ბადრი პატარკაციშვილი**, **ნოდარ ადუაშვილი** და **ალექსანდრე შოშიტაიშვილი.**

2004 წლის 31 მარტს, ნოდარ ადუაშვილს ფონდის ანგარიშზე გადმორიცხული აქვს **500 ათასი აშშ დოლარი**, ხოლო ალექსანდრე შოშიტაიშვილს, 19 აპრილს - **14 ათას 302,42 ლარი**.

როგორც კოტე კუბლაშვილი "24 საათთან" საუბარში აღნიშნავს, აღნიშნულ ფიზიკურ პირებზე ფონდი არანაირ ინფორმაციას არ ფლობს, ანუ უცნობია, რა სახის ბიზნესს ეწევა რომელიმე მათგანი.

აღნიშნულ ქველმოქმედ ბიზნესმენებზე ინფორმაციის მოპოვება ვერც "24 საათმა" შეძლო. ერთადერთი, რისი გაგებაც მოხერხდა, არის ის, რომ ალექსანდრე შოშიტაიშვილი ებრაელი ბიზნესმენია, მათემატიკოსი, რომელსაც 70-იან წლებში რუსეთში დაცული აქვს სადოქტორო.

(**ინფორმაცია დასაფიქრებლად:** ლონდონში ემიგრირებული ებრაელი ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი, პროფესიით მათემატიკოსია, რომელმაც 1983 წელს რუსეთში დაიცვა სადოქტორო.)

| N | თარიღი | ვალუტა | თანხა | ეკვივალენტი | ორგანიზაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31.01.2004 | GEL | 212 000,00 | $ 100 473,93 | შპს "ახალი ქსელები" |
| 2 | 04.02.2004 | USD | $ 200 000,00 | $ 200 000,00 | ბადრი პატარკაციშვილი |
| 3 | 16.02.2004 | GEL | 212 000,00 | $ 102 912,62 | შპს "ახალი ქსელები" |
| 4 | 17.03.2004 | USD | $ 999 158,88 | $ 999 158,88 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 5 | 26.03.2004 | USD | $ 299 494,07 | $ 299 494,07 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 6 | 30.03.2004 | GEL | 200 000,00 | $ 99 750,62 | შპს "ბი ენდ პი" |
| 7 | 31.03.2004 | GEL | 40 100,00 | $ 20 670,10 | შპს "პრომეტკო ჯორჯია" |
| 8 | 31.03.2004 | GEL | 140 350,00 | $ 72 345,36 | შპს "ჯე ეს კო" |
| 9 | 31.03.2004 | GEL | 360 900,00 | $ 186 030,93 | შპს "მეტალექსი" |
| 10 | 31.03.2004 | GEL | 300 000,00 | $ 154 639,18 | ს/ს "ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" |
| 11 | 31.03.2004 | USD | $ 500 000,00 | $ 500 000,00 | ნოდარ ადუაშვილი |
| 12 | 15.04.2004 | USD | $ 999 437,44 | $ 999 437,44 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 13 | 19.04.2004 | GEL | 14 302,42 | $ 7 151,21 | ალექსანდრე შოშიტაიშვილი |
| 14 | 26.04.2004 | GEL | 25 000,00 | $ 12 594,46 | ს.ს."ფერო" |
| 15 | 29.04.2004 | USD | $ 999 186,52 | $ 999 186,52 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 16 | 30.04.2004 | GEL | 50 000,00 | $ 25 125,63 | შპს "ორიფლეიმ ჯორჯია" |
| 17 | 01.06.2004 | GEL | 100 000,00 | $ 52 083,33 | თავდაცვის სამინისტრო (თანხის უკან დაბრუნება) |
| 18 | 01.06.2004 | USD | $ 999 970,00 | $ 999 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 19 | 01.06.2004 | USD | $ 999 970,00 | $ 999 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 20 | 23.06.2004 | USD | $ 500 000,00 | $ 500 000,00 | ჩარიცხვა ქ. რიგიდან სამართალდამცავი ორგანოების ფონდისთვის |
| 21 | 07.07.2004 | USD | $ 1 999 970,00 | $ 1 999 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 22 | 19.07.2004 | USD | $ 500 000,00 | $ 500 000,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 23 | 20.07.2004 | GEL | 500 000,00 | $ 261 780,10 | სს "საქართველოს ბანკი" |
| 24 | 21.07.2004 | USD | $ 500 000,00 | $ 500 000,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 25 | 27.07.2004 | USD | $ 499 970,00 | $ 499 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 26 | 14.09.2004 | USD | $ 999 146,76 | $ 999 146,76 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 27 | 23.09.2004 | USD | $ 1 999 970,00 | $ 1 999 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 28 | 15.10.2004 | USD | $ 999 134,13 | $ 999 134,13 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 29 | 25.10.2004 | USD | $ 949 968,00 | $ 949 968,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| 30 | 26.10.2004 | USD | $ 49 970,00 | $ 49 970,00 | საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი" |
| | სულ შემოსავლები | | | $ 16 090 903,28 | |

რაც შეეხება ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს, ფონდის შემომწირველთა სიაში მისი სახელი და გვარი გასული წლის 4 თებერვალს გაჩნდა, როდესაც ფონდის ანგარიშზე, ბიზნესმენის სახელით, 200 ათასი აშშ დოლარი ჩაირიცხა.

სხვათა შორის, ამ პერიოდში პატარკაციშვილი ძალიან წყალობდა საქართველოს ახალ მთავრობას და სამთავრობო სტრუქტურებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ამ პერიოდში სამი "ნივა" გადასცა.

2004 წლის ცივ იანვარში კი მან დედაქალაქის მერიას, რუსეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდების ასანაზღაურებლად, ერთი მილიონი აშშ დოლარი 3 წლის ვადით ასესხა (წლიური 5%-იანი განაკვეთით).

## შპს "ახალი ქსელები"

2004 წლის 31 იანვარსა და 16 თებერვალს, შპს "ახალ ქსელებს" ფონდის ანგარიშზე გადარიცხული აქვს 424 ათასი ლარი. ქველმოქმედებისთვის თვეში 212 ათასი ლარის გადარიცხვის ფაქტი საქართველოში ეჭვს უდავოდ აღძრავს:

ცნობილია, რომ "ახალი ქსელების" წილის მფლობელი იყო კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კორუფციასთან ბრძოლა სწორედ მისი სახელის ხსენებით წამოიწყეს.

(**ინფორმაცია დასაფიქრებლად:** კავშირგაბმულობისა და ფოსტის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია 2003 წლის 30 იანვარს მიდის გენერალურ პროკურატურაში. 31-ში ფონდის ანგარიშზე ირიცხება 212 ათასი ლარი.)

"კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია გუშინ გენერალურ პროკურატურაში არავის დაუბარებია - ის თავად მივიდა. რატომ? როგორც თავად ინჯიამ საჯაროდ განაცხადა - მზად არის, პროკურატურას ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე პასუხი გასცეს. რა იმალება ფრიდონ ინჯიას მიერ ასეთი კეთილი ნების გამოხატვის უკან? თუ გუშინ გენერალური პროკურატურის შენობასთან განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი "ლეიბორისტული პარტიის" წევრი ფრიდონ ინჯია ცდილობს, პოლიტიკური დევნილის მანტიით შეიმოსოს" ("24 საათი" 31 იანვარი 2004).

ინჯია იმავე წლის 5 თებერვალს გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე გამოიძახეს. დაკითხვა ეხებოდა მის მიერ მინისტრობის პერიოდში დაშვებულ დარღვევებს.

"ინჯიას საქმეზე ტომებია შექმნილი. კოლოსალური სამუშაო ჩავატარეთ, ყველა დაკითხული იყო, ფრიდონ ინჯიას გარდა. არადა მის გარეშე კვანძი არ იკვრებოდა," - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა საგამოძიებო ჯგუფის წევრმა ნოდარ შაყულაშვილმა, რომლის მიერ შედგენილი გეგმის და კითხვარების მიხედვით, კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია გუშინ პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაიკითხა. პროკურატურაში იგი ადვოკატთან ერთად მივიდა და 40 შეკითხვიდან მხოლოდ რამდენიმეს უპასუხა. ყოფილ მინისტრს პროკურატურაში მისვლა რამდენჯერმე მოუწევს და მისი პასუხისმგებლობის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, რაც ის სამართალდამცველებს სრულყოფილ ჩვენებებს მისცემს.

30-ტომიან საქმეში საუბარია კავშირგაბმულობის სამინისტროსთვის გამოყოფილ მილიონობით იაპონურ და სხვა უცხოურ კრედიტებზე, სავარაუდოდ, სწორედ სახელმწიფოსთვის გამოყოფილი მილიონიანი კრედიტებითაა დაფუძნებული კავშირგაბმულობის კერძო კომპანიები: "ეგრისი", "ტელეკომი", "ელექტროკავშირი", **"ახალი ქსელები"**, "საფოსტო ბანკიც" კი. ("24 საათი", 6 თებერვალი, 2004.).

განვითარებისა და რეფორმების ფონდის ანგარიშზე "ახალი ქსელებიდან" 212 ათასი ლარის გადარიცხვა (უკვე მეორედ) 16 თებერვალს განხორციელდა.

## ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური და მისი მოიჯარე ორგანიზაციები

გასული წლის თებერვალში გენპროკურატურა ინტერესდება ფოთის პორტის საქმიანობით.

არავისთვის იყო საიდუმლო, რომ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე გურამ ახვლედიანი, ფოთის პორტის ყოფილ ხელმძღვანელ ჯემალ ინაიშვილთან ერთად, ფოთის პორტთან დაკავშირებულ ფინანსურ საქმიანობაში იყო ჩართული.

სავაჭრო პალატის თავმჯდომარე გურამ ახვლედიანი ტოვებს თანამდებობას.

განვითარებისა და რეფორმების ფონდში **ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური**, 2004 წლის 31 მარტს 300 ათას ლარს რიცხავს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: **"ბი ენდ პი", "პრომეტკო ჯორჯია" და "მეტალექსი"** ფოთის პორტის მოიჯარე ორგანიზაციებია.

შპს "ბი ენდ პი"-მ რეფორმებისა და განვითარების ფონდში 30 მარტს გადარიცხა 200 ათასი ლარი, "პრომეტკო ჯორჯიამ", 31 მარტს - 40 ათას 100 ლარი, ხოლო "მეტალექს"-მა, 31 მარტს გადაიხადა 360 ათას 900 ლარი.

## სს "ფერო"

2004 წლის აპრილის თვეში, ანუ მაშინ, როდესაც სააქციო საზოგადოება "ფერო"-მ რეფორმებისა და განვითარების ფონდში 25 ათასი ლარი გადარიცხა, რამე გახმაურებული ინციდენტი და მთავრობის მხრიდან პრეტენზიების საჯარო გამოხატვა არ ყოფილა.

"ფერო"-ს სახელი მოგვიანებით, 2004 წლის ნოემბერში გაჟღერდა.

"ფინანსურმა პოლიციამ ს/ს "ფეროს" გენერალური დირექტორის ნიკა ჩიქოვანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსურ პოლიციაში განუცხადეს, საქმე დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტზე აღიძრა. მათი ინფორმაციით, ჩიქოვანმა სახელმწიფოს ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაუმალა.

ფინანსური პოლიციის დავალებით, საგადასახადო ინსპექციამ "ფეროს" 2002-2004 წლების საქმიანობა შეისწავლა.

დანაშაული ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს ოპერატიულმა განყოფილებამ გამოავლინა. საქმე გამოსაძიებლად ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეგზავნება". (ინტერ-პრესი, 2004.11.29)

**(ინფორმაცია დასაფიქრებლად:** სს "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის ბიზნესმენი დავით შალიკაშვილი, რომელსაც თავის დროზე ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოჯახს, კერძოდ კი მანანა შევარდნაძეს უკავშირებდნენ).

## სხვა

23 ივნისს **რიგიდან** ჩარიცხულ 500 ათას აშშ დოლარზე რეფორმებისა და განვითარების ფონდის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ **"გადმორიცხვა შემთხვევით და არასწორად მოხდა. თანხა უკანვე იქნა დაბრუნებული".**







ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აცხადებს კონკურსს 2005-2006 სასწავლო წლისათვის ევროპის კოლეჯის (www.coleurop.be) მიერ დაფინანსებული ორი სტიპენდიის მოსაპოვებლად. სტიპენდია განკუთვნილია ბრიუგესა და ვარშავაში ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო კურსებზე ორი სტუდენტის წარსაგზავნად. სტიპენდია ითვალისწინებს სტუდენტთა სრულ დაფინანსებას, რაც მოიცავს:მათი სწავლებისა და საერთო საცხოვრებლის საფასურს, მგზავრობისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- განცხადების შემომტანი პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და მისი ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს;
- განცხადების შემომტან პირს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი;
- უპირატესობა მიენიჭება ევროპულ საკითხებში კარგად გათვითცნობიერებულ განმცხადებლებს;
- აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე;
- ბრიუგეში სწავლის მსურველთათვის სასურველია ფრანგული ენის ცოდნაც.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სახელმწიფო მინისტრის აპარატში ა.წ. 31 იანვრამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები ინგლისურ ენაზე (დედანთან ერთად საბუთებს თან უნდა ახლდეს სამი ასლი):

1. შევსებული საპლიკაციო ფორმა;
2. CV;
3. დამოწმებული დიპლომის ასლი და ნიშნების ფურცელი;
4. ორი სარეკომენდაციო წერილი
5. სამი ფოტოსურათი;

საპლიკაციო ფორმისათვის მიმართეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს ან ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს (საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას 7, ტელ; 92 35 88, მობ:899 48 2839,

ე-მაილი:george@robakidze.com; karaulashvili@caucasus.net).

# ნოღაიდელმა შემოსავლების გეგმის შესრულებაზე ნერვიულობა დაამთავრა

## ფინანსთა მინისტრი და საბაჟოს შეფი საკუთარი მუშაობით კმაყოფილები არიან

*გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრი და საბაჟოს შეფი ჟურნალისტების წინაშე 2004 წელს განხორციელებული საქმეებით თავს იწონებდნენ. ოფიციალურად ამ თავყრილობას ფინანსთა მინისტრის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან შეხვედრა ერქვა.*

თამარ ივანიძე

გუშინ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს 2004 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბარა. როგორც გოდაბრელიძემ განაცხადა, 2004 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტმა ბიუჯეტის გაზრდილი გეგმა 150 მლნ. ლარის გადაჭარბებით შეასრულა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. **"მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კონტრაბანდის შესამცირებლად. გასულ წელს ორჯერ გაიზარდა შემოსავლები თამბაქოს იმპორტიდან. ნავთობპროდუქტების სექტორში ლეგალიზაციის მაჩვენებელმა 80 პროცენტს მიაღწია,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

მისი თქმით, დეპარტამენტში დასრულდა სტრუქტურული რეფორმა და ამ ეტაპზე, დეპარტამენტის სტრუქტურის ოპტიმალური მოდელი ჩამოყალიბდა. მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო კუთხითაც. მომზადდა და უახლოეს მომავალში პარლამენტს განსახილველად გადაეცემა საბაჟო კოდექსის ახალი პროექტი.

**"მთელი ქვეყნის მასშტაბით დასრულდა ინფორმაციის გადაცემის ერთიანი სისტემის "ასიკუდას" მონტაჟი,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 2004 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობას წარმატებულს უწოდებს და დეპარტამენტს მიმდინარე წლისთვის ახალ ამოცანებს სთავაზობს.

როგორც საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან შეხვედრისას ნოღაიდელმა განაცხადა, მიმდინარე წელს საბაჟოს უმთავრესი ამოცანა საზოგადოებაში ნდობის ამაღლება და საბაჟო ინფრასტრუქტურის მოწყობა იქნება.

**"შემოსავლების გეგმის შესრულებაზე ნერვიულობა უკვე დავამთავრე. ამაზე საუბარი აღარც უნდა იყოს. ახლა მთავარია, საზოგადოებაში საბაჟო სამსახურის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს და მებაჟეები კორუმპირებულთა სიაში აღარ მოიხსენიებოდნენ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, 2005 წელს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი დეპარტამენტში განხორციელებული საკადრო პოლიტიკა და საბაჟო ინფრასტრუქტურის მოწყობა იქნება.

ფინანსთა მინისტრი გუშინ მებაჟეებს მოულოდნელ ვიზიტებს დაჰპირდა და განაცხადა, რომ შესაბამისად, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ყოველთვის წესრიგი და მზადყოფნა უნდა იყოს. **"სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დავავალებ, საბაჟოებზე არსებული ვითარება გააკონტროლოს და მებაჟეების მხრიდან ფიზიკური პირების მიმართ არაკეთილსინდისიერი მიდგომა არ დაუშვას,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-ეკონომისტები, რომლებმაც "ჭიათურმანგანუმისა" და ბათუმის საზღვაო სანაოსნოს უცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ შიმშილობის აქცია დაიწყეს, უნდობლობას უცხადებენ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს და მათი გადაყენების მოთხოვნით პრეზიდენტ სააკაშვილს მიმართავენ. მეცნიერთა განცხადებით, "ჟვანია და ბენდუქიძე საქართველოში რუსული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გზას დაადგნენ, გადაწყვიტეს რა, ქვეყნის უძრავი ქონება უცხოელების, კერძოდ, რუსი ბიზნესმენების ხელში ჩააგდონ." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N1 აუქციონი ხუთშაბათს გაიმართება. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ აუქციონზე ფინანსთა სამინისტრო გასაყიდად 364-დღიან სახაზინო ვალდებულებებს გამოიტანს. სახაზინო ვალდებულების თანხა 1,300 მლნ ლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

# დიდი და პატარა ლიახვის ხეობები ქართულ დენს ეღირსნენ

## ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, კონფლიქტური ზონის მოსახლეობა დენს შეღავათებით მიიღებს

*ამიერიდან დიდი და პატარა ლიახვის ხეობები დენს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისგან" მიიღებენ. ამასთან, ხეობების მოსახლეობას საშუალება ექნება, ისარგებლოს ამერიკის მთავრობის დახმარებით, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსებას ითვალისწინებს.*

მაია ურუშაძე

2005 წლის 14 იანვარს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დიდი და პატარა ლიახვის ენერგოკომპანიების "საქართველოს გაერთიანებულ ენერგოკომპანიასთან" გაერთიანების გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს ენერგოკომპანიები დღემდე დამოუკიდებელ, გამგეობებთან არსებულ სუბიექტებად რჩებოდნენ და დენს "იუგოოსეტინენერგოდან" იღებდნენ. შესაბამისად, მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურის კარდაკარ აგროვება და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სტრუქტურისთვის გადახდა უწევდა. ამასთან, "24 საათი" უკვე წერდა, რომ "იუგოოსეტინენერგოდან" მიღებული დენი კონფლიქტური ზონის ქართულ მოსახლეობას უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე მთელ დანარჩენ საქართველოს. ამასთან, მთელი ელექტროენერგეტიკული სტრუქტურა "შავი" ნაკადებით საზრდოობდა და მოსახლეობის ელექტრომომარაგების საკითხი ხეობების გამგეობებისადმი დე ფაქტო ხელისუფლების კეთილგანწყობაზე "ეკიდა."

ლიახვის ხეობების ელექტრომომარაგების პრობლემაზე ყურადღება გასული წლის დასაწყისიდანვე გამახვილდა. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებულ უახლოეს სამოქმედო პროგრამაში დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე 2-მეგავატიანი "კეხვიჰესის" რეაბილიტაციაც შევიდა. თუმცა, "კეხვიჰესის" ამუშავების წინაპირობად, ბუნებრივია, რეგიონში აღრიცხვიანობის გაუმჯობესება და რეგიონის ენერგოსტრუქტურების წესრიგში მოყვანა იქცა. შედეგად, დღის წესრიგში დადგა რეგიონის სადისტრიბუციო კომპანიების "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სტრუქტურაში გაერთიანების საკითხი.

ახლა, ვინაიდან ამ საკითხის იურიდიული ასპექტები უკვე მოგვარებულია, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობას უკვე გაუჩნდება საშუალება, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ "ზამთრის გათბობის პროგრამის" ფარგლებში გამოყოფილი დახმარებით ისარგებლოს. ეს კი ნიშნავს, რომ ხეობების სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მოხმარებული დენის საფასურის ნაწილს კომპანია თავად გადაუხდის.

ამჟამად ორივე ხეობაში სულ 4400 აბონენტია, რომლებიც, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული "ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის" ბენეფიციარები არიან.

დღეს "საქართველოს გაერთიანებულ ენერგოკომპანიაში" იმედოვნებენ, რომ ამიერიდან დიდი და პატარა ლიახვის აბონენტების ელექტრომომარაგებაც გაუმჯობესდება და ხეობების ენერგოკომპანიების თანამშრომლებიც "თეთრად მუშაობას" ისწავლიან. **"ცვლილება პოზიტიურ შედეგს გამოიღებს როგორც აბონენტებისთვის, ისე იქ არსებული ენერგოკომპანიების თანამშრომლებისთვის. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დღეს კარგად არის მომზადებული ზუსტად გათვლილი ინვესტირებისა და სხვა სამუშაოებისთვის, რაც ხეობების ელექტროენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას სჭირდება,"** - აცხადებს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი.

# IFC "თიბისი ბანკს" ოთხმილიონიან სუბორდინირებულ სესხს გამოუყოფს

ნინო ნარჩემაშვილი

*საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) "თიბისი ბანკისათვის" სუბორდინირებულ სესხს გამოყოფს, რომლის ინვესტირებაც "თიბისი ბანკის" კაპიტალში განხორციელდება. ეს საქართველოში კომერციული ბანკისათვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ სუბორდინირებული სესხის გამოყოფის პირველი პრეცედენტი იქნება.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*IFC-ის სუბორდინირებული სესხის მოცულობა ოთხი მილიონი აშშ დოლარია და იგი "თიბისი ბანკის" მთლიანი კაპიტალის ზრდას მოხმარდება.*

IFC-ის სუბორდინირებული სესხის მოცულობა ოთხი მილიონი აშშ დოლარია და იგი "თიბისი ბანკის" მთლიანი კაპიტალის ზრდას მოხმარდება. ინვესტიცია "თიბისი ბანკს" შესაძლებლობას მისცემს, საბანკო ბაზარზე უფრო აქტიურად განახორციელოს თავისი განვითარების სტრატეგია.

ინფორმაციისათვის - "თიბისი ბანკი", რომელიც 1992 წელს დაარსდა, დღეისათვის საქართველოში ყველაზე მსხვილ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს კომერციულ ბანკს წარმოადგენს. ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით, იგი სამი წელია, ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციას სტაბილურად ინარჩუნებს. არსებული მდგომარეობით, "თიბისი ბანკს" ქვეყნის საბანკო სექტორის აქტივების 22,8 პროცენტი და დეპოზიტების 30,1 პროცენტი უკავია. ბანკის დამფუძნებლები არიან ქართველი კერძო პირები, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები: კომპანია "სოროსის საინვესტიციო კაპიტალი" (SIC), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და "გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია" (DEG). ქართული მხარე აქციათა 55 პროცენტის მფლობელს და ბანკის მმართველობითი ფუნქციის შემსრულებელს წარმოადგენს.

რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და "თიბისი ბანკის" თანამშრომლობას, იგი 1998 წელს დაიწყო და დღეისათვის IFC "თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. 1998-2001 წლებში IFC-ის მიერ ბანკისათვის გამოყოფილ იქნა რამდენიმე საკრედიტო ხაზი. მოზიდული ფინანსური რესურსები მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებასა და განვითარებას მოხმარდა. 2000 წლის მაისში კი IFC ბანკის აქციონერი გახდა.

"თიბისი ბანკში" აცხადებენ, რომ IFC-მ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბანკის წარმატებული და დინამიური განვითარება საკრედიტო რესურსების მიწოდებისა და ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელების მეშვეობით. მათივე თქმით, IFC-ის მიერ ბანკის კაპიტალში განხორციელებული ოთხი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია საკმაოდ მაღალი ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, უზრუნველყოფს "თიბისი ბანკის" კაპიტალის ზრდას, რაც, თავის მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესისა თუ ფიზიკური პირების მომსახურების გააქტიურების შესაძლებლობას შექმნის. ეს ბანკს უფრო დიდი მოცულობის საკრედიტო პროექტების დაფინანსებასა და ბანკის ინფრასტრუქტურაში ახალი ინვესტიციების განხორციელებაში დაეხმარება.

# "საკოლმეურნეო ბაზარი" პროფილს არ შეიცვლის

## განახლებულ ბაზარში გარანტირებული ხარისხის ქართული პროდუქტი იგივე ფასად გაიყიდება

*როდესაც ამა თუ იმ, მით უმეტეს, ხანგრძლივად არსებულ და მეხსიერებასა თუ ტრადიციაში გამჯდარი ნაგებობის თუნდაც ნაწილობრივ შეკეთებასა და იერ-სახის შეცვლაზე მიდგება საქმე, ყოველთვის ჩნდება ეჭვი და კითხვა: ხომ არ კეთდება ეს ყველაფერი საიმისოდ, რომ ადრე არსებული ან საერთოდ გაქრეს ან მხოლოდ სიმბოლური დოზით დარჩეს და ძველი ხიბლი მაინც დაკარგოს? მით უფრო მტკივნეული და ხშირი ხდება ეს ინტერესი, როდესაც საქმე ისეთ შენობას ეხება, რომელთანაც ადამიანების ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა დაკავშირებული. ასეთ დროს პოტენციური წინააღმდეგობის რესურსიც განუზომლად გაზრდილია.*

ცხადია, ნაკლებად გააპროტესტებს ვინმე, თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირი დანგრეული სახლის, გაძარცვული ქარხნის ან რაიმე მსგავსი ფიზიკურად თუ ფუნქციურად ჩამოწერილი ობიექტის "გადაკვალიფიცირებას" დააპირებს. მაგრამ საკმარისია საქმე ავტოსადგომის, საპარიკმახეროს ან სულაც სავაჭრო ჯიხურის არათუ დემონტაჟზე, უბრალოდ ადგილის ან მახასიათებლების შეცვლაზე მიდგეს , რომ მაშინვე საკმაოდ მტკიცე წინააღმდეგობა იჩენს თავს.

ცხადია, ასეთ ფონზე ყველა გამადიდებელი შუშით უყურებს ისეთ ობიექტში მიმდინარე ცვლილებებს, როგორიც, მაგალითად, სამომხმარებლო ბაზარია. არც არის გასაკვირი: თავისი არსით ასეთი სავაჭრო სივრცე ის წერტილია, რომელიც გარშემო მოსახლე ადამიანების თუ უფრო შორიდანაც მოზიდული მყიდველებისთვის ლამის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება.

ყოფილი კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე დახურული ბაზარი ერთხელ უკვე იყო ასეთი "მეთვალყურეობის" ქვეშ. კერძოდ, მაშინ, როდესაც ძველი და შელანძღული მეორე სართული მოენგრა და მის ნაცვლად სულ სხვა ტიპის კონსტრუქცია დაედგა. მას შემდეგ საქართველოს სავაჭრო ცენტრი იმ ადგილად იქცა, სადაც ერთ ჭერქვეშ, ერთი მხრივ, მრავალი ცნობილი კომპანიის პროდუქციამ დაიდო ბინა და პოტენციურ მყიდველს მყუდრო და მოვლილ გარემოში ელოდება, მეორე მხრივ კი არაერთი სხვა და სხვა შინაარსისა და მოცულობის თავყრილობის გამართვა შეიძლება.

რაც შეეხება ამ ბაზრისთვის მანამდე ჩვეულ სასურსათო ვაჭრობას, ამ პროცესმა მთლიანად ქვედა სართულზე ჩაინაცვლა და ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, ამ უპირატესად არაორგანიზებულ, სანიტარულ და ხარისხის კონტროლს ნაკლებად დაქვემდებარებულ ვაჭრობას, ალბათ, მალე მოეღება ბოლო, ვინაიდან ერთის მხრივ, შენობის საძირკველისა და წყალგაყვანილობის სავალალო მდგომარეობა, მეორე მხრივ კი სანეპიდსადგურის მუდმივი და, უნდა აღინიშნოს, აბსოლუტურად სამართლიანი პრეტენზიები მუშაობის ასეთ პირობებში გარძელებას სავსებით წარმოუდგენელს ხდის.

ცხადია, **ყველა იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც დახურული ბაზარი აგრარული პროდუქციის შეძენის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი წერტილია, კითხვა, ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი მათვის ბაზრის გარეშე დარჩენას, ყველაზე აქტუალური და საინტერესოა. მით უფრო, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არ იგრძნობა ისეთი მაგალითების ნაკლებობა, როდესაც მრავალგზის დაპირებულ და ნავალდებულებ პროფილის შენარჩუნებას საკმაოდ იოლად და ყოველგვარი პრობლემის გარეშე ივიწყებენ ხოლმე.**

თუმცა, საქართველოს სავაჭრო ცენტრის შემთხვევაში ეს საფრთხე მაინც ნაკლებად აქტუალურად მოჩანს. და ეს იმის მიუხედავად, რომ ყოველთვის იარსებებს ეჭვი. ეჭვი, რომ შენობის პირველ სართულსაც შესაძლოა იგივე ბედი ეწიოს, რაც მეორეს და სასურსათო პროდუქცია საერთოდ განიდევნოს.

თუმცა, ერთია ეჭვი და მეორე - ობიექტური რეალობა. ამ შემთხვევაში კი ობიექტური რეალობა ის გახლავთ, რომ საქართველოს სავაჭრო ცენტრის წარმომადგენლებს არანაირად არ აწყობთ სასურსათო პროდუქციით ვაჭრობაზე უარის თქმა.

თავად განსაჯეთ: მეორე სართულზე ცნობადი სავაჭრო მარკების ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ტექნიკის, აუდიო-ვიდეო პროდუქციისა თუ სხვა ტიპის საქონლის განთავსებით მათ უკვე მიიზიდეს მომხმარებლის გარკვეული კატეგორია. თუმცა, ეს ნამდვილად არ არის ის კატეგორია, რომელსაც საშუალოზე ნაკლები შემოსავლები აქვს. ეს საქონელი სწორედაც რომ უფრო საშუალო და საშუალოზე მეტად შეძლებული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც, ტექნიკაც და სხვა მსგავსი პროდუქცია ნამდვილად არ არის იმ ჯგუფიდან, რომლის საყიდლადაც ადამიანი ყოველდღიურად გაირჯება. საშუალებაც რომ ჰქონდეს, ამას სურვილის არქონის გამო არ გააკეთებს.

სულ სხვაა სურსათი - პროდუქტი, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი თვით სურვილის არქონის შემთხვევაშიც კი ძალაუნებურად ყიდულობს, მარტივი სასიცოცხლო აუცილებლობა რომ დაიკმაყოფილოს. ასე რომ, სურსათით ვაჭრობაზე უარს არც ერთი ჭკუათმყოფელი სავაჭრო ცენტრი არ იტყვის.

მათ შორის, ცხადია, არც საქართველოს სავაჭრო ცენტრიც, ვინაიდან ყველაფერს საფუძვლად მარტივი არითმეტიკა უდევს: თუ საყოფაცხოვრებო საქონლით ვაჭრობას შეუძლია რამდენიმე ათასი კლიენტი შეგმატოს, სასურსათო ვაჭრობა ამ ციფრს ათეულ ათასებამდე ზრდის. ასე რომ, აქ განსაკუთრებით რთული ველოსიპედის გამოგონება ნამდვილად არ არის საჭირო.



**ეს სქემა თავისი შინაარსით ბევრად უფრო რთულია, მაგრამ საბოლოო ანგარიშით გაცილებით უფრო ეფექტიანი შეიძლება გამოდგეს, ვიდრე ნებისმიერი სხვა. კერძოდ, სავაჭრო ცენტრი ფართს შესთავაზებს თავად პროდუქციის მწარმოებელს ,ანუ პროდუქციის შეძენა უშუალოდ ე.წ. პირველი ხელიდან მოხდება. ეს კი, პროდუქციის ხარისხზე უშუალო პასუხისმგებლის ცოდნის გარდა, არც მეტი, არც ნაკლები, პროდუქციის ფასის შემცირებასაც გულისხმობს, ვინაიდან თამაშგარედ რჩება ვაჭრობის პროცესში მოუშორებელ ჭირად ქცეული ერთეული - გადამყიდველი, რომელთა ოდენობაც ზოგიერთ პროდუქტზე რამდენიმეს აღწევს.**

მით უფრო, თუ ვაჭრობის სტანდარტებისა და პროდუქციის მოძიებისა თუ მომხმარებლისთვის მიწოდების ის სქემა ამუშავდა, რომელსაც სავაჭრო ცენტრში გეგმავენ.

ეს სქემა თავისი შინაარსით ბევრად უფრო რთულია, მაგრამ საბოლოო ანგარიშით გაცილებით უფრო ეფექტიანი შეიძლება გამოდგეს, ვიდრე ნებისმიერი სხვა. კერძოდ, სავაჭრო ცენტრი ფართს შესთავაზებს თავად პროდუქციის მწარმოებელს ,ანუ პროდუქციის შეძენა უშუალოდ ე.წ. პირველი ხელიდან მოხდება. ეს კი, პროდუქციის ხარისხზე უშუალო პასუხისმგებლის ცოდნის გარდა, არც მეტი, არც ნაკლები, პროდუქციის ფასის შემცირებასაც გულისხმობს, ვინაიდან თამაშგარედ რჩება ვაჭრობის პროცესში მოუშორებელ ჭირად ქცეული ერთეული - გადამყიდველი, რომელთა ოდენობაც ზოგიერთ პროდუქტზე რამდენიმეს აღწევს.

ცხადია, ეს ყველა სახის პროდუქტზე არ მოხერხდება, მაგრამ იქ, სადაც მსგავსი პრაქტიკის დანერგვა შესაძლებელია, პროდუქტის ხარისხის მართვა და ფასის შემცირება ნამდვილად რეალური ჩანს.

პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით საქართველოს სავაჭრო ცენტრში კიდევ ერთი სიახლის დანერგვა იგეგმება. კერძოდ, ხარისხის კონტროლის არსებული მოუქნელი და არაეფექტური მეთოდიკის ნაცვლად, ცენტრში საკუთარი ლაბორატორიის ჩამოტანას და დამონტაჟებას აპირებენ, რომელიც არა მარტო ხორცს, არამედ მწვანილის ჩათვლით ყველა სასურსათო პროდუქტის შემოწმებას მოახდენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში თუნდაც იმავე კარტოფილის წარმომავლობის შეუიარაღებელი თვალით გარჩევა საკმაოდ რთულია (ნაკლებადხარისხიანი თურქული და ბევრად უკეთესი ქართული კარტოფილი ერთ პირობებში და ერთ ფასად იყიდება), ამ ლაბორატორიის ამუშავება გაცილებით გაადვილებს ხარისხის დადგენასაც და მომხმარებლის არჩევანსაც, რა და როგორ ფასად იყიდოს.

პროდუქციაზე ფასების დარეგულირების კიდევ ერთი მექანიზმი ახალი სავაჭრო ცენტრის კომპაქტურობა და გამყიდველისთვის უფრო იოლი ხელმისაწვდომობა იქნება. ეს, ერთი შეხედვით, მყიდველისთვის ნაკლებად საგულისხმო მომენტი, საბოლოოდ, კვლავაც მის ჯიბეზე აისახება: **ახალ ცენტრში მოვაჭრისთვის ადგილის იჯარით აღება გაცილებით იაფი ეღირება, ვიდრე დღეს ღირს. იმავდროულად, განსხვავებულად დაპროექტებული პავილიონები საშუალებას გააჩენს, რომ იმავე ფართობზე დღეს მოვაჭრე 80-ზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი - 250-მდე ადამიანი დასაქმდეს, რაც ცხადია კონკურენციის ზრდის და ფასების დაბალანსების კიდევ ერთი ასპექტია. და ეს ყველაფერი იმის გათვალისწინებით, რომ დღეს პირველ სართულზე ათვისებული 1500 კვადრატული მეტრის ნაცვლად (დანარჩენი წყალგაყვანილობის და ანტისანიტარიის გამო ვერ გამოიყენება), რემონტის შემდეგ მთელ სადაგი ფართი - 4000 კვადრატული მეტრი იქნება ათვისებული, რაც საფასო პოლიტიკაში კიდევ ერთი ლავირების ბერკეტი იქნება.**

ამ გარემოებათა ჯამი თავისთავად ამცირებს იმ საფრთხეს, რომ შენობის რეკონსტრუქციაში ჩადებული საკმაოდ სოლიდური თანხების გამო, შესაძლოა, პროდუქციაზე ფასებმა მოიმატოს. ეს რისკი არათუ მინიმიზებული იქნება, როგორც სავაჭრო ცენტრში აცხადებენ, მთელი ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ ფასები დაიწევს კიდეც.

ასე რომ, ამ მხრივაც განსაკუთრებით სანერვიულო არაფერია. ერთადერთი პრობლემა რემონტის ხანგრძლივობაა, რომლის ზუსტად განსაზღვრაც მხოლოდ ბაზრის ქვედა სართულის დემონტაჟის მერე მოხერხდება. თუმცა, თუ ყველაფერი დადგენილი გრაფიკით წარიმართა, სავაჭრო ცენტრში ირწმუნებიან, რომ ის ყველაფერი რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სიტყვიდან საქმედ უკვე წლის დამლევს - 1 დეკემბრისთვის იქცევა.

**თამარ კაკაბაძე**

# შეზღუდვების ბუმი იტალიაში

*როგორც ჩანს, აპენინის ნახევარკუნძულზე გარემოს გაჯანსაღების ბუმია. მას შემდეგ, რაც იტალიაში არამწეველი მოსახლეობის უფლებების დაცვის საბაბით მნიშვნელოვნად შეზღუდეს მწეველთა უფლებები, მსგავსი საფრთხე ავტომოყვარულებსაც დაემუქრათ.*

სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება, რომ მიმდინარე წლიდან ძალაში შევიდა კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ავტომობილების მფლობელთა უფლებებს. აღნიშნული კანონის ამოქმედებისთანავე, დროის გარკვეულ მონაკვეთში, მათ ავტომობილით სარგებლობა აეკრძალებათ.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ქალაქის ხელმძღვანელობამ მანქანებით მოძრაობის აკრძალავის განრიგი თავად უნდა შეიმუშაოს. მაგალითად, როგორც შაბათს რომის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა განაცხადეს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში პირადი ტრანსპორტით სარგებლობა აკრძალულია დილის ათი საათიდან დღის ექვს საათამდე. ასეთივე შეზღუდვები მილანშიც დაწესდა - 9.00-დან 12.00-მდე და 15.00-დან 18.00-მდე. მეგაპოლისების მაგალითს შედარებით მცირე ქალაქებმაც მიბაძეს - ბრეშიამ, ბერგამომ, კომომ.

აქამდე შეზღუდვები მოქმედებდა ვენეციას, ტურინსა და ვერონაში. ახლა ფლორენციის მუნიციპალიტეტმაც მიიღო დადგენილება, რომელიც კვირაში სამი დღის განმავლობაში ქალაქის ძველ უბნებში ისეთი მანქანების მოძრაობას კრძალავს, რომლებიც სპეციალური გამფილტრავი მექანიზმებით არ არიან აღჭურვილი.



*ძნელი გასარკვევი გახდა, რა უფრო აბინძურებს გარემოს, - ქალაქის ცენტრისგან მოშორებით საცობებში გაჭედილი ათასობით მანქანა, თუ მათი თავისუფალი მოძრაობა ცენტრში.*

ხელისუფლების აზრით, კანონის მიღებამ ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის ქალაქებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი.

საინტერესოა, რომ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებში ასეთი პრაქტიკა დიდი ხანია, არსებობს. მაგალითად, გერმანიის ქალაქებში ტარდებოდა სპეციალური ეკოლოგიური დღეები, რომლის დროსაც ავტოტრანსპორტს ქალაქის ცენტრში, უბრალოდ, არ უშვებდნენ. თუმცა, მაშინ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ "ეკოლოგიურმა დღეებმა", პირიქით, ქალაქის მდგომარეობა გააუარესა. საქმე ისაა, რომ დანიშნულების ადგილზე რაიმენაირად მიღწევის სურვილის მქონე გერმანელების დიდი მასა ქალაქის გარეუბნებში გადავიდა, რის გამოც უზარმაზარი საცობები იქმნებოდა. ამიტომ ძნელი გასარკვევი გახდა, რა უფრო აბინძურებს გარემოს, - ქალაქის ცენტრისგან მოშორებით საცობებში გაჭედილი ათასობით მანქანა, თუ მათი თავისუფალი მოძრაობა ცენტრში.

*24 საათი*

# ხორვატიის მოქმედი პრეზიდენტი მეორე ვადით გააგრძელებს მართვას

ოფიციალური მონაცემებით, ხორვატიაში კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩენების მეორე ტურში მოქმედმა პრეზიდენტმა სტიპე მესიჩმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 66 პროცენტი მოაგროვა. მის მეტოქეს, მმართველი მემარჯვენე-ცენტრისტული დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელს, ვიცე-პრემიერს იადრანკა კოსორს მხარი ამომრჩეველთა მხოლოდ 34 პროცენტმა დაუჭირა.

ამგვარად, 70 წლის მესიჩი მეორე ვადით დარჩება სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. როგორც სტიპე მესიჩმა არჩევნების შემდეგ განაცხადა, ევროკავშირში შესვლა ხორვატიისთვის ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ პრიორიტეტად უნდა იქცეს. "ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი კანონმდებლობის მიღება და ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილებაა, მაგრამ ამის მიღწევა ეკონომიკის აღორძინებისა და უმუშევრობის შემცირების გარეშე შეუძლებელია," - განუცხადა მესიჩმა სააგენტო "როიტერსის" ჟურნალისტებს.



*სტიპე მესიჩს მეორე ინაუგურაცია ელის.*

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ხორვატიის ევროკავშირთან მიერთების პროცესზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს. ხორვატიასა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკება 17 მარტისთვისაა დანიშნული. მისი შედეგები უფრო მეტად იმაზე იქნება დამოკიდებული, ითანამშრომლებს თუ არა ზაგრები ჰააგის ტრიბუნალთან სამხედრო დამნაშავეთა გადაცემის საქმეში.

აღნიშნულის მიუხედავად, გუშინ დასავლურ პრესაში მესიჩის ხელმეორედ არჩევას თითქმის ოვაციით გამოეხმაურნენ. დასავლელი დიპლომატები ღიად აცხადებდნენ, რომ მესიჩი კარგად დააბალანსებს სათავეში მყოფ მემარჯვენე-ცენტრისტულ დემოკრატიულ კავშირს. გარდა ამისა, მისგან ხორვატი ეროვნების სამხედრო დამნაშავეთა ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემასაც მოელიან.

*ინტერ-პრესი*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ახალგორის რაიონის 9 ძმის საკრებულოს ელექტრო-გადამცემი ხაზების რეაბლიტაციის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება 9 ძმის საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი,
სოფელი დადიანეთი, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი გელა ჩიტიშვილი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 25 იანვრიდან 01 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1 600 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი
სოფელ დადიანეთი, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი გელა ჩიტიშვილი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 01 მარტამდე 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ახალგორის რაიონის ქარჩოხის საკრებულოს ელექტრო-გადამცემი ხაზების რეაბლიტაციის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქარჩოხის საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი,
სოფელი ბალაანი, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი გელა ბალაშვილი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 25 იანვრიდან 01 მარტამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1 900 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი
სოფელ ბალაანი, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი გელა ბალაშვილი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 01 მარტამდე 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# დემოკრატია დსთ-ში

კრისტოფერ სმითი
*კონგრესმენი ნიუ-ჯერსის შტატიდან (რესპუბლიკური პარტია), აშშ-ს ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე „ვაშინგტონ თაიმსი"*

გასულ წელს ქვეყნებს, რომლებიც ადრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შედიოდნენ, ნამდვილმა პოლიტიკურმა ცუნამიმ გადაუარა. 2003 წლის ქართული "ვარდების რევოლუცია" და უკრაინაში გაგრძელებული "ნარინჯისფერი რევოლუცია" რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების მმართველი ელიტისათვის ნამდვილი გამოწვევაა; რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ძალისხმევას, რომელიც ყოფილ საბჭოთა იმპერიაზე შეძლებისდაგვარად სრული კონტროლის შენარჩუნებისკენ არის მიმართული, ჩაშლა ემუქრება. საბოლოოდ კი გამოვიდა ისე, რომ ამ რეგიონის ყველა ქვეყანაში ლიდერებმა, რომლებიც მანამდე კომუნისტურ ელიტას განეკუთვნებოდნენ, ოლიგარქიულ ჯგუფებთან კავშირის დამყარებით, ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე სხვადასხვა დონით მოიპოვეს კონტროლი. ამ ქვეყნების ლიდერები აცხადებენ, რომ ზედმიწევნით მისდევენ დემოკრატიულ ვალდებულებებს, რომლებიც 1992 წელს ითავეს, როდესაც მათი ქვეყნები ეუთო-ში გაწევრიანდნენ. თუმცა, ისინი არჩევნების შედეგების გაყალბებისა და პოლიტიკური მეტოქეების ჩახშობის გზით მაინც ხელისუფლებაში რჩებიან. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების კონტროლი იქამდე მიდის, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართვის ეშინია. სწორედ ამ მიზეზთა გამო პოლიტიკა რჩება იმ დარგად, სადაც მხოლოდ "ჩვენიანები" დაიშვებიან. ასეთმა ტაქტიკამ კრემლს კარგი სამსახური გაუწია. ავტოკრატიული სისტემის მომხრე რუს პოლიტიკოსთა აზრით, სადავო ლეგიტიმურობის მქონე ლიდერებთან ალიანსის დამყარებით კრემლს შეეძლო, თავისუფლად ესაუბრა "დასავლეთის ჩარევისათვის" წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე. დასავლეთის მხრიდან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა ხომ კრემლის პოლიტიკის მესვეურებში დაუფარავ გაღიზიანებას იწვევს.

90-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, დსთ-ს დამკვირვებელთა დელეგაციები რუსეთის წარმომადგენელთა მეთაურობით, ყოველთვის დადებითად აფასებდნენ დსთ-ს ქვეყნებში გამართულ არჩევნებს, რომლებსაც ეუთო-ს დამკვირვებლები აკრიტიკებდნენ. ამ ნაბიჯით მოსკოვი ახდენდა მხოლოდ იმის დემონსტრირებას, რომ აშშ-საგან განსხვავებით, დსთ-ს ქვეყნებს საკუთარ ტერიტორიაზე ყველაფრის უფლებას მისცემდა და მომაბეზრებელი ჭკუის დარიგებების ნაცვლად, მათი ერთგული მხარდამჭერი დარჩებოდა. ახლახან უკრაინაში განვითარებული მოვლენები იმ პროცესის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც შარშან კავკასიაში დაიწყო. მსგავსი ქმედების ყოველი წარმატებული მაგალითი სხვა ქვეყნებში ოპოზიციურ მოძრაობას აძლიერებს და ღარიბ, დაღლილ ხალხს ცვლილებების განხორციელების იმედს აძლევს. სურათი, სადაც გამარჯვებული ვიქტორ იუშენკო და მიხეილ სააკაშვილი კიევში დამოუკიდებლობის მოედანზე ხვდებიან ახალ წელს, უდავოდ იწვევს დსთ-ს სხვა ქვეყნების ლიდერების შეშფოთებას. დსთ-ს დამკვირვებლების მხრიდან უკრაინაში ჩატარებული არჩევნების გაკრიტიკება პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველი პრეცედენტი იყო. მათ არ მოიწონეს 26 დეკემბრის განმეორებითი კენჭისყრა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს შედეგების კანონიერება.

კრემლისთვის ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა. საერთო სახალხო მშვიდობიან პროტესტს, რომელსაც არჩევნების დასავლური სტანდარტებით ჩატარებაში ეუთო ეხმარება, წარმატებით შეუძლია კორუმპირებული რეჟიმების გადაგდება. "ვარდების რევოლუციის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის აღმასვლა, არა მარტო ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული და დაძველებული რეჟიმის დასასრულს მოასწავებდა, პირველი სახალხო ამბოხების სიმბოლოდაც იქცა იმ ფსევდოდემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ყოფილი სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული.

თუ საქართველოს "ვარდების რევოლუცია" კარგს არაფერს უქადდა კრემლს, კიევში დატრიალებული "ნარინჯისფერი რევოლუცია" მისთვის ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. გარდა იმისა, რომ ვლადიმირ პუტინმა, რომელიც დაუფარავად უჭერდა მხარს პრორუსულ კანდიდატს ვიქტორ იანუკოვიჩს, სახალხოდ დაკარგა სახე. დღეს უკვე ვერავინ იტყვის, რომ ხალხის ძალა სხვა არაფერია თუ არა ანომალია, რომელიც მხოლოდ სადღაც ველურ კავკასიაში - პატარა, არასტაბილურ და ქაოტურ საქართველოში შეიძლება არსებობდეს. სად გაჩერდება რევოლუციის ვირუსი? მოსკოვს ეს ძლიერ აწუხებს და საპასუხო დარტყმის მიზნით ეუთო-ზე თავდასხმა დაიწყო. რუსეთი ყველა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოსა და ეუთო-ს წევრ-ქვეყნებთან ერთად ოფიციალურად შეთანხმდა, რომ ხალხის ნებაზე დამყარებული დემოკრატია, რომელიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზეა გამოხატული, ჩვენს ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმის ერთადერთი მისაღები ფორმაა. თუმცა, გასული წლის ივლისში, როდესაც რუსულ ალიანსს საფრთხე დაემუქრა, მოსკოვი დსთ-ს სივრცეში ზოგიერთ თანამოაზრესთან ერთად დემოკრატიის სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ეუთო-ს "დაუბალანსებელ" მოთხოვნებზე აყვირდა. ამას სექტემბერში არჩევნების ჩატარების თითქოსდა დამახინჯებულ სტანდარტებზე, რითაც ეუთო ხელმძღვანელობს, მორიგი იერიში მოჰყვა (სხვათა შორის, ამის პასუხად, ოქტომბერში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ ეუთო-ს ცენტრალურ სხდომაზე 106-მა სამართალდამცველმა, რომლებიც ძირითადად დსთ-ს ქვეყნებს წარმოადგენდნენ, აღნიშნული განცხადება მკვეთრად გააკრიტიკა).

ამჟამად, მოსკოვი ეუთო-ს საქმიანობის პარალიზებით იმუქრება თუ ორგანიზაცია დიდი ხნის წინ საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებზე უარს არ იტყვის და სტანდარტებს არ შეარბილებს. მოსკოვი "დაბალი სტანდარტების" დაწესებას მოითხოვს, რომლის შესრულებაც დარღვევებით ჩატარებულ არჩევნებსაც კი "სამართლიანსა და თავისუფალს" გახდის.

რუსები იმასაც მოითხოვენ, რომ დემოკრატიის მხარდაჭერა და ადამიანის უფლებების დაცვა დსთ-ს ქვეყნებში ეუთო-ს მისიების მუშაობის პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდეს. რუსეთი აცნობიერებს იმ პუნქტების მიღმა მდგარი იდეალების ძალას, რომლის შესრულებაც ეუთო-მ ითავა და ამიტომაც აგრძელებს ეუთო-ს დისკრედიტაციას. შეერთებული შტატებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ამაზე გადამწყვეტი პასუხის გაცემა. ეუთო-მ არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას უარი საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში "მართვადი დემოკრატიის" "წინასწარმეტყველ" პუტინს ასიამოვნოს. შესაძლოა, მოსკოვი იქამდეც მივიდეს, რომ ეუთო-ში კრიზისი გამოიწვიოს, ან საერთოდ შეწყვიტოს მისი არსებობა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში აშშ და მისი დემოკრატიული პარტნიორები ევროპაში, რომლებიც უკრაინაში არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ, რუსეთის წინაშე არავითარ დათმობაზე არ უნდა წავიდნენ. ეუთო-ს მხრიდან მნიშვნელოვანი დათმობები არა მხოლოდ მის არსებობას დააყენებს ეჭვქვეშ, აგრეთვე დარტყმას მიაყენებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მიილტვის.

**მოამზადა კოტე ელიზბარაშვილმა**

# ირანი - აშშ-ს შემდეგი სამიზნე?

"ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო არჩევნებში ხელმეორედ გამარჯვება გასული წლის შემოდგომაზე აშშ-ის პრეზიდენტის ერთადერთი მონაპოვარი არ ყოფილა. მას პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში ტერორიზმთან ბრძოლის ჭრილში ირანის წინააღმდეგ ძლიერ აგრესიული და ამბიციური დღის წესრიგი აქვს", ამ სიტყვებით იწყება ცნობილ ამერიკულ ჟურნალში "ნიუ იორკერ"-ში ეროვნული უშიშროების ამბების შესახებ გამოქვეყნებული სტატია სათაურით: "მომავალი ომები". სტატიის ავტორი, ჟურნალისტური გამოძიებებით ცნობილი სეიმურ ჰერშია, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აბუ გრაიბის ციხეში ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილი სასტიკი ქმედებები საჯაროდ ცნობილი გახადა. ჰერშის სტატიას აშშ-ს გეგმებზე ირანის მიმართ უკვე გამოეხმაურა თეთრი სახლი. მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლი არ უარყოფს ბირთვული პროგრამის ფლობის გამო ირანის სერიოზული საფრთხის წყაროდ აღქმას, ადმინისტრაციის პრესმდივანმა დენ ბარტლეტმა ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-ის ეთერში გამოსვლისას სტატიას "უზუსტობებით გამოტენილი" ნამუშევარი უწოდა, რომელიც არ ეყრდნობა ფაქტებს. იმავდროულად, მან აღნიშნა ისიც, რომ "დიპლომატიური ინიციატივები", რომელთა მიზანიც ბირთვულ ამბიციებზე უარის თქმაში თეირანის დარწმუნებაა, ძველებურად გაგრძელდება.

სტატიის ავტორის თქმით, აშშ-ს "შემდგომ სტრატეგიულ მიზნად" ირანის გადაქცევის შესახებ მას სწორედ დაზვერვის თანამშრომლებმა ამცნეს, რომლებმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინეს. აშშ-ს დაზვერვას კი ინფორმაცია პაკისტანის ხელისუფლებამ მიაწოდა. ჟურნალისტის თქმით, აშშ-ს სპეცდანიშნულების ძალები გასულ წელს ირანის ტერიტორიაზე მთელი 6 თვის მანძილზე ატარებდნენ სადაზვერვო ოპერაციას. ბუშისეული ანტიტერორისტული გეგმის საჰაერო დარტყმების პოტენციურ სამიზნეებად ირანის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული ობიექტები და სარაკეტო დანადგარებია შერჩეული. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ აშშ-ს სპეცდანიშნულების ქვეგანყოფილების მოქმედებას მხარს ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის 10 ქვეყანა უჭერდა. ჰერშის თქმით, მასთან საუბარში პენტაგონის ზოგიერთმა კონსულტანტმა ისიც აღნიშნა, რომ ირანზე დარტყმა, რაც შეიძლება მეტი სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურების აუცილებლობითაა გამოწვეული. "ეს ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული დიდი ომია, რომელშიც ერაყი მხოლოდ ერთი რიგითი კამპანია იყო. ბუშის ადმინისტრაციას ეს რეგიონი უმსხვილეს საომარ ზონად მიაჩნია, შემდეგი კი ირანი იქნება,"- განაცხადა სადაზვერვო სამსახურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

# ვის მივმართოთ საბინაო საკითხებზე

*საბჭოური სახლმმართველობები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მოსახლეობას დღემდე უჭირს ორიენტირება, თუ რომელ სტრუქტურებზე გადანაწილდა მათი ფუნქციები და ვის უნდა მიმართოს ამა თუ იმ კონკრეტულ საბინაო საკითხთან დაკავშირებით. ამის გასარკვევად "24 საათი" საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრის უფროსს ზურაბ ახმეტელს დაუკავშირდა.*

ნანა ყაველაშვილი

მას შემდეგ, რაც, შესაბამისი კანონმდებლობით, ჩაწერის ინსტიტუტი გაუქმდა, ხოლო ბინების უმეტესობა პრივატიზაციით კერძო საკუთრებაში გადავიდა, სახლმმართველობებს ფუნქციები შეუმცირდათ. საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრის უფროსის ზურაბ ახმეტელის თქმით, მოქმედი კანონმდებლობით, ბინათმფლობელობის და გაფორმება-გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოქალაქეებმა საკუთარი რაიონის ნოტარიუსებს უნდა მიაკითხონ.

რაც შეეხება საცხოვრებელ სახლებსა და ბინებთან დაკავშირებულ ნებისმიერი ტექნიკური ხასიათის ინფორმაციას, ზურაბ ახმეტელის თქმით, დღეისთვის ის საჯარო რეესტრშია თავმოყრილი. საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქემ საჯარო რეესტრიდან საკუთრების შესახებ ამონაწერი უნდა აიღოს. მასში კუთვნილი საცხოვრებლის შესახებ მფლობელისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია იქნება მოცემული. ეს ამონაწერი იურიდიულ დოკუმენტად ითვლება. მისი მოქმედების ვადა ერთი თვეა. ერთი თვის გასვლის შემდეგ ის იურიდიულ ძალას დაკარგავს და ახლის აღება იქნება საჭირო.

ქალაქში ჯერ კიდევ შემორჩენილია ეგრეთ წოდებული, საუწყებო დაქვემდებარებაში არსებული საბინაო ფონდი. ამ არაპრივატიზებულ ბინებს საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრი განაგებს მხოლოდ ორდერის, ანუ მიღება-ჩაბარების საკითხში.

ცოტა ხნის წინათ მოსახლეობაში სახლმმართველობების სახეცვლილი მემკვიდრის - სერვის-ცენტრების გაუქმების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, რაც უარყო საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრის უფროსმა ზურაბ ახმეტელმა. მისი თქმით, სერვის-ცენტრები კი არ გაუქმდა, პირიქით, ისინი უფრო მრავლდება და ვითარდება.

**"დღეისათვის დედაქალაქში ბინების უმეტესობა პრივატიზებულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომ, თითოეულმა მოსახლემ და კორპუსმა თავად უნდა მიხედოს თავის საბინაო-კომუნალურ მეურნეობას. ყოფილი სახლმართველობების საფუძველზე შექმნილი არსებული სერვის-ცენტრები მოსახლეობის დასახმარებლად ჩამოყალიბდა. მოქალაქეთათვის მათი მომსახურეობით სარგებლობა ნებაყოფლობითია და არა - სავალდებულო. სურვილის შემთხვევაში, თითოეული კორპუსისა თუ სადარბაზოს მოსახლეობას შეუძლია, შეარჩიოს შესაფერისი პიროვნება, ჩამოაყალიბოს სერვის-ცენტრი, გააფორმოს ის იურიდიულად, აიღოს შტამპ-ბეჭედი და გახსნას ანგარიში. შერჩეული პიროვნება, შემდგომ უკვე სერვის-ცენტრის უფროსი, ადგილობრივ მცხოვრებთა ნებაყოფლობით შემოწირული თანხების საშუალებით მოაგვარებს საბინაო-კომუნალურ პრობლემებს და მიიღებს ანაზღაურებას. გარდამავალ პერიოდში, ვიდრე კორპუსში სერვის-ცენტრი ჩამოყალიბდება და განვითარდება, ქალაქის მთავრობა მოსახლეობას დაეხმარება მისასვლელი გზებისა თუ დაზიანებული სახურავების შეკეთებაში",** - განმარტავს ზურაბ ახმეტელი.

უბის წიგნაკი

# სასწაულით გადარჩენილი ნათია



ნათია აფხაზეთიდან 1998 წელს ჩამოვიდა დედასთან - მარიკასთან, ძმასთან, დასთან და ბებიასთან ერთად. მარიკას ქმარი ოჯახის თვალწინ ცოცხლად დაიწვა. ზუგდიდში ფეხით ჩამოსულებს, რა თქმა უნდა ხელცარიელებს, წასასვლელი არსად ჰქონდათ, თავი ადგილობრივ რაიონულ საავადმყოფოს შეაფარეს და ღონემიხდილებს იატაკზე ეძინათ. არაფერი ებადათ - არც საბანი, არც საწოლი, არც ჭურჭელი... სრულიად არაფერი. დახმარება ითხოვეს, მაგრამ ვერც ერთი პროგრამის ფარგლებში ვერ მოხვდნენ. თუმცა, დამხმარე მაინც აღმოჩნდა - ასოციაციამ "S.O.S ქართველი ბავშვები", რომელმაც მათ დახმარების ხელი გაუწოდა. ორ დღეში ნათიას და მის ოჯახს საწოლებიც ჰქონდათ, საბნებიც, მაგიდაც, ცოტაოდენი ჭურჭელიც და წითელმა ჯვარმა ტანსაცმელიც გამოუყო.

მაშინ ექვსი თვის ნათიას დედა პურითა და შაქრიანი წყლით კვებავდა. პატარამ მალე ზრდა შეწყვიტა, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც ყველა მძიმე ავადმყოფობას გადაურჩა. ერთ დღეს, როცა პრინცესა ვერონიკა მიურატი ესტუმრა, ბავშვი, ფაქტობრივად, სიკვდილის პირას იყო. პრინცესამ ურჩია მარიკას, პატარა აუცილებლად მოენათლათ და ორივენი ეკლესიაში გაეშურნენ. ნათია მონათვლისთანავე გამოკეთდა. ყველა მეზობელმა საკუთარი თვალით იხილა ეს სასწაული და ეს დღე მათთვის დღესასწაულად იქცა. სამწუხაროდ, ავადმყოფობამ კვალი მაინც დატოვა. დედა-შვილი იძულებულია, ყოველთვიურად ჩამოვიდეს თბილისში, რომ ნათია ექიმს გაესინჯოს. ამისთვის მას 90 ლარი ესაჭიროება, პლუს მგზავრობისთვის საჭირო 28 ლარი. ისიც საგულისხმოა, რომ, უსახსრობის გამო, მარიკა ვერ ახერხებს ნათიას საფუძვლიან მკურნალობას. ბავშვს უკვე კბილებიც სამკურნალო აქვს.

ამ ზაფხულს ნათიას დასთან ერთად ქაღალდის დათვის წინ სურათი გადაუღეს. სწორედ ამ პატარა, გოგონას დახმარებას გთხოვთ, ძვირფასო მკითხველო. თუ დახმარების სურვილი გექნებათ, მიმართეთ ორგანიზაციის ოფისს თბილისში, ზანდუკელის 28(ა)-ში; ან ჩარიცხეთ თანხა სს "ინტელექტბანკის" ზუგდიდის ფილიალში: სავალუტე ანგარიში - №361800021, სალარე ანგარიში - №36080047.

ქრონიკები

# ერთი სოფლის სკოლის გასაჭირი

ლელა მარგიანი

*ლაგოდეხის რაიონში, მდინარე არეშის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი არეშფერანი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე იგი ჩვეულებრივი საბჭოური სოფლის ცხოვრებით ცხოვრობდა. ამჟამად მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, უცვლელია მხოლოდ სოფლის დასაწყისში მდგარი, ჟამთასვლას გადარჩენილი წმინდა ხოშატის ეკლესია, რომელსაც სახელმწიფო მაშინაც იცავდა და დღესაც იცავს. თუმცა, ზრუნვა ტაძარს ნაკლებად ეტყობა.*



ლელა მარგიანის ფოტო

*ნესტიანი კედლები ბევრგან ჩამოშლილია და კომუნისტების დროინდელი წითელი აგურები მოჩანს*

ისტორიული ქალაქის არეშის მიდამოებში გაშენებული ულამაზესი სოფელი არეშფერანი კომუნისტების დროს სოფსაბჭოს ცენტრი იყო. მასში, არეშფერანის გარდა, შედიოდა სოფლები: ზემო და ქვემო ბოლქვი, არეში, ქევხიანი და ხოშატანი. რაიონული ცენტრიდან ოცდახუთი კილომეტრით დაშორებულ სოფელში, რომელშიც ოსური მოსახლეობა ცხოვრობს, იყო კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობა, საშუალო და მუშა-ახალგაზრდობის სკოლები, კლუბი კინოდანადგარითურთ, ორი ბიბლიოთეკა, ამბულატორია, კავშირგაბმულობის განყოფილება. სოფელში განვითარებული იყო მეთამბაქოეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა და მეცხოველეობა; ერთი სიტყვით, ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა.

ამჟამად კი ყველაფერი შარშანდელი თოვლივით გამქრალია - აღარც ამბულატორია და ბიბლიოთეკებია, აღარც კინოდანადგარიანი კლუბი, აღარც კავშირგაბმულობის განყოფილება და რაღა თქმა უნდა აღარც - ხეთაგუროვის სახელობის მდიდარი კოლმეურნეობა.

როგორც სოფლის გამგებელმა ტარიელ თედეევმა გითხრა, სოფელი ისევე ცხოვრობს, როგორც საქართველოს ნებისმიერი სოფელი: თუ ადრე იქ 1500 მოსახლე იყო, ახლა ნახევარზე მეტი სოფლიდან წასულია. ხუთასკომლიან სოფელში სახლების მეოთხედი დაცლილი და დაკეტილია. **"90-იანი წლების დასაწყისში წავიდა მოსახლეობის ძირითადი ნაკადი. მაშინ "მხედრიონობა" რომ დაიწყო, რამდენიმე მოსახლეს ასაფეთქებელი გადაუგდეს ეზოში, - აქედან წადითო. მაგრამ მერეც, როცა ყველაფერი დაწყნარდა, ბევრი, ეკონომიკური მდგომარეობის გამო წავიდა სოფლიდან, რადგან სამუშაო აღარ იყო. ადრე ძლიერი კოლმეურნეობა გვქონდა: იყო ფერმები, მოგვყავდა თამბაქო, აბრეშუმი, ვენახში ვმუშაობდით. დღეს ყველაფერი გაქრა. ამიტომ ახალგაზრდობა ორჯონიკიძეში მიდის. ალბათ, სოფელში არსებული რუსული სკოლაც უწყობს ხელს ახალგაზრდობის რუსეთში გასვლას, თორემ ჩემმა ბიჭებმა ლელიანის ქართული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისში გააგრძელეს. იმასაც ვიტყვი, რომ არც ისაა მართალი, თითქოს საქართველოში ოსი ეროვნების ახალგაზრდა უმაღლესში ვერ მოეწყობა. ჩემმა შვილებმა ხომ დაამთავრეს უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი და არსადაც არ გადახვეწილან",** - გვითხრა ძველ სამხედრო "ბუშლატაში" გამოწყობილმა სოფლის თავკაცმა.

მეგობრის ნათქვამს დაეთანხმა არეშფერანის საკრებულოში შემავალი მეზობელი სოფლის, ბოლქვის რუსული სკოლის დირექტორი ალიოშა გაგიევი, რომლის ხუთივე შვილი რუსულ სკოლაში სწავლობდა და ამჟამად საქართველოში არც ერთი აღარ ცხოვრობს - ორი ბიჭი შორეულ ირკუტსკშია, გოგოები - ორჯონიკიძეში არიან გათხოვილები. **"დედა, მეუღლე და მე ვართ, შვილების გარეშე",** - ვერ ფარავს თავის გულისტკივილს ბატონი ალიოშა.

ჩვენი შეხვედრა და საუბარი არეშფერანის სკოლის შენობაში მიმდინარეობდა, სადაც ჟურნალისტები სპეციალურად ვიყავით ჩასულები სკოლის ეზოში არაკაცების მიერ ათიოდე წლის წინათ აფეთქებული კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის სანახავად.

სოფელ არეშფერანის ლამაზ-ზოიანი, საუკუნოვანი ხეებით დამშვენებული, ერთ დროს მშვენიერი სკოლის კაპიტალური შენობა "სულს ღაფავს" არა მხოლოდ იმიტომ, რომ, 400-500 ბავშვის მაგივრად, ამჟამად იქ მხოლოდ 55 მოსწავლე ჰყავთ, არამედ იმიტომაც, რომ სკოლის შენობა, ფაქტობრივად, ავარიულია: საფუძვლიანად შესაკეთებელი სახურავის გამო, წვიმის დროს საკლასო ოთახებშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ. ათიოდე წლის წინათ დატრიალებული ამბების "წყალობით", სკოლის კედლები ნატყვიარებითა და ჭურვის ნამსხვრევებით არის დაცხრილული და გამჭოლი ქარი უბერავს; თითქმის არც ერთი შუშა არაა მთელი და, უკეთეს შემთხვევაში, ფანჯრის ჩარჩოებზე ცელოფანებია გადაკრული. პირველი სართული ხომ საერთოდ გაუქმებულია - ნესტიანი კედლები ბევრგან ჩამოშლილა და კომუნისტების დროინდელი წითელი აგურები მოჩანს.

სკოლის ახალგაზრდა დირექტორი თამაზ კაპანაძე მცირერიცხოვან, თხუთმეტკაციან პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ბევრჯერ ეცადა სახურავის სახელდახელოდ შეკეთებას, მაგრამ ძლიერმა ქარებმა მათი შრომა სულ წყალში ჩაყარა. **"ოცი წელია, სკოლის სახურავი არავის შეუკეთებია. გამგეობაში მეუბნებიან, რომ ამისთვის თანხა გამოყოფილია, მაგრამ ჯერ არაფერი მიგვიღია. ისე გამგებელი დაგვპირდა, -ზამთრისთვის (?!) შიფერსა და შუშებს აუცილებლად მოგაწვდითო. მაგრამ, მთლიანად სკოლის გარემონტებას საკმაო თანხა დასჭირდება. გამგეობაში გვითხრეს, - ხუთას ლარზე მეტს ვერ გავიღებთო. ამიტომ სხვა გზა არაა და, ასეთი რამ მოვიფიქრეთ: იმედი გვაქვს, ჩვენი სახსრებით 2500 ლარს თავს მოვუყრით (მასწავლებლები ვაპირებთ, ჩვენი ერთი თვის ხელფასი, რომელიც ერთად რვაას ლარამდე გამოდის, დავდოთ). თუ ნება დაგვრთეს, გვინდა სკოლის გარშემო გაშენებული აკაციების ზოლის გადაჭრა, რადგან გადანაჭრებისგან ვენახებისთვის ბოძებს ამზადებენ. ამაში, ალბათ, ათას ლარს ავიღებთ. მშობლები და მასწავლებლები რემონტისას ფიზიკურადაც ვიმუშავებთ, თორემ მშობლებს ნამდვილად ვერ მოვთხოვთ ფულის დადებას. ჩვენი სახსრები თანადაფინანსებას თუ გასწვდება, ამიტომ ტენდერში გვინდა მივიღოთ მონაწილეობა და, თუ გავიმარჯვებთ, სკოლა კაპიტალურად შეკეთდება. ჩათვალეთ ამ პროექტში ხართო, - გვაიმედებს გამგებელი",** - გულახდილად გვითხრა სკოლის ახალგაზრდა დირექტორმა, რომელიც თავად მეზობელი სოფლიდან - ლელიანიდანაა, მაგრამ, აგერ უკვე რვა წელია, არეშფერანის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს და იქაურობა ძალიან უყვარს.

სკოლას სხვა პრობლემაც მრავლად აქვს: მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა, სკოლაში ჯერ კიდევ არსებობს სამი წლის წინათ, 2001-2002 სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანება მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების პედაგოგებისთვის; ამავე დროს, იმ მიზეზის გამო, რომ სკოლის შენობაში დენი არ არის შეყვანილი, ვერა და ვერ მოხერხდა სკოლისთვის ქალბატონების - ზინაიდა ბესტაევასა და ნაირა ბეპიევას ძალისხმევით გამოყოფილი ორი კომპიუტერის შეტანა. არეშფერანის სკოლის კუთვნილი კომპიუტერები კიდევ ლაგოდეხშია. არადა, დენის სადენის შესაძენად სულ სამასიოდე ლარია საჭირო.

**"იქ სანდო ადგილას დევს კომპიუტერები და ჯერ იყოს. ჩვენს სკოლაში დენის ხაზი არ შემოდის, ჩვენით კი დენის შემოყვანა ვერ შევძელით. ისე, კომპიუტერებისთვის რკინის კარებიანი და გისოსებიანი ოთახი გამზადებული გვაქვს, მაგრამ დენიც რომ გავაკეთოთ, სკოლას დარაჯი არ ჰყავს და კომპიუტერების აქ მოტანა მაინც საშიშია. გულახდილად რომ ვთქვა, კომპიუტერებს ის გვერჩია, სკოლაში მეორე სართულზე სამი ოთახი მაინც გაკეთებულიყო. კომპიუტერი კარგია, მაგრამ, როცა ბავშვები საკლასო ოთახებში იყინებიან და სწავლისთვის ელემენტარული პირობები არა აქვთ, რა თქმა უნდა, რემონტი უკეთესია",** - გვითხრა გამომშვიდობებისას ბატონმა თამაზმა.

P.S. ვისარგებლებ შემთხვევით და მინდა, არეშფერანის სკოლის ახალგაზრდა დირექტორს მივულოცო მამობა და ვუსურვო, რომ მის პატარა ქალიშვილს მაინც ესწავლოს სკოლის განახლებულ შენობაში.

იყავით ჯანმრთელნი

# უშვილობა და სქესობრივი განათლება საქართველოში

*პირველი სინჯარის ბავშვი ამერიკაში 1979 წელს დაიბადა. ლიზა ბრაუნი დღეს 25 წლისაა და თავს მშვენივრად გრძნობს. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც უშვილო ოჯახებს საქართველოშიც მიეცათ შესაძლებლობა, ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით, ბიოლოგიური შვილი იყოლიონ. ვინაიდან ჩვეულებრივ სამშობიაროებს უშვილობანამკურნალები ქალებისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა უჭირთ, ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომავალი წლიდან უშვილობაზე ნამკურნალები ქალბატონებისთვის სამშობიარო ბლოკი გაიხსნება.*

თამარ დვალი

**"ვვარაუდობთ, რომ მომავალი წლისთვის ჩვენს ინსტიტუტში სამშობიარო ბლოკი ამოქმედდება. ამას შარშანაც ვგეგმავდით, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შევძელით. ეს მხოლოდ სინჯარის ბავშვებს არ ეხებათ, აქ უშვილობაზე ნამკურნალებ ყველა ქალბატონს შეეძლება მშობიარობა. რამდენიმე ხნის წინათ ამერიკაში 243-გრამიანი ბავშვი დაიბადა და მისი გადარჩენა ამერიკელმა ექიმებმა თავისუფლად შეძლეს. ჩვენთან კილოზე მეტი წონის ბავშვების გადარჩენაც კი ვერ ხერხდება. ამის მიზეზი დაბალი ტექნოლოგიები და კვალიფიკაციაა",** - აცხადებს "24 საათთან" საუბრისას იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე.

აღსანიშნავია, რომ სინჯარის ბავშვების რიცხვი საქართველოში თანდათან მატულობს. ხშირია ტყუპების დაბადება. იყო ორი შემთხვევა, როდესაც ოთხი ტყუპი გაჩნდა. სამწუხაროდ, აქედან მხოლოდ ერთი ბავშვის გადარჩენა მოხერხდა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ამ პროცედურის ჩატარება გაცილებით იაფია, თუმცა 100-პროცენტიან გარანტიას ექიმები ვერც ჩვენთან იძლევიან და ვერც საზღვარგარეთ.

არჩილ ხომასურიძის თქმით, უშვილობისა და სქესობრივი დარღვევების პრობლემა, უმეტეს შემთხვევაში, სქესობრივი განათლების დაბალ დონეს უკავშირდება. **"საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი სქესობრივად ინვალიდია. უკვე ოთხი წელია, რაც ჩვენი ექიმები რაიონებში დადიან და კონსულტაციებს უტარებენ მოსახლეობას. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ჯანმრთელი ადამიანების რიცხვი 10 პროცენტს არ აღემატება. ქალები, თითქმის, არ აკითხავენ გინეკოლოგს, სანამ მძიმედ არ დაავადდებიან. ამის მიზეზი კი მათი კომპლექსები და გაუნათლებლობაა. არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი სქესობრივი ინვალიდი, რამდენიც საქართველოშია",** - აღნიშნა არჩილ ხომასურიძემ.

იმისთვის, რომ საქართველოში სქესობრივი განათლების დონე ამაღლდეს, საჭიროა, მოსახლეობამდე სწორი ინფორმაცია მივიდეს. ამ ბოლო დროს მედიის საშუალებებით ხშირად ცხადდება, რომ სკოლებში ახალი საგანი - სექსოლოგია ისწავლება, რაც, სპეციალისტების აზრით, არასწორი განმარტებაა.

**"სექსოლოგია არის მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სექსუალურ დარღვევებს. რატომღაც ხშირად ხდება, რომ ლაპარაკობენ სკოლებში ახალი საგნის შემოღებაზე და იყენებენ ტერმინს - სექსოლოგიას, რაც არასწორია. ყველა ასაკის ადამიანს სჭირდება სქესობრივი განათლება, მათ შორის - მოსწავლეებსაც. ის, რაც ამერიკის სკოლებში მისაღებია, ჩვენთან, შეიძლება, მიუღებელი იყოს. საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა იმ ფაქტს, როდესაც სკოლებში უცხოური ორგანიზაციის წარმომადგენლები შევიდნენ და პირდაპირ გადათარგმნილი ბროშურები შეიტანეს. ერთ-ერთმა ორგანიზაციამ უხამსი ფოტოებით დასურათებული ბროშურებიც დაარიგა. ასეთ მიდგომას არც ჩვენ ვეთანხმებით",** - აღნიშნავს ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ჯენარო ქრისტესაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ სქესობრივი განათლების გაკვეთილები აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ბავშვებს, რადგან ეს აუცილებელია; თუმცა, იმ პირობით, რომ საზოგადოების მოთხოვნები დაცული იქნება.

**"ასეთი გაკვეთილების მიზანია, მოზარდმა იცოდეს, რა არის ნორმა და რა -პათოლოგია; რა დროს უნდა მიმართოს ექიმს და როგორ უნდა დაიცვას ჰიგიენის წესები,** - განმარტავს იგი, - **ბევრ ბავშვს დარღვევები აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ გაუმხილა მშობელს, დაგვიანებით აკითხავს ექიმს. რადგანაც გახშირდა უფროსკლასელების გათხოვება, საჭიროა, ავუხსნათ გოგონებს, რომ ნაადრევი სქესობრივი კავშირი და ფეხმძიმობა მავნებელია მათი ჯანმრთელობისთვის. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სქესობრივი განათლება არსებობს, ქორწინების ასაკი შედარებით მაღალია. აუცილებელია, მოზარდებს თავიდანვე ჩავუნერგოთ, რომ აბორტი არა მარტო რელიგიური თვალსაზრისითაა მიუღებელი, არამედ მავნებელია მათი ჯანმრთელობისთვის და იწვევს უნაყოფობას. აი, ეს არის ის საკითხები, რაზეც უნდა ვესაუბროთ მოზარდებს. ამის ახსნა კი, ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე, სპეციალისტების დახმარებით შეიძლება".**

თვალსაზრისი

# რა ბედი ეწევა საკონსტიტუციო სასამართლოს

ბადრი კოჭლამაზაშვილი
იურისტი

2004 წლის 29 დეკემბერს საერთო-სახალხო განხილვისათვის "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას მოქმედ კონსტიტუციაში. რამდენიმე საკითხთან ერთად, იგი ეხება საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

საინტერესოა, რა ადგილს დაიკავებს ახალი, რეფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო სახელისუფლებო სისტემაში მას შემდეგ, რაც იგი სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან გამოვა. მოქმედი კონსტიტუციით, ის სასამართლო ხელისუფლების ნაწილია, ანუ მისი ადგილი ხელისუფლების მესამე შტოშია, შემოთავაზებული პროექტით კი იგი ამ ადგილს დატოვებს და ხელისუფლების სამივე შტოს მიღმა აღმოჩნდება.



*საინტერესოა, რა ადგილს დაიკავებს ახალი, რეფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო სახელისუფლებო სისტემაში მას შემდეგ, რაც იგი სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან გამოვა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მსოფლიოში არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის ორი ძირითადი მოდელი: ამერიკული და ევროპული. ამერიკული მოდელის მიხედვით, კონტროლს ახორციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები, ხოლო ევროპული მოდელის მიხედვით - სპეციალური ორგანოები, უმეტესად, საკონსტიტუციო სასამართლოები. ჩვენ ვართ ევროპული მოდელის ქვეყანა, რადგან 1995 წლის კონსტიტუციით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება დაკისრებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ, არაოფიციალური წყაროების ცნობით, განზრახული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მთლიანი ლიკვიდაცია და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უზენაესი სასამართლოს მიერ ანუ ამერიკული მოდელის დამკვიდრება, აღნიშნული პროექტით, ევროპული მოდელი კვლავ შენარჩუნებულ იქნა, რაც სრულიად მისაღები და მართებული გადაწყვეტილებაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის მომენტი, თუ რამდენად შეინარჩუნებს იგი ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოსათვის დამახასიათებელ ნიშნებს ფორმირების წესში, კომპეტენციაში და სხვა საკითხებში.

საერთოდ, არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების რამდენიმე წესი, რომელთა შორის, ყველაზე გავრცელებული წესის მიხედვით, ფორმირებაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო). ასეთივე წესია გათვალისწინებული მოქმედი კონსტიტუციითაც, თუმცა პროექტის მიხედვით, სასამართლოს ცხრავე წევრს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს, ე.ი. მოსამართლეობის ცხრავე კანდიდატს ერთპიროვნულად ასახელებს პრეზიდენტი. ასეთივე წესი მოქმედებს რუსეთში, აზერბაიჯანში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო გავრცელებული ფორმების მიხედვით, სასამართლოთა დაკომპლექტებაში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს (იტალია, ესპანეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, უკრაინა და ა.შ.), ან ორი შტო მაინც - საკანონმდებლო და აღმასრულებელი (რუმინეთი, ჩეხეთი, ალბანეთი, სომხეთი, ბელორუსი და ა.შ.). ამ უკანასკნელ შემთხვევაში წევრების საერთო რიცხვი შუაზე ან სამზე იყოფა. აქედან ორი წილი პარლამენტს ეკუთვნის - თუ ორივე პალატა ცალ-ცალკე მონაწილეობს პროცესში.

ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობა ფორმირების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან თავად საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ხელისუფლების დაბალანსება, სამივე შტოს თანასწორობისა და ურთიერთკონტროლის უზრუნველყოფა. პარიტეტულ საწყისებზე სამივე შტოს მონაწილეობა სასამართლოს ჩამოყალიბების პროცესში, ანუ შემადგენლობის ბალანსირებული ხასიათი უზრუნველყოფს სასამართლოს იმგვარ ინსტიტუტად შენარჩუნებას, რომელიც არ აქცევს მას რომელიმე ხელისუფლების დანამატად ან რაიმე პარტიული ზეგავლენის ობიექტად და პოლიტიკური ინტერესების განმახორციელებლად. ამით აიხსნება ფორმირების დასახელებული წესის ფართო გავრცელება ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით - პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. საქართველოში კი დამკვიდრებული წესიდან გადახვევა ხდება და მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის მონაწილეობით შემოიფარგლება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი წესიც არის რამდენიმე ქვეყანაში დამკვიდრებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი პოლიტიკურად აქტიური ცხოვრების რეალობა, როცა პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთი პოლიტიკური კურსის განმახორციელებელია, მათ მიერ დაკომპლექტებული საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურად დაქვემდებარების შანსი კიდევ უფრო დიდი იქნება. ცხადია, ამ ფონზე, პოლიტიკურად ნეიტრალური პირის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ გამწესებას არ უნდა ველოდოთ. არადა, პოლიტიკური ნიშნით კანდიტატების შერჩევა საერთოდ მიუღებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სასამართლო, თავისი სპეციფიკური კომპეტენციიდან გამომდინარე, ობიექტური და დამოუკიდებელი ვერასოდეს იქნება.

ასაკობრივმა ცენზმა 35 წლიდან 30 წლამდე დაიწია მაშინ, როცა საზღვარგარეთის ქვეყნებში მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 35-დან 50-წლამდე მერყეობს. ჩვენთან ასაკის დაწევა, ალბათ, ქვეყანაში კადრების გაახალგაზრდავების პოლიტიკით უნდა აიხსნას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, პროექტის მიხედვით, ერთი და იმავე პირის მოსამართლედ არჩევა ორჯერ შეიძლება, რაც აგრეთვე ზრდის მათი დამოკიდებულების ხარისხს ხელისუფლებისადმი. მოსამართლე, რომელსაც მეორე ვადით უფლებამოსილების შენარჩუნება სურს, ყოველთვის ეცდება, მოიპოვოს ხელისუფლების კეთილგანწყობა პირველი ვადის განმავლობაში. კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობაში კი იგი მოსამართლისათვის სავალდებულო ობიექტურობასა და გამბედაობას აუცილებლად დაკარგავს. ამიტომაც არის, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში ამ სფეროს მოსამართლეები ინიშნებიან უმეტესად ერთი ვადით ან უვადოდ (მოქმედი წესის მიხედვითაც, ერთჯერადი ვადაა გათვალისწინებული, რაც თავის დროზე სწორი გადაწყვეტილება იყო).

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არის საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი კომპეტენცია, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის მოტივით შემოწმებას უკავშირდება. სასამართლო აქტების (განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება, დადგენილება) კონტროლს დაქვემდებარება უცხო არ არის, მაგრამ არც გავრცელებული პრაქტიკაა. თეორიულად რამდენად მიზანშეწონილია სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაკონტროლება, ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ პრაქტიკულად, ასეთი უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას აუცილებლად გადატვირთავს. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროცესის მხარეები მეტწილად კმაყოფილი არ არიან ხოლმე, ამიტომ ერთ-ერთი მხარე ყოველთვის მის გაპროტესტებას ეცდება, თუნდაც კონსტიტუციურობის შემოწმების მოტივით, რაც თავისთავად გულისხმობს ყოველდღიურად რამდენიმე ათეული სარჩელის შეტანას საკონსტიტუციო სასამართლოში. პროექტში ჩაწერილი ფრაზა იმის შესახებ, რომ "საქართველოს სახალხო დამცველისა და მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს"... უფრო ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც იძლევა. "მოქალაქეში", ალბათ, მხოლოდ ის პირი უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც უშუალოდ ეხება სასამართლოს გადაწყვეტილება და არა ნებისმიერი "მოქალაქე", უბრალოდ, დაინტერესებული პირი (ოჯახის წევრი, მეგობარი, ნათესავი და ა.შ.). საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა თავიდან რომ იქნეს აცილებული, საჭიროა მკაცრად განისაზღვროს ის საპროცესო ნორმები, რაც სარჩელის შეტანის შესაძლებლობასთან და წესთან დაკავშირებული იქნება. სხვა შემთხვევაში, საკუთარი ან სხვისი უფლებების დამცველ პირთა რიცხვი იმდენად დიდი იქნება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება მათი სარჩელების ზერელე განხილვაც კი, სრულფასოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

სასამართლო გადაწყვეტილებების კონტროლს დაქვემდებარება იმ არგუმენტით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საკონტროლო საქმიანობა ხელისუფლების სამივე შტოზე ვრცელდება და თუკი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები კონტროლს ექვემდებარება, სასამართლო აქტებიც უნდა გაკონტროლდეს - სრულად გასაზიარებელი არ არის. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხოლოდ ნორმატიული აქტები და არა ინდივიდუალური აქტები, მაშინ, როცა სასამართლო გადაწყვეტილებები მხოლოდ ინდივიდუალური აქტებია. საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობა თავს არიდებს ინდივიდუალური აქტების გაკონტროლებას სწორედ იმ პრაქტიკული მოსაზრებების გამო, რომლის მიხედვით შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმალური და ეფექტური მუშაობა.

და, ბოლოს, ერთი საკითხი, რომელზედაც არ შეიძლება, საგანგებო ყურადღება არ გავამახვილოთ, არის საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. პროექტის მიხედვით, ამ კონსტიტუციური კანონის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში პრეზიდენტმა პარლამენტს ასარჩევად წევრების ახალი კანდიდატურები უნდა წარუდგინოს, ხოლო მათი არჩევისთანავე მოქმედ წევრებს უფლებამოსილებანი შეუწყდებათ. რამდენად კონსტიტუციურია ეს დებულება, სერიოზულ განსჯას მოითხოვს. მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადა 10 წელია, რომელიც 2006 წლის 1 თებერვალს იწურება. მანამდე მხოლოდ ერთი წელია დარჩენილი და მოქმედი კონსტიტუციური გარანტიის უგულებელყოფა და დაუცველობა თუნდაც ამის გამო არ ღირს.

ჩვენს ქვეყანაში კანონმდებლობის არაერთგზის და მრავალმხრივი დარღვევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კონსტიტუციას მაინც ვცეთ პატივი, ისედაც უკვე რამდენჯერმა შეცვლილა და იმიჯშერყეული, მაგრამ მაინც ქვეყნის ძირითადი კანონის.

## ძებნილ სერგო გოგიტიძეს სასამართლომ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა დაუტოვა

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის ახლობლებსა და გარემოცვის წევრებს ამჟამად უკვე უზენაეს სასამართლოში უწევთ იმის მტკიცება, რომ გამოძიებისთვის სადავო ქონება მათ კანონიერად აქვთ შეძენილი და რომ ამ ქონებას ავტონომიის ყოფილ მეთაურთან არანაირი კავშირი არ აქვს.*

მთლიანობაში 100 მილიონ ლარად შეფასებული, აბაშიძეებისა და მათი ახლობლების ქონების კანონიერება-არაკანონიერებაზე რამდენიმე თვის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ იმსჯელა და გამოძიებისთვის სადავო ქონება არაკანონიერად გამოაცხადა, რის გამოც ასლან აბაშიძის ახლობლებს დაუსაბუთებლობის მოტივით ქონება ჩამოერთვათ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ ქონება მთლიანად შეუნარჩუნდა ასლან აბაშიძის მხოლოდ ორ ნათესავს, დანარჩენებს კი, რომელთა სიაც საკმაოდ ვრცელი იყო, ქონება სრულად, ან ამ ქონების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ჩამოართვეს. შეგახსენებთ, რომ ხალხმრავალ, ხმაურიან და ხანგრძლივ სასამართლო პროცესზე 30 მოპასუხეს მოუწია საკუთარი პოზიციების დაცვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი პროკურორის გიორგი პაპუაშვილის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელში აბაშიძის ახლობელთა 30-კაციანი სია იყო მითითებული, რომელთა ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას ბრალდება ითხოვდა. სწორედ აჭარის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გახდა მოპასუხეთა მიერ უზენაეს სასამართლოში შეტანილი სარჩელის შეტანის მიზეზი. აბაშიძის ქონებაჩამორთმეული ნათესავები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ.

გუშინ უზენაესი სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის უფროსის ყოფილი მოადგილის სერგო გოგიტიძის ერთ მილიონ ლარად შეფასებული ქონების კანონიერებაზე მსჯელობდა. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებითვე, ეს ქონება ასლან აბაშიძის ახლობელ ყოფილ მაღალჩინოსანს მთლიანად ჩამოერთვა. პროკურატურის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - სერგო გოგიტიძის "მერსედესი" ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა და ქობულეთის სანაპიროში არსებული წილი - უზენაესმა სასამართლომ დაუსაბუთებლად ცნო და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. უზენაესმა სასამართლომ ძებნილ სერგო გოგიტიძეს ბათუმში, მაზმიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა მფლობელობაში დაუტოვა.

**"სასამართლოს გოგიტიძის ბრალეულობა ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია, ამ დროს მისი ქონების კანონიერებაზე მსჯელობა ანტიკონსტიტუციურია,"** - აცხადებს გოგიტიძის ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ ძებნილად გამოცხადებული სერგო გოგიტიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით არის აღძრული.

*24 საათი*

## წლების წინ ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაული გაიხსნა

გასული ერთი კვირის განმავლობაში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ დედაქალაქში სხვადასხვა კატეგორიის 61 დანაშაულია გახსნილი და გამოვლენილი. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, რეგისტრირებულ დანაშაულთა შორისაა თითო მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, ქონების განზრახ განადგურების და ხულიგნობის ფაქტები. ასევე, ჯანმრთელობის დაზიანების 5, თაღლითობის 2, ძარცვის 9, ქურდობის 21 და სხვა სამართალდარღვევათა ფაქტები.

სამართალდამცველები ამაყობენ იმით, რომ გასულ კვირას, მათ ადრე ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაული გახსნეს, თუმცა, დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ. "გახსნილია წარსულში ჩადენილი 10 დანაშაული, მათგან 2-2 მკვლელობისა და ქურდობის, თითო - ჯანმრთელობის დაზიანების, ძარცვის და ოთხი - ყაჩაღობის ფაქტი. დაკავებულია ბოროტმოქმედთა 14 ჯგუფი 42 პირის შემადგენლობით," - აცხადებენ შსს-ში. პოლიციისვე ინფორმაციით, გასულ კვირას რვა ძებნილი დააკავეს, გაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, უაქციზო საქონლის რეალიზაციისა და ავტოსაგზაო შემთხვევების ბრალდებით იძებნებოდნენ.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ფაქტზე მესტიის რაიონის მკვიდრი, ამჟამად თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მცხოვრები ნუგზარ ჭკადური დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ჭკადურის დაკავების სპეცოპერაციისას, ორშაბათს, გვიან ღამით გათავისუფლებულ იქნა 1 წლის და 8 თვის წინ გატაცებული და ამ დრომდე მძევლობაში მყოფი, ჭიათურელი გიორგი ბრეგვაძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს თანამშრომლებმა ორშაბათს, გვიან ღამით დიდი რაოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე საბავშვო ცენტრ "პიტერ პენის" დირექტორი ნინო ბერძენიშვილი დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, ამავე ცენტრში რამდენიმე დღის წინ ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი კიდევ ორი პირი იქნა დაკავებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 52 პატიმრის შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, 41 მათგანი თავისუფლების აღკვეთის ადგილებს ორშაბათს დატოვებს, დანარჩენ თერთმეტს კი სასჯელი გაუნახევრდება. 2004 წელს შეწყალების სახელმწიფო კომისიამ დაახლოებით 1000 პატიმრის განცხადება განიხილა. მათგან 300, პრეზიდენტის მითითებით, უკვე გათავისუფლებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით, ვაშინგტონში ქართველი იურისტებისთვის ტრენინგი ტარდება. პროგრამა ორკვირიან სასწავლო კურსს მოიცავს, რომლის ფარგლებში დელეგაციის წევრებს შეხვედრები ექნებათ ფედერალური მართლმსაჯულებისა და ქვეყნის სასამართლოების ეროვნულ ცენტრებში. ამავე პროგრამის ფარგლებში დელეგაციის წევრები ფედერალური და საშტატო სასამართლოების მოსამართლეებს და მაგისტრანტებს შეხვდებიან. აშშ-დან დაბრუნების შემდეგ, პროგრამის მონაწილეები სამუშაო შეხვედრებს ჩაატარებენ მაგისტრატურის კანონის პროექტთან დაკავშირებით. ეს პროექტი პარლამენტს განსახილველად 2005 წლის სესიებზე წარედგინება. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექსი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

## წარსული, აწმყო, მომავალი

პირველი გვერდიდან

როდესაც ვმსჯელობთ აფხაზური საკითხის მოგვარებაში აშშ-ს მზარდ როლზე, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ამერიკის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია, ერთი მხრივ, ემყარება ინდივიდუალურ ძალას და მსოფლიო დემოკრატიზაცია ძალის გამოყენებით, ამერიკელი დემოკრატ გლობალისტების "პრაგმატიზმის" არსია. მეორე მხრივ, ამერიკელების საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა ეფუძნება, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, აშშ-ს როგორც ლიდერი სახელმწიფოს როლის უზრუნველყოფას მსოფლიოზე, არა სამხედრო და ფინანსური ზემოქმედების, არამედ "რბილი" ამერიკანიზაციის გზით.

თუ ამერიკელი პოლიტიკოსები მხარს უჭერენ საქართველოში სამშვიდობო ფუნქციების გაეროს ძალებისათვის გადაცემის იდეას, მოსკოვი ილაშქრებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც დაჟინებით მოითხოვს ერაყში გაეროს ჩართვას ძირითადი და ყველაზე ლეგიტიმური ძალის სახით.

იმავდროულად კრემლი ცდილობს, საქართველოს შემადგენლობიდან იურიდიულად გამოიყვანოს აფხაზეთი და მოახდინოს ამ რეგიონის თანმიმდევრული ინტეგრაცია. მოსკოველი პოლიტტექნოლოგები ხმამაღლა ლაპარაკობენ რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსახლეობის დაცვის აუცილებლობაზე აფხაზეთში, თუმცა ჩნდება კითხვა, როგორ აღმოჩნდა ამდენი "რუსეთის მოქალაქე" არა რუსეთის, არამედ საზღვრის გარეთ - უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე?

აშშ აღიარებს რუსეთის როლს აფხაზეთის საკითხში, მაგრამ მხარს არ უჭერს მის მონოპოლიზმს და მიანიშნებს, რომ საქართველოს სჭირდება სხვა პარტნიორებიც, რომლებიც პოზიტიურად დააბალანსებენ ან შეზღუდავენ რუსეთის გავლენას.

დღევანდელ ეტაპზე აშშ-ში ნეგატიურად აღიქვამენ რუსეთის მხრიდან საქართველოს "დაჩაგვრის" ყოველგვარ მცდელობას, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველო იქცეს "განხეთქილების ვაშლად" ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში და საქმე სერიოზულ კონფლიქტამდე მივიდეს.

პოლიტიკური ექსპერტები მიუთითებენ, რომ ამერიკის ადმინისტრაციას, საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობაზე უფრო მეტად დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი იზიდავს და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ იყოს თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება ამის მისაღწევად.

ამასთანავე, ყურადსაღებია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადების ის ნაწილი, სადაც იგი აფხაზეთის ომში მებრძოლ ქართველებს "დემოკრატიის დამცველებს" უწოდებს.

ეს ფრაზა საინტერესო მესიჯს შეიცავს. საქმე ის არის, რომ გამორიცხული არ არის, საქართველოს მოუწიოს, იარაღით დაიცვას საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესები და დემოკრატია აფხაზეთში, იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა ამოიწურება.

ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ ტიპურ რეგიონულ კონფლიქტზე, ერთგვარ სეპარატისტულ ამბოხებაზე, რომლის ჩახშობის უფლება აქვს საქართველოს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოს შიგნით არეულობის ჩახშობისათვის წარმატებით გამოიყენება ეროვნული გვარდია, ან სხვა სამხედრო ფორმირება, თუმცა ამ სახელმწიფოებს არავინ ადანაშაულებს ადამიანის უფლებების დარღვევაში, არ თხოვენ ძალისმიერი მოქმედებების შეწყვეტას და ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვებას.

### კავკასიური კონფლიქტები და ქართულ-აფხაზური დაპირისპირება

კავკასიური კონფლიქტები თავისებურებებით ხასიათდება და მათი გადაწყვეტის ყველასათვის მისაღები, რაციონალური მიდგომა არ არსებობს. ამ მიმართულებით აქამდე შემუშავებული არც ერთი წინადადება სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. სხვასთან ერთად ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ მრავალსაუკუნოვანი კავკასიური ცივილიზაცია თავისი უნიკალური თავისებურებებით ნაკლებად ეწერება სხვა ცივილიზაციაში. მრავლის მთქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ კავკასიაში არსებობს მონათესავე მრავალენოვანი კულტურა, უძველესი ხალხური ეპოსი, ლიტერატურის ტრადიციები და პარალელურად დაფიქსირებულია რამდენიმე ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტი, ამიტომ კავკასიურ სივრცეში ინტეგრაციული პროცესები არ არის ადვილად მისაღწევი.

კავკასია უფრო და უფრო ხდება მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ღერძი. ვინც ფლობს კავკასიას, ის ინარჩუნებს გავლენას ახლო აღმოსავლეთზეც. ამიტომ ევროპა დასავლეთთან ერთად მხარს უჭერს "კავკასიური პაქტის" იდეას, რომელიც გულისხმობს რეგიონში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას და მაშტაბურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას.



აფხაზეთის საკითხზე ერთ-ერთი კონცეფციის განხილვისას.

რეგიონში ძლიერ ძალად ყალიბდება ნაციონალიზმი, რომელიც რუსული შოვინიზმისა და იმპერიულობის სულისკვეთებას უპირისპირდება. აქ ღვივდება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დააჩქარებს რუსეთის დაშლის პროცესს.

სხვათა შორის, იმპერიული რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ევროპის ქვეყნების პოლიტიკისაგან იმით განსხვავდება, რომ დასაპყრობ რეგიონებს, ოკეანეებს იქით კი არ ეძებდა, არამედ, იქვე მეზობლად. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კავკასიის ექსპანსიის საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი დაიკავა.

დღეს საკამათო თემაა კავკასიურ სივრცეში მომქმედი ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მიზეზი და აფხაზური მოძრაობის ხასიათი.

ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა, მეორენი მას სეპარატისტულ მოძრაობასთან აიგივებენ, სხვები ქვეყნის შიგნით ამბოხებას უწოდებენ და ა.შ.

რა უნდა ითქვას ამის შესახებ?

საბჭოეთში ერთა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლება კონსტიტუციით იყო განსაზღვრული, თუმცა კრემლი ამ უფლების გამოყენების ნებას არავის აძლევდა.

კავშირში შემავალი რესპუბლიკები, ანუ საბჭოური მოდელის სახელმწიფოები მოსკოვს ემორჩილებოდნენ, ხოლო ავტონომიური წარმონაქმნები ორმაგი დაქვემდებარების სუბიექტები იყვნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში საქართველომ, თვითგამორკვევის უფლების გამოყენებით, თავი დააღწია კომუნისტურ იმპერიას და დამოუკიდებლობის გზას დაადგა. იმავდროულად თვითგამორკვევის პრინციპების პრაქტიკულად განხორციელებაზე პრეტენზია განაცხადა საქართველოს ავტონომიურ რეგიონში მცხოვრებმა აფხაზი ეთნოსის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ეს გარემოება გახდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ძირითადი მიზეზი.

ამჟამად აფხაზთა ერთი ნაწილი მთლიანად უარყოფს ქართველებთან ენობრივ, კულტურულ, სარწმუნოებრივ სიახლოვეს და აფხაზეთს ისტორიულად დამოუკიდებელ ქვეყნად მიიჩნევს. ცხადია, ასეთი მიდგომა და საერთო ინტერესის უგულებელყოფა, ყოველგვარი დიალოგის საფუძველს სპობს. მითუმეტეს სადავო არ უნდა იყოს, რომ აფხაზეთი საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა კოლხურ (ქართულ) პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სარწმუნოებრივ არეალში.

თუ არ ჩავთვლით მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ აფსუური მოდგმის ხალხებს, რომლებიც ადგილის სახელწოდების მიხედვით დღეს თავს აფხაზებს უწოდებენ, აფხაზებს არ ჰყავთ ისტორიულად, კულტურულად და ეთნიკურად უფრო ახლობელი, ვიდრე ქართველი ხალხია.

თუმცა დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ისტორიულმა პროცესებმა, ნებით თუ უნებლიეთ, ისეთ ეთნოსად ჩამოაყალიბა, რომელთა გარკვეული ნაწილი დღეს უარს ამბობს ქართველებთან ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრებაზე.

რასაკვირველია, ეს არ გვაძლევს უფლებას, ემოციებს ავყვეთ და უაპელაციოდ ვაცხადოთ, რომ არავითარი "აფხაზი ხალხი" არ არსებობს და, შესაბამისად, არ შეიძლება ლაპარაკი აფხაზურ კულტურაზე, მის მდიდარ ისტორიულ ტრადიციებზე და შესაბამისად სახელმწიფოებრიობაზე.

### აფხაზეთის საკითხის მოწესრიგების სახელმწიფო კონცეფციისაკენ

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ცალკეულ ხელისუფალთა პოლიტიკა აფხაზი ხალხის მიმართ ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული და კეთილგანწყობილი. სახელისუფლებო კულუარებში, პოლიტიკური ელიტის თუ ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში ყალიბდებოდა "ზექართველობის" რაღაც ალმატებული ხარისხი, რომელმაც მოგვიანებით საბაბი მისცა ა. სახაროვს, საქართველოსთვის "მცირე იმპერია" ეწოდებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით აფხაზური მხარისაგან არ გვაქვს რაიმე დამაიმედებელი შემხვედრი წინადადება, ხელისუფლებამ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგების ძიება გააააქტიურა, მითუმეტეს, ხელისუფლების სათავეში არ არიან დაპირისპირების ინიციატორები და ომის წამომწყებნი - არძინბა და შევარდნაძე.

თანამედროვე ხელისუფლების აფხაზური პოლიტიკა თანდათანობით ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. მალე გამოქვეყნდება ოფიციალური სახელმწიფოებრივი დოკუმენტიც, რომელსაც საფუძვლად დაედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სხვადასხვა კონცეფცია.

საქართველოს ხელისუფლება აპირებს, წერტილი დაუსვას ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას, უსაგნო და არარეალური დიალოგი უნდა დამთავრდეს კონკრეტული, სახელმწიფო ხედვით.

არ არის პრობლემა, რომლის გადაჭრა არ შეიძლება მოლაპარაკებების გზით. მითუმეტეს საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც არაფრით არ არის რაიმე სახით ბრალეული ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში.

ქვეყნის მეთაურმა გაეროში გამოსვლისას ჩამოაყალიბა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი დებულებები:

**1. ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის საერთო ინტერესების ძიება და ნდობის აღდგენა;**

**2. სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნიზება, ანუ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სხვა ქვეყნების წარმომადგენლების ჩართვა;**

**3. საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ურთიერთობების მოწესრიგება. აფხაზეთის უფლებების გაფართოება.**

აღნიშნული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად რეალურად უნდა განვიხილოთ პრობლემის გადაწყვეტის ორი ტაქტიკური გზა:

**ა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით;**

**ბ. დაკარგული ტერიტორიის ომით დაბრუნება.**

ექსპერტები მიუთითებენ მესამე ტაქტიკურ მიმართულებაზე, რომელსაც რუსეთს უკავშირებენ. ეს უკანასკნელი კი სანაცვლოდ მოითხოვს:

**- საქართველომ რუსეთი აღიაროს ერთადერთ სტრატეგიულ მოკავშირედ;**

**- უარი თქვას ევროდასავლურ სამხედრო და პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებაზე (ნატო, ევროკავშირი);**

**- საქართველო უნდა შევიდეს რუსეთის ეკონომიკურ და სამხედრო სივრცეში სამოკავშირეო ხელშეკრულებით.**

აღნიშნული მოთხოვნების შესრულება საქართველოს არ შეუძლია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანაა, რომელმაც განვითარების ევროპული გზა აირჩია და არ აპირებს, კვლავ თავი შეჰყოს რუსეთის იმპერიულ ყულფში.

ამდენად, ქართული სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ ისეთ გარიგებაზე არ წავა მოსკოვთან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საქართველოს დამოუკიდებლობას.

### აფხაზეთი კრემლის წინააღმდეგ

აფხაზეთი რუსეთის ხელში ის პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელიც საქართველოზე ზეწოლის იარაღად გამოიყენება, მაგრამ აფხაზური მხარე იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ყოველივე ეს აფხაზეთის დეგრადირებას უფრო აჩქარებს.

მოსკოვი ნაკლებად ზრუნავს აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებაზე, პირიქით, კრემლი სოხუმს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ბლოკადით ემუქრება. რუსეთი არ არის დაინტერესებული აფხაზეთის რეალური დამოუკიდებლობით და მას ეს რეგიონი შავ ზღვაზე დამკვიდრების გასაძლიერებლად სჭირდება, არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ როგორც რუსეთის მიერ მართვადი სუბიექტი.

თუმცა, აფხაზების საგრძნობი ნაწილი ამასთან შეგუებას არ აპირებს. აფხაზური ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი ლეონიდ ლაკერბაია ქართველების მიმართ უფრო ლოიალური ხდება - "ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ," - აცხადებს ის ერთ-ერთ ინტერვიუში.

აფხაზეთში იქმნება ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც მიუღებლად მიიჩნევენ კრემლის იმპერიულ პოლიტიკას რეგიონში. საფუძველი ეყრება ევრო-დასავლური ორიენტაციის აფხაზურ ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც პრიორიტეტს დემოკრატიულ ღირებულებებს ანიჭებს.

რუსეთს დიდ ნდობას არ უცხადებს აფხაზური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი თ. შაკრილი. მისი აღიარებით: ქართულ-აფხაზური ომის პერიოდში კრემლი მხარს უჭერდა ე.წ. კვიპროსული ვარიანტის განხორციელებას, რომელიც აფხაზეთის დანაწილებას ითვალისწინებდა.

უდავოა, აფხაზეთის დანაწილების გეგმა ახალი არ არის. იგი მეფის რუსეთის ეპოქაში შემუშავდა და მას კომუნისტებიც თანაუგრძნობდნენ. ამ გეგმას მხარს უჭერდა ელცინიც. ეს პროექტი კვლავაც აქტუალურია პრეზიდენტ პუტინის გარემოცვაშიც.

აღნიშნული გეგმის მრავალი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ყველა მათგანში ერთი ძირითადი ხაზია გატარებული: - აფხაზეთის მშვიდობიანი გადანაწილების შესაძლებლობა რუსეთ-საქართველოს შორის კრემლისათვის მისაღები პირობით.

ცხადია, აფხაზეთის დანაწილების კრემლისეული მოდელი მიუღებელია ორივე მხარისათვის. იგი რუსეთის იმპერიული იდეოლოგიის "გათიშე და იბატონე" გამოვლინებაა და მე-18 საუკუნეში შემუშავებული პანინის კონცეფციის "სხეული ადგილობრივი - სული რუსული" აღდგენის მცდელობაა საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის რუსეთი აფხაზეთის უსაფრთხოების ერთადერთ გარანტად მოიაზრება და აფხაზების ისტორიული მახსოვრობა არ ივიწყებს ქართულ-აფხაზურ ომში რუსეთის მიერ გაწვდილ ხელს, ლიბერალურ და საღად მოაზროვნე აფხაზურ საზოგადოებაში მკაცრი კამათის თემა ხდება მოსკოვის იმპერიული ტაქტიკა აფხაზეთთან მიმართებაში.

აფხაზეთი თანაგრძნობით არ ეკიდება კრემლის იმ "პოლიტკომერსანტებსაც", რომლებსაც ერთი მხრივ დასაშვებად მიაჩნიათ პოლიტიკური გარიგება საქართველოსთან, მხარს უჭერენ რეგიონის ხელისუფლების მეთაურად მართვად კანდიდატურას, რომელიც იზიარებს რუსეთთან მოკავშირეობის კურსს.

როგორც ჩანს, აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იკვეთება იმის ტენდენცია, რომ აფხაზებმა მადლობა უთხრან რუსებს გაწეული დახმარებისათვის, ამასთანავე გამოიჩინონ სიმტკიცე, დაარწმუნონ მსოფლიო საზოგადოებრიობა, ანგარიში გაუწიონ ნაციონალურ იდეის გატარების აფხაზურ გეგმას და აღიარონ მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის აფხაზურ პოლიტიკაში ძირითადად გამოკვეთილია სამი მიმართულება: **აფხაზური, პრორუსული და პროქართული.**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების კანონზომიერება და ისტორიის ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა არ შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს. თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია აუღიარებელი, თვითმარქვია სახელმწიფოს დამლის მუდმივი ტარება, მით უმეტეს არც საქართველო აპირებს აფხაზეთთან დამოკიდებულებაში ცასა და მიწას შორის "დაკიდებულის" მდგომარეობაში მუდმივად ყოფნას, ამიტომ ამ ვითარებიდან გამოსვლის მხოლოდ ორი გზა იკვეთება:

**1. აფხაზეთი ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას აღიარებს მსოფლიო;**

**2. საქართველო და აფხაზეთი ქმნიან ორი მკვიდრი ხალხის ინტერესების გამომხატველ, ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოს.**

ერთიც და მეორეც ადვილი გადასაწყვეტი პრობლემა არ არის, ამიტომ მოსაძებნია ორივე მხარისათვის მისაღები სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი. ამის საფუძველს კი ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულად განვლილი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გზა გვაძლევს.

არაფერი რომ არ ვთქვათ წარსულზე, ახლო კომუნისტურ ეპოქაში ამ ეთნოსებს შორის არსებობდა სახელმწიფო-სამართლებლივი ურთიერთობა და აფხაზეთი იურიდიულადაც იყო ლეგიტიმური სახელმწიფო წარმონაქმნი. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს წარმოშობილმა პროცესებმა და მოგვიანებით ქართულ-აფხაზურმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ მათ შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის წყვეტა გამოიწვია.

დღევანდელ ვითარებაში ქართულმა და აფხაზურმა სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ ამ წყვეტის აღდგენისათვის უნდა იბრძოლოს. პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შემთხვევაში აფხაზები ღებულობენ მსოფლიოს მიერ აღიარებულ სუვერენული რესპუბლიკის (სახელმწიფოს) სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში.

ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარება უკიდურესი აუცილებლობით არის გამოწვეული. ეს უნდა იყოს დემოკრატიული გზით საკითხის გადაწყვეტის პროგრამა, რომელსაც მხარს დაუჭერს ქართველი და აფხაზი ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობაც. სწორედ ეს არის პროექტის საერთაშორისო რეზონანსულობა და მნიშვნელობაც. სხვა შემთხვევაში ორივე მხარე ახალ დაპირისპირებაში აღმოჩნდება და აქაც მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწევს არჩევანის გაკეთება.

### კრემლის "დერჟავნიკების" ახალი რაკურსი და ჩვენი შესაძლო რეაქცია

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საბოლოო მოწესრიგება კრემლის შორს გამიზნულ გეგმაში არ შედის. რასაც ადასტურებს რუსეთის დუმაში უკანასკნელ ხანებში შესული კანონპროექტი. მისი მიღების შემთხვევაში საბჭოთა ყოფილი ავტონომიური წარმონაქმნების მიღება რუსეთის შემადგენლობაში მარტივდება, თუკი ისინი ამის სურვილს გამოთქვამენ.

კრემლის პოლიტტექნოლოგების რწმუნებით, კანონი ბევრ პრობლემას მოუხსნის აფხაზეთს, დნესტრისპირეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. თუმცა იმას არ ითვალისწინებენ, რომ სეპარატიზმის წაქეზება ცეცხლთან თამაშია. თავის დროზე მისი სიმწარე იწვნიეს ე.წ. თურქმა მესხებმა ფერღანის ოლქში, როდესაც უზბეკეთის სახელმწიფოს მიმართ არასამართლიანი პრეტენზიების გამო გამოძევებული აღმოჩნდნენ იმ ტერიტორიიდან, სადაც ცხოვრობდნენ.

ანალოგიურად ქართველები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, სამართლიანი პრეტენზიები წაუყენონ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ნაციონალურ უმცირესობებს (აფხაზების გარდა), რომლებიც შეეცდებიან, გააღვივონ სეპარატიზმი ქვეყანაში.

სხვათა შორის, "დერჟავნიკებმა" უნდა გაიგონ, რომ საქართველოს პარლამენტიც უფლებამოსილია, იმსჯელოს კანონპროექტზე რუსეთის ფედერაციაში მყოფი ყოფილი საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკების საქართველოს შემადგენლობაში ამა თუ იმ ფორმით გაერთიანების შესახებ, ცხადია, მათი სურვილის შემთხვევაში (ჩეჩნეთი, ყაბარდო-ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი და ა.შ.).

ამ კონტექსტში საინტერესოა რუსეთის პრეზიდენტის ერთი თვალსაზრისიც. უკრაინაზე პოლიტიკური გავლენის დაკარგვით გაღიზიანებული პუტინი საქართველოში სეპარატისტული ძალების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს და ჩვენი ქვეყნის დანაწევრება დასაშვებად მიაჩნია.

თუ რუსეთის ხელმძღვანელის ეს თეორიული ნააზრევი პრაქტიკულად განხორციელდა, კრემლი იძულებული იქნება, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაც აღიაროს. ამას კი აუცილებლად მოჰყვება რუსეთის დაშლის უწყვეტი პროცესი. გამორიცხული არ არის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნაც, რომლის დედაქალაქი შეიძლება სოხუმიც გახდეს.

ცხადია, ყოველივე ეს აქ არ შეჩერდება, რუსეთს გადაუვლის მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა და სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობა გაუჩნდება შორეულ აღმოსავლეთს, ციმბირს, ვოლგისპირეთს, თათარისტანს და სხვა რეგიონებს.

ალოგიკური ჩანს რუსეთის პრეზიდენტის წუხილი იმის შესახებ, რომ კოსოვოში გამართულ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცა 200 ათას სერბს, რომლებიც მშობლიური კერებიდან აყარეს ალბანელებმა. ამავე დროს არაფერს ამბობს აფხაზეთიდან გამოდევნილ ათასობით ქართველზე, რომლებსაც არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

### დასკვნის მაგიერ

ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ამ ხალხებში დამოუკიდებლად მოარსებე ნაციონალურ იდეებს, ანუ ორივე ეთნოსის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას უკავშირებდა. მიმდინარეობს აფხაზური მხარის ნაციონალური იდეის რეალიზების პროცესი. შესაბამისად, ქართული სახელმწიფო ისწრაფვის, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

ხელისუფლება იწყებს მოსახლეობისათვის შეთავაზებული საპროგრამო დებულებების რეალურად განხორციელებას. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური ხედვის იმ ნაწილს, რომელშიც იკვეთება სახელმწიფო სტრატეგია აფხაზურ საკითხში და მისი გატარების ტაქტიკური სქემა.

აფხაზეთის საკითხის მოგვარების სახელმწიფო კონცეფცია უნდა იყოს

ისეთი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ერთნაირად იქნება მისაღები ქართული და აფხაზური საზოგადოებრივი აზრისათვის.

რუსეთის ნეგატიურმა ჩარევამ რეალური გახადა გაუცხოება ორ ეთნოსს შორის, ოდესღაც ნათესაობით, სარწმუნოებით, ტრადიციით და კულტურით დაახლოებული ხალხი სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განზომილებაში აღმოჩნდა. ყოფილი ხელისუფლების კურსმა აფხაზი ხალხის დიდი ნაწილისათვის უფრო მისაღები გახადა არაკავკასიური ცნობიერების ქვეყანა - რუსეთი, ვიდრე საქართველო.

ამიტომ დღეს, როდესაც ხელისუფლება დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დანგრეული ხიდის აღსადგენად, ქართულ მხარეს მეტის დათმობა მოუწევს, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საფუძვლიანად, მეცნიერულად შესასწავლია ქართულ-აფხაზური დაპირისპირების წარმოშობის, განვითარების და დღევანდელი, რეალური, მდგომარეობის სურათი. არსებულ სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ, ვაღიაროთ შეცდომები, დავსაჯოთ დამნაშავეები, თუნდაც ამისათვის ქართული ნიუნბერგის მსგავსი სასამართლო პროცესის მოწყობა დაგვჭირდეს.

ქართული ხელისუფლება დღეისთვის უმთავრეს პრიორიტეტად გამოყოფს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემას, ამიტომ ქართული პოლიტიკის ყველა გზა, ხილული თუ არახილული, ცნობიერი თუ არაცნობიერი ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახუროს.

ქართული საზოგადოებრიობა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მოწესრიგების განსაზღვრისას მშვიდობიან გზას ანიჭებს უპირატესობას, რაც ითვალისწინებს ერთიანი, ქართულ-აფხაზური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას, რომლითაც მიღწეულ იქნება აფხაზების მიერ თვითგამორკვევისათვის დაწყებული მოძრაობის შედეგები, მეორეს მხრივ ორი ავტოქტონური ერის - ქართველებისა და აფხაზების - გაერთიანების შედეგად მიღებული ერთიანი სახელმწიფოს შექმნით აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომლის ხელისუფლების სათავეში მონაცვლეობით მოვლენ ქართველი და აფხაზი ხალხის და საქართველოში მცხოვრები დიასპორების მიერ არჩეული ღირსეული წარმომადგენლები.

აფხაზეთის პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში კი, ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლი პრეზიდენტი სახელმწიფოს უბრალო მეთაურად კი არ იქნება აღქმული, არამედ ორივე ერის დიდ წინამძღოლად.

აქ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არც მიენიჭოს, რა ტაქტიკას აირჩევს იგი ამ დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად.

არსებობის უფლება აქვს იმ მოსაზრებასაც, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ისტორიამ მას სხვა განსაკუთრებული მისიაც დააკისრა, რაც განუხრელად არის დაკავშირებული 21-ე საუკუნის ახალი, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ძლიერებასთან.

ჟანრის ფუძემდებელი იუბილარია



B2

ყოველ სამშაბათს



B3

„ზესტაფონი„ დღეს გვშორდება



B4

# "ანთემმა" სახლი საქართველოში იპოვა

*ქალაქ გერნიკის მუნიციპალიტეტმა კელის ქალაქის დაბომბვის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიის მხატვრული გაფორმება სთხოვა. მის მიერ შესრულებულმა ინსტალაციამ პიკასოს ნამუშევრების შემდეგ უდიდესი აღიარება დაიმსახურა მსოფლიო ხელოვნებისა და ჰუმანიზმის წრეებში.*

*1999 წელს კელიმ "ვარდების რევოლუციის" წინასწარმეტყველება შექმნა, რომელსაც უწოდა "ანთემი" (ჰიმნი). ნახატზე გადმოცემულია, თუ როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ადამიანები იარაღითა და ვარდით და როგორ გადაიქცევა ეს დაპირისპირება სიყვარულად. კელის ეს ნამუშევარი "ჰუმანისტური ხელოვნების არქივშია" შესული. მალე გამოჩენილი მხატვარი თბილისს ეწვევა და საქართველოს თავის ფერწერულ ტილოს, "ანთემს" გადასცემს საჩუქრად. ტილო ბინას "ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში" დაიდებს. კელის ნამუშევრები ინახება გაერთიანებული ერების კოლექციაში (ჟენევა), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (მელბურნი), განათლების გაერთიანებულ ინსტიტუტში (ნიუ-იორკი), დურბინის ხელოვნების გალერეაში (სამხრეთ აფრიკა), ავსტრალიის ნაციონალურ გალერეაში, 50 სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტსა და მუზეუმში.*

*"ანთემი", ეს არის არა მარტო ჩემი წინასწარმეტყველება, არამედ შეგრძნება მილიონი ადამიანისა საქართველოში," - აცხადებს კელი. აქვე გთავაზობთ მის პასუხებს "24 საათის" შეკითხვებზე..*



*"ანთემი", ეს არის არა მარტო ჩემი წინასწარმეტყველება, არამედ შეგრძნება მილიონი ადამიანისა საქართველოში."*

**უილიამ კელი: მხატვარი, ჰუმანისტი. დაიბადა ბუფალოში (ნიუ-იორკი); ხელოვნების პირველი შემსწავლელი კურსი გაიარა Albright-knox ხელოვნების გალერეაში; სწავლობდა ხელოვნების უნივერსიტეტში (ფილადელფია, აშშ) და ნაციონალური გალერეის სკოლაში (მელბურნი, ავსტრალია); იყო სამხრეთ პარკის ჯგუფის წევრი, ვიქტორიის ხელოვნების კოლეჯის დეკანი; ლექტორად იწვევდნენ იელისა და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებში; აღიარეს ავსტრალიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის საპატიო წევრად; მის პუბლიკაციებში შეგხვდებათ წიგნები ანარქიზმზეც; ავსტრალიის პრემიერ-მინისტრისგან მიღებული აქვს ძალადობის პრევენციის ჯილდო; კელის აქვს სტუდიები მელბურნში (ავსტრალია, სადაც ამჟამად ცხოვრობს) და ბეთლეჰემში (პენსილვანია, აშშ); მუშაობდა მოხეტიალე ცირკთან ერთად; მას "ხალხის სინდისის ხმა" შეარქვეს.**

**- ვინ მოახდინა გავლენა თქვენი ხელოვანად ჩამოყალიბების პროცესში?**

- ბავშვობაში უდიდეს გავლენას ახდენდნენ ბებია და ბაბუა, რომლებიც მამზადებდნენ იმისთვის, რომ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც ღირსეულად შევხვედროდი. ჩემს შემოქმედად ჩამოყალიბებაში კი მთავარ როლს ასრულებდნენ ბიტნიკების თაობის პოეტები. ისინი საზოგადოებაში ალტერნატივების ჩამოყალიბებისკენ მიისწრაფოდნენ. გავლენა მოახდინეს აგრეთვე დადას მიმდევრობის ხელოვანებმა - იდეით პაცეფისტებმა იპოვეს გზა იმისთვის, რომ ღრმად წამოეჭრათ თავისი დროის პრობლემატური საკითხები და თან ისეთი ფორმით, რომელიც ყოველთვის აქტუალური იქნებოდა.

გავლენა იქონია ჯონ ქეიჯმა - "ყველანაირი ხმა მუსიკაა"; სამუელ ბეკეტმა - "გოდოს მოლოდინში" და "კრაპის უკანასკნელი ფირი"; ჯორჯიო დიჩირიკომ, რომელიც საგნებს სხვებთან მიმართებაში განიხილავდა და სხვებისთვის პოეტური შესაძლებლობების შექმნის მომხრე იყო; ოსკარ შლემერმა - კერძოდ, "ბაუჰაუსის კიბემ" და თეატრისა და მხატვრობის ურთიერთდამოკიდებულებამ; პიკასოს "გერნიკამ", რომლისგანაც ნიუ-იორკში სწავლის დროს ნახატებს ვაკეთებდი; პიერო დელა ფრანჩესკამ და მისმა ფერწერულმა ნამუშევარმა The Flagellation, სადაც ვაჭრები თავის ყოველდღიურ საქმიანობაზე იმ დროს ლაპარაკობენ, როდესაც ქრისტეს ჯვარცმის წინ როზგავდნენ და აწამებდნენ; ჯეიმს ეიჯიმ - ამერიკაშიც კი ნაკლებად ცნობილმა მწერალმა, რომელმაც დაწერა "ახლა ვადიდოთ ცნობილი კაცები". მოთხრობა ეხებოდა დიდი დეპრესიის პერიოდის ღატაკ სამხრეთელ მიწათმოქმედებს. ამ მოთხრობას იგი დაახლოებით ასე ამთავრებს - "აი ახლა, როდესაც თქვენ ნახეთ ეს სურათები და გაიგეთ ეს ამბები, რას მოიმოქმედებთ თქვენ?"

**- ეს რაც შეეხება შემოქმედებით გავლენებს. რომელმა სოციალურმა მოვლენებმა იმოქმედეს თქვენზე?**

- ვიზრდებოდი ნიუ-იორკის ღარიბ უბანში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდნენ ევროპელები - ყველასთვის კარგად ცნობილი "მელთინგ ფოთი" პოლონელები, უნგრელები, იტალიელები და ა.შ. დადგა ომისშემდგომი იმპერიალიზმის (რომლის შესახებ ქართველებმა ბევრი რამ იცით) და ცივი ომის - მაკარტის ერა. ამერიკელი პოლიტიკოსები ზეწოლას ახდენდნენ ინდივიდებზე, საზოგადოებასა და ხელოვნებაზე. გავლენა მოახდინა აგრეთვე 60-70-იანი წლების ვიეტნამის ომმა, სამოქალაქო უფლებებისა და ფემინისტების მოძრაობამაც.

**- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ თქვენი ნამუშევრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანებზე?**

- ვცდილობ, ისინი ყველასთვის მისაღებ ფორმაში წარმოვაჩინო. ასე რომ, გმადლობთ. ყოველთვის სასიამოვნოა იმის გაგება, რომ მათ ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

იყო პროექტები, რომლებზეც დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი. ღმერთის მადლიერი ვარ, რომ მათი დასრულების საშუალება მომეცა. კერძოდ: "გერნიკა დოკუმენტი", "სიყვარულის სიმღერა", მილენიუმზე - "მშვიდობის პროექტი", რომლებზეც 5 წლის განმავლობაში ვმუშაობდი; "ანთემი" ჩავრთე, რადგან შემომთავაზეს მარტო "პატარა" სამუშაო შემესრულებინა ფურცელზე დიდად სიმბოლური და აუცილებელი "Art Towards Reconciliation" გამოფენისთვის გერნიკაში (უამრავი ნამუშევრიდან შემეძლო არჩევა).

იმაზე ვფიქრობდი თვეების განმავლობაში და მივხვდი, რომ დღეს "ანთემი" ჩემი გრძნობების, სიცოცხლისა და სიყვარულის გამომხატველია.

**- რას იტყოდით თქვენს წიგნებსა და პუბლიკაციებზე?**

- თბილისში მათი ნახვის საშუალება გექნებათ.

**- რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ფულბრაიტის პრემია იყო, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. როდესაც ვიქტორიას კოლეჯის დეკანი ვიყავი, მსოფლიოს სკოლების მონახულებისა და სიტყვით გამოსვლის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომეცა. ვიყავი იელის უნივერსიტეტში, ნიუ-იორკის სტუდიურ სკოლაში, ევროპასა და ინდოეთში... პატარა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი ჯილდო - ორი წლის წინ გუერნიკა-ლიმოს მერმა, მოულოდნელად გადმომცა მედალი ჩემი ღვაწლისა და საქმის მიმართ რწმენისთვის ქალაქ გუერნიკაში.

**- როგორ მიიღეთ ძალადობის პრევენციის პრემია ავსტრალიის მთავრობისგან?**

- გვიან, 80-იან წლებში, "მასაკში" მელბურნის ქუჩაზე ერთმა არასრულწლოვანმა იარაღით დაჭრა და სიცოცხლეს გამოასალმა მრავალი ადამიანი. ეს მიუღებელი იყო ავსტრალიელებისთვის. მე დავიწყე "მშვიდობის პროექტი", რომელიც 5 წლის მანძილზე სრულდებოდა. პროექტი მელბურნის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოფენაზე დაახლოებით, სამოც ნაწილად გაიტანეს. ამ პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით, ფოტოსერიებმა - სურათები "მშვიდობის პროექტიდან". ამ გამოფენამ ძლიერი სოციალური გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, რის გამოც ეს ჯილდო მივიღე.

ჯერჯერობით, ერთადერთი მხატვარი ვარ, ვინც ეს პრემია მიიღო.

**- მაინც რა არის თქვენი ნამუშევრების მთავარი თემა?**

- ადამიანის მდგომარეობა. ფაქტია, რომ სხვადასხვა ადგილებში განსხვავებული ეთიკის, რელიგიის, ენის და სოციალური პირობების ადამიანთა ცხოვრება შესაძლებელია და რომც არ არსებობდეს უნივერსალური ქვეყანა, მშვიდობის მოსაპოვებლად საჭიროა სოციალურმა ფენებმა გაათვითცნობიერონ, რომ მშვიდობა თავისით არ დამყარდება. ამისათვის საჭიროა მოთმინება, სიყვარული, შრომა და ენერგია.

**- ფერწერული ტილოთი "ანთემი", რომელიც 1999 წელს შექმენით, თქვენ პრაქტიკულად იწინასწარმეტყველეთ საქართველოს 2003 წლის მოვლენები. სხვა მხატვრული წინასწარმეტყველებაც თუ გქონიათ?**

- "ანთემი" (ჰიმნი) განსაკუთრებულია და ჩემი პირადი ცხოვრების გამოცდილებიდან მოდის. ეს გამოცდილება შევიძინე წინამორბედ ხელოვანთაგან - ლიდერებისგან და მასწავლებლებისგან. ეს არის "წინასწარმეტყველება", რომელსაც არა მარტო მე ვგრძნობ, არამედ გრძნობს მილიონი ადამიანი საქართველოში. განმსჭვალული ვარ სიამაყითა და სიმამაცით იმ ხალხის მსგავსად, რომლებიც "ვარდების რევოლუციაში" მონაწილეობდნენ.

**- რა იცოდით საქართველოსა და "ვარდების რევოლუციის" შესახებ?**

- თქვენი ქვეყანა ჩემს მეხსიერებაში, დაახლოებით 20 წელია არსებობს. საქართველო უძველესი კულტურისა და მითების ქვეყნად წარმომედგინა - ერად, რომელიც გადარჩენისთვის იბრძოდა.

საქართველოს "ვარდების რევოლუციამდე", შევარდნაძის ხელისუფლების და იმ დროს არსებული პრობლემებით ვიცნობდი, რომელსაც ავსტრალიური და ინგლისური პრესა აშუქებდა. ფრაზა "ვარდების რევოლუცია" ისეთივე სიძლიერით ჟღერდა, როგორც "ხავერდოვანი" რევოლუცია და მე ვიცოდი, რომ იგი მსოფლიოს ისტორიაში აღიბეჭდებოდა. მიშა სააკაშვილი ტელევიზიით ვნახე და ვიგრძენი, რომ ქართველი ერის წარმატების შანსს კონკრეტული სახე მიეცა.

**- "ანთემის" საქართველოსთვის ჩუქება რატომ გადაწყვიტეთ?**

- ხელოვნების ნიმუში თავს იქ გრძნობს უკეთ, სადაც მისი მეტად ესმით (ისე, როგორც ადამიანი საკუთარ სახლში). "ვარდების რევოლუციამ" ნათლად დამანახა, რომ "ანთემმა" სახლი საქართველოში იპოვა.

**- როგორ უყურებთ თქვენი სახელოსნო ცენტრის თბილისში გახსნის იდეას?**

- ვფიქრობ, რომ ეს კეთილშობილური განზრახვაა, მაგრამ ამას ფიქრი სჭირდება. გული მეუბნება, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი სუფთა სულისა არიან. უბრალოდ, არის სტუდიისა და ფინანსურ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დიდი ხნის წინ ამერიკაში მოვაგვარე და რომელთაც მცირედ გადამუშავება ესაჭიროება. ვფიქრობ, ჩემი საქართველოში ყოფნისას შევძლებთ ამ საკითხებზე დალაპარაკებას. ჩემთვის დიდი პატივია, რომ "ხელოვნების ნაციონალურმა ცენტრმა" ეს წინადადება შემომთავაზა.

**- გსმენიათ 20-იანი წლების ქართველი ფუტურისტების შესახებ?**

- რაც ცივი ომის დროს ე.წ. "აღმოსავლეთ ბლოკში" ხდებოდა, სამწუხაროდ, ინგლისურენოვანმა მასმედიამ ყველაფერი "რუსულად" მონათლა (ავსტრალიელებს ეს მშვენივრად ესმით, რადგან ინგლისურენოვანი პრესა ყველაფერს, რაც ინგლისურ ენაზე ითქმება, "ამერიკულად" ან "ინგლისურად" ნათლავს და აქედან გამომდინარე, იშვიათად ახსენებენ "ავსტრალიელ" ან "კანადელ" ხელოვანს). მიუხედავად ამისა, კონსტრუქტივისტებისა და ფუტურისტების შრომას ვიცნობ - განსაკუთრებით, მაიაკოვსკის. გადამკვეთი მედიუმების სახით მუშაობა და თანამონაწილეობითი ხელოვნების ნაწარმოებები ყოველთვის მომწონდა.

**- თქვენი აზრით, როგორია ჰუმანისტური ხელოვნების მიმართება სამოქალაქო აზროვნებასთან, ფუნდამენტალიზმთან და კორპორატიულ სიხარბესთან?**

- ძალიან დიდი მოცულობის საკითხებია. დაახლოებით, ათი წლის წინ გადავწყვიტე, რომ დასავლური ხელოვნება თანადროული საზოგადოების ძირეულ მოთხოვნებს არ პასუხობდა. თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ჩემი ნამუშევრების უმეტესობა პოზიტიური და პროაქტიურია. ხელოვნების ბევრი ნაწარმოები მაქვს ნანახი, რომელიც კარგიც იყო და აზრიანიც, მაგრამ ამ ნამუშევრებს ხშირად არ აჩვენებდნენ მედისონ ავენიუზე, ჩელსიში, ლონდონში, პარიზში ან მელბურნში და ძალიან იშვიათად თუ იყო ნაჩვენები მთავარ მუზეუმებსა და გალერეებში. გადავწყვიტე, ჩემი ხელოვნების საშუალებით პირდაპირ მელაპარაკა საკითხებზე, რომლებიც მაწუხებდა. თავიდან დავაარსეთ მოკრძალებული "ჰუმანისტური ხელოვნების არქივი", რომელიც საზოგადოებას უნდა დახმარებოდა ჰუმანიზმის წინაშე მდგარი პრობლემების გამოხატვაში. ვფიქრობდი, რომ ამ წუხილის გამოხატვასთან ერთად ეს არქივი დაგვეხმარებოდა ჰუმანიზმის ზეიმის შეგრძნებაში, ჰუმანისტური ხელოვნების ისტორიის და ადამიანის სულის უკეთ გააზრებაში დასაბამიდან დღემდე.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ თუკი ხელოვნება კულტურის ნაწილია და კულტურა ჩავარდნილია, მაშინ ხელოვნებაც არ არის სათანადო სიმაღლეზე. ასე რომ, ჰუმანისტური ხელოვნება არ უნდა დავინახოთ ისე, როგორც მოძრაობა. ჰუმანისტურ ხელოვნებას არ ჰყავს ლიდერები, მას ჰყავს მხოლოდ კონტრიბუტორები და მხარდამჭერები. ის არ არის გარკვეულ მედიუმზე დაფუძნებული - მაგალითად, მხოლოდ მხატვრობაზე. ის მოიცავს ყველანაირ ხელოვნებას თუ ხელოვნებებს (ვიზუალურ ხელოვნებას, თეატრს, ფილმს, ცეკვას, მუსიკას, წერას, ელექტრონულ მედიას, ქუჩის წარმოდგენებს და ა.შ.), რომლებიც ითვალისწინებენ, საუბრობენ, აკრიტიკებენ თუ ზეიმობენ ჩვენს შესაძლებლობებს. ეს არის სიმღერა, რომელიც ადამიანის სულის უდიდესი სიღრმეებიდან მოდის.

**- რა მომავალი აქვს ჰუმანისტურ ხელოვნებას?**

- მოგზაურობისას ბევრ ისეთ ხელოვანს ვხვდები, ვინც ფიქრობს, რომ მათ უნდა ასახონ ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობისა და შერიგების საკითხები. ეს ხელოვნება ადამიანების სულებზე ბევრად უფრო ძლიერად, ღრმად და საზრისიანად მოქმედებს, ვიდრე რამდენიმე წლის წინ წარმოვიდგენდი. თუ ეს ასეა, ჰუმანისტური ხელოვნების მომავალი პოზიტიურია, მას ადამიანად ქცევაც შეუძლია და დღესასწაულის მოწყობაც.

# ჟანრის ფუძემდებელი იუბილარია

## ზაალ კაკაბაძე - კინო-ბალეტიდან ზღაპრებამდე

ვერა ნეფარიძე

*"ხალიფი ერთი საათით" - ზღაპარი ლეონარდო დი კაპრიოსა და ბრედ პიტის მონაწილეობით, რისთვისაც მუსიკას რონალდ ბაუმგარტნერი დაწერს; ხრუშჩოვის გაყალბებული საბუთებით შექმნილი ბერიას ხატის მსხვრევა კინოენის დახმარებით; კვლავ მოგონებები სტალინზე, რომელსაც, სავარაუდოდ, ოთხსერიანი დოკუმენტური ფილმი დაიტევს - ეს მხოლოდ ნაწილია დამდგმელი რეჟისორის ზაალ კაკაბაძის რეალური გეგმებიდან, რომელსაც თვითონ ოცნებას მიაწერს. ასე კი, ალბათ, იმიტომ ამბობს, რომ არ უყვარს ხმაურიანი "პრომო" და ურჩევნია ჩუმად აკეთოს კინო, თუკი ექნება ამის შესაძლებლობა. დღეს ზაალ კაკაბაძე იუბილარია. 70 წლისთავს რეჟისორი მოკრძალებულად აღნიშნავს.*

78 მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური ფილმი 48-წლიანი კარიერის განმავლობაში; საკავშირო და საერთაშორისო აღიარება; ქართულ კინემატოგრაფიაში ჟანრის - კინობალეტის ფუძემდებელია - მისი "მწირი" (ლერმონტოვის პოემის მიხედვით) დაჯილდოებულია ნიუ იორკისა და ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალების "გრან-პრით"; ამასთან ერთად, "მწირი" ერთადერთი ქართული ფილმია, რომელიც ლოს ანჯელესისა და ლინკოლნის კულტურული ცენტრის ფილმსაცავების ოქროს ფონდში ინახება; მისი კინობალეტი "მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ" ბალეტის მესვეურებმა ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო კინობალეტად აღიარეს; "ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი" კი დაჯილდოებულია სხვადასხვა მნიშვნელოვან ფესტივალებზე (Golden Fleece 90, Post Montreux 92). ეს ყველაფერი ზაალ კაკაბაძის სახელს უკავშირდება. დღეს 70 წლის რეჟისორი ხუმრობს: "78 ფილმის რეჟისორი ვარ, "მაგთის" რეკლამაში რომ გადამიღეს, მას შემდეგ ხალხი ქუჩაში მცნობს"... თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ზაალ კაკაბაძის ნამუშევრებს ჩვენთან კარგად არ იცნობენ. საკმარისია ვახსენოთ ფილმები: "ორერა, სრული სვლით!..", "მზიური" ან "სიყვარული, ივერია და..." ამ ფილმებით დღესაც სიხარულით ავსებს თავის ეთერს "საზოგადოებრივად" გარდაქმნილი თუ გარდასაქმნელი სახელმწიფო ტელევიზია, რომლის ხელმძღვანელობაც ზემოთ ჩამოთვლილი ნამუშევრების სამჭედლოსა და მის თანამშრომლებზე ამბობს - "ნაფტალინის სუნი" ასდისო. ზაალ კაკაბაძე თავის კოლეგებთან ერთად დღესაც ჰაერში გამოკიდებული კომპანია "ქართული ტელეფილმის" (სადაც, გამორთულია ტელეფონებიც, დენიც და არც ხალხი დადის სამუშაოდ) თანამშრომელია, იგი მხატვრული ფილმების განყოფილებას ხელმძღვანელობს და ყურმოკვრით იცის, რომ სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს კომპანიას რეორგანიზაციის მიზნით, მერე კი, საკუთარ თავს უნდა მიხედონ.



იური ლობოდინის ფოტო

ზაალ კაკაბაძის ბოლო ნამუშევარი ახალგაზრდა მომღერალზე, გიგი გეგელაშვილზე (რომელსაც განსაკუთრებული შესაძლებლობების მომღერლად მიიჩნევს) გადაღებული ფილმია. მანამდე კი იყო დოკუმენტური ნამუშევარი თბილისში გამართულ პიანისტთა მეორე კონკურსზე. სხვათა შორის, როდესაც კონკურსის ორგანიზატორმა ეს ფილმი წაიღო შვეიცარიაში, მას შემდეგ კონკურსს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა. უფრო ადრე კი, ზაალ კაკაბაძეს საბჭოთა კავშირის დაშლაზე დაუკვეთეს ფილმი შეერთებულ შტატებში; ოთხსერიან დოკუმენტურ სურათს, "იმპერიის რღვევა", რეჟისორმა ორი წელიწადი მოანდომა. "ბოლო ათ წელიწადში ოთხი ფილმი გავაკეთე", - უკმაყოფილოდ ითვლის დღეს რეჟისორი და ასეთ შედეგს უპირველესად, უფულობას აბრალებს. "ადრე ფული იყო და შესაძლებლობებიც, ხელს არავინ მიშლიდა. ახლა კარგი დოკუმენტური ფილმის გადაღება შემიძლია. ვალიკო კვაჭაძეს, რომელიც ორი წლის განმავლობაში, "მხატში" სტალინის როლს ასრულებდა, სცენარი მზად აქვს; "ორი წელიწადი სტალინის როლში", - ამ სახელწოდებით შეიძლება ოთხსერიანი ფილმის გაკეთება. სცენარი მზად არის. მინდა ბერიაზე ფილმის გადაღება. ძალიან საინტერესო პიროვნება იყო, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არა, დღეს რომ საუბრობენ გაყალბებული საბუთებით, რაც ხრუშჩოვისგან მოდის". იმ პროექტებიდან, რაც რეჟისორმა გაგვანდო, ყველაზე რეალური მაინც ზღაპრის ჩანაფიქრია. "1001 ღამის" მიხედვით ზღაპრის იდეით მოსკოვში დაინტერესდნენ. "მთავარ როლებში ლეონარდო დი კაპრიო და ბრედ პიტი იქნებიან; პროექტით მათი აგენტებიც დაინტერესდნენ რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ამ მსახიობებს აქამდე ერთად არ უთამაშიათ; და კიდევ: არც ერთს ფილმში არ უცეკვია და არ უმღერია", - რეჟისორის თქმით, თუკი მსოფლიო კინოს ვარსკვლავები ამ პროექტის პერსპექტიულობაში დარწმუნდებიან, ისინი ჰონორარზე უარს იტყვიან, სამაგიეროდ მოგების წილში ჩაჯდებიან, სხვა შემთხვევაში, ისინი 30-30 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებენ. ამ პროექტს კიდევ ერთი ადამიანი, რონალდ ბაუმგარტნერი ელოდება. ფინანსური მხარის მოგვარების შემთხვევაში, ავსტრიელი კომპოზიტორი ქართველი რეჟისორის მორიგი ზღაპრისთვის მუსიკას დაწერს.

# მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს

სანდრო ნავერიანი

*დაახლოებით ორი კვირის წინ საქართველოს "შოუ ბიზნესში", შეიძლება ითქვას, სენსაციური თემა აგორდა - ირაკლი ჩარკვიანმა, რომელსაც აქამდე მთელი საქართველო ირაკლი ჩარკვიანად იცნობდა, სახელი შეიცვალა და "მეფე" დაირქვა. ყველას, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი ზეაღმატებული სახელის დარქმევა განდიდების მანიასთან არის დაკავშირებული, არ ვეთანხმები. არ ვეთანხმები მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელობაში საჭიროა, გყავდეს მეფე, თუნდაც "შოუბიზნესში", რომელიც საქართველოში ყველაზე განუვითარებელია, თუმცა ამას ვერც ამ სფეროს წარმომადგენლები და ვერც მათი "ფანები" ვერ ამჩნევენ. ასე რომ, სრულიად ვეთანხმები იმ აზრს, რომ ერთ დღესაც ირაკლი ჩარკვიანმა გაიღვიძა და მიხვდა - ის არის მეფე, მეფე იმაში, რასაც "ქართული შოუბიზნესი" ეწოდება. ყველა ადამიანში არის მეფე, რომელიც უნდა მოკლა, რათა შენ თვითონ გახდე მეფე. ასე რომ, "მეფე მოკვდა გაუმარჯოს მეფეს"!!!*

ირაკლი ჩარკვიანთან ოთხი დღით ადრე შეთანხმებული შეხვედრა, როგორც იქნა, შედგა. ქიაჩელის კუთხეში ბარი "ნალი" მდებარეობს, სადაც მოხდა კიდეც ჩემი და ირაკლი ჩარკვიანის შეხვედრა.

ბევრი იფიქრებს, რომ ირაკლი ჩარკვიანთან შეხვედრის მიზეზი მისი სახელის შეცვლაა, მაგრამ, მერწმუნეთ, ერთადერთი, რაც მისგან მაინტერესებდა იყო მისი შემოქმედება და საუბარიც სწორედ ამ თემაზე გვქონდა, ერთხელაც არ მიხსენებია "მეფე" და მით უმეტეს, არ მიკითხავს, თუ რატომ დაირქვა ეს სახელი.

საუბარი იმ კითხვით დავიწყე, რომელზეც მისი თაობის წარმომადგენლებმა და მეგობრებმა მთხოვეს, აუცილებლად ჰკითხეო. კითხვა ასეთი იყო: რატომ მუსიკა და არა პროზა, პოეზია, კინო და ა.შ. პასუხი კი, ასეთი: **"ვთვლი, რომ მუსიკაში სწორედ იმდენს მივაღწევ, რაც ჩემს ამბიციას დააკმაყოფილებს. უკვე ბევრს მივაღწიე და ვიცი, რომ კიდევ უფრო მეტს მივაღწევ. პროზა, პოეზია, კინო, ეს ყველაფერი არის "პაპსა", მე კი "პაპსავიკი" არ ვარ. მე არ ვკერავ იმას, რაც სხვისი გამოჭრილია. პროზაშიც, პოეზიაშიც, კინოშიც მაკლია მუსიკა. საერთოდ, ცხოვრებაში მაკლია მუსიკა."** მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანი მუსიკაში ყველაფერს დებს, ყოველი ბგერის გამოცემისას ხარჯავს ენერგიის მაქსიმუმს, რაც კი შეიძლება, იმ ბგერას დაუთმო.

საუბარი იმით გაგრძელდა, რომ ძალიან მაინტერესებდა, ვის უძღვნის სიმღერებს და ვის უმღერის ირაკლი ჩარკვიანი. თითქმის მთელი საქართველო **მღერის** (ხაზგასმა ჩემია). ზოგი მოსულ სიყვარულს უმღერის, ზოგიც - წასულს. ამ დროს კი, უმეტესობამ არც კი იცის, რა არის სიყვარული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არასოდეს ჰყვარებია და მაინც **მღერის.** ვის უმღერის ირაკლი ჩარკვიანი, ვინ ან რა არის შთაგონების წყარო, რომელიც სიმღერას გაწერინებს, მერე კი, გამღერებს? ამ კითხვაზე ის პასუხი მივიღე, რომელსაც ველოდი და რომელზე პასუხსაც მისი შემოქმედება საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად პასუხობს. **"ჩემი შემოქმედების მთავარი აზრი ის არის, რომ ვადგავართ გზას, რომელიც გასავლელია. აქედან გამომდინარე, ჩემი შემოქმედების მთავარი გმირიც სწორედ გზა არის. რაც შეეხება მათ, ვინც მხოლოდ იმისთვის მღერის, რომ "ვარსკვლავი" გახდეს (თუმცა არ ვიცი, რა არის საინტერესო ამ "ვარსკვლავობაში"): გინდა სიყვარულს უმღერონ, გინდა სიძულვილს, მაინც ვერ გრძნობენ ჭეშმარიტი მუსიკის არსს და საბოლოოდ მუსიკის ნაცვლად ძღნერი გამოსდით და ყოველთვის ძღნერი გამოუვათ, რადგანაც არ მღერიან იმაზე რაც აწუხებთ, აინტერესებთ.**

არ შეიძლება, ამ აზრს არ დაეთანხმო და მთელი სულით და გულით არ გაიზიარო. სიტყვა "ვარსკვლავზე" კი ირაკლიმ ერთი კარგი რამ მითხრა: **ბავშვების გავარსკვლავებით ფულიანი მამები უფრო დაინტერესებული არიან, ვიდრე მომავალი სავარსკვლავეები. დაინტერესება კი იმაში გამოიხატება, რომ ერთი ნამღერი სიმღერის და ვიდეოკლიპის გადაღების შემდეგ, გაცილებით ადვილია გაათხოვო გოგო, რომელზეც შეიძლება ისეთივე "ვარსკვლავმა" იქორწინოს, როგორიც თავად გათხოვილი იქნება. ამის შემდეგ შეიქმნება ვარსკვლავების ოჯახი. ამაზე კარგი მაჭანკალი რა გინდა. მე თუ მკითხავ ერთი დიდი სტატია მარტო ამას უნდა მიუძღვნა..**

"ვარსკვლავებზე" და მაჭანკლობაზე საუბრის შემდეგ დავინტერესდი, თუ ვინ არის ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედების ყველაზე ობიექტური შემფასებელი და შეშინებია, თუ არა ოდესმე შემფასებლის - იქნებ და არ მოეწონოს ჩემი სიმღერა? **ჩემი შემოქმედების ყველაზე ობიექტური შემფასებელი, რა თქმა უნდა, მე ვარ. ჩემ შემოქმედებას ყველაზე კარგად მე ვაფასებ, რადგან მხოლოდ მე ვიცი, საიდან მოდის სიმღერის შექმნის იდეა; რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს, როგორი ჟღერადობა, ტემბრი და, რაც მთავარია, ყველაზე კარგად მე ვიცი, რა თემაზე დაიწერა სიმღერა.**

ამის შემდეგ ისეთი საუბარი წავიდა, რასაც ნამდვილი ინტერვიუ ჰქვია: მე კითხვას ვსვამდი, ირაკლი - პასუხობდა.

- ხალხს მიაჩნია, რომ შენი შემოქმედება აგრესიულია, აგრესიული იმ დონეზე, რომ ზოგი იმასაც ფიქრობს, ქუჩაში რომ შემხვდეს, მუშტების ქნევას დამიწყებსო. როგორ ფიქრობ, რამდენად აგრესიულია შენი მუსიკა?

**- აგრესიული ვარ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც თქვი. ყველა ადამიანში უნდა იყოს აგრესიის რაღაც, პატარა დოზა იმისათვის, რომ ცხოვრება იხმარო. არ იქნება აგრესია - ცხოვრება გიხმარს. რაც შეეხება მუსიკას, ჩემ შემოქმედებაში არის აგრესია, მაგრამ ეს აგრესია მხოლოდ იმისკენ არის მიმართული, რომ ჩვენი თავის პოვნაში და უკეთ, აზრიანად ცხოვრებაში დაგვეხმაროს. მართალი გითხრა, ის, ვინც ჩემს შემოქმედებაში ვერ ხედავს იმას, რაც სინამდვილეშია, მახარებს, მახარებს იმიტომ, რომ ეს ძალას მმატებს. იმას ვინც ჩემს შემოქმედებას უხარისხოდ თვლის, მტრად ნამდვილად არ ვთვლი, მაგრამ ამ შემთხვევაში მტრად მოვიხსენიებ მხოლოდ იმისათვის, რომ გითხრა: რაც უფრო მეტი მტერი გყავს, მით უფრო ძლიერი ხარ. მეც ასე ვარ და ეს უფრო დიდ მოტივაციას მაძლევს, რაც შეიძლება კარგი შევქმნა.**

- ჩემი აზრით, ქართველი მსმენელის დიდი ნაწილი არ არის მზად იმისათვის, რომ შენი შემოქმედება იმ კრიტერიუმებით შეაფასოს, რითიც უნდა ხელმძღვანელობდეს. ის, ვინც ბუკას და ჯაბას უსმენს, შენს შემოქმედებაში მხოლოდ სწრაფ ან პირიქით - ნელ ტემპს აფასებს, რათა შესაბამისად სწრაფად ან ნელა იცეკვოს, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მსმენელის ინტელექტი ამაღლდეს და ქართველებმა ისწავლონ, რა არის მუსიკა და არ უსმინონ ყველა "ვარსკვლავს", რომელიც ტელეეკრანებზე, თუ სპორტის სასახლეში დადგმულ სცენაზე გამოჩნდება?

**- ერთი პერიოდი, ვცდილობდი მსმენელის დონე ამემაღლებინა, უფრო სწორად, შემსრულებლების დონე ამემაღლებინა, მაგრამ ამისათვის ყველაფერს უნდა შევეშვა და მთლიანად იქ გადავვარდე. შეიძლება ყველაფრის დაკარგვა ავიტანო, მაგრამ მუსიკას ვერ შევველევი. თავში იმდენი თემა მიტრიალებს, მუსიკის შესაქმნელად ჩემს შვილისშვილებსაც ეყოფათ. ქვეყნის მოსახლეობის 98 პროცენტს დარჩენილი ის ორი პროცენტი ათრევს, რომელთაც მეცნიერები და ხელოვანები ეწოდებათ. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასივე პროცენტი ხელოვანი და მეცნიერი იყოს. ასე რომ იყოს, დედამიწა გაჩერდებოდა. ცხოვრების აზრიც სწორედ ეს არის, ნიჭიერმა უნიჭო უნდა ათრიოს.**

- შენი შემოქმედებიდან ყველაზე მეტად, რომელი სიმღერა მოგწონს?

**- "უსაფრთხოება"! ამ სიმღერის ტექსტში არის ერთი ადგილი "მე ვერ დაგიცავ, მე ვერ დაგიცავ, უსაფრთხოება მოგკიდებს ხელს, მე ვერ დაგიცავ, მე ვერ დაგიცავ, უსაფრთხოება წაგიყვანს დღეს". ამაში არის მთელი აზრი ჩემი ცხოვრების. მე ვერ დაგიცავ იმიტომ, რომ უსაფრთხოება თავად მოვა და ხელს მოგკიდებს, მერე წაგიყვანს და იქნები ასე უსაფრთხოდ. ანუ, ჩვენ არ გვჭირდება არავის დახმარება, ყველაფერი თავისით მოხდება.**

- ვიცი, რომ ახალი სინგლი ჩაგიწერია...

**- კი, ჩავწერე. ეს არის, ასე ვთქვათ, წინმსწრები ელემენტი ახალი ალბომისა "მეფე".**

- ალბომი როდის გამოვა?

**- მანამ არ გამოვა, სანამ "მეფე" არ შემოიკრებს იმ ყველა კომპონენტს, რაც კი ალბომის გამოსაშვებად არის საჭირო. ეს დაახლოებით შემოდგომაზე მოხდება.**

- ვიცი, რომ პროზაც ის სფეროა, რომელიც გიტაცებს, ხომ არაფერს წერ, ან ხომ არ დაამთავრე ის, რაც დაწყებული გქონდა?

**- რომანს ვწერ, რომელსაც "სიტყვა მეფისა ერთისა" ეწოდება. წიგნი წელს გამოვა. რაც შეეხება იმ რომანს, რომელიც დაწყებული მქონდა ველარ ვამთავრებ იმიტომ, რომ ტერორისტი, რომელიც მთავარი გმირია, ყველაფერში მართალია და ჩემი და მისი ბრძოლა შეწყდა - ყველაფერში მაჯობა, მთელი წიგნი ხომ ჩემი და მისი ბრძოლა იყო?! ამიტომაც შევწყვიტე, ველარ ვწერ, არაფერია დასაწერი.**

ჩვენი საუბარი ამით დასრულდა, მაგრამ ჩემთან ერთად ირაკლი ჩარკვიანის გადასაღებად წამოსული იყო გაზეთის ფოტოგრაფი ლევან ხერხეულიძე, რომელმაც საუბრის ბოლოს ირაკლის მიმართა: "კიდევ ერთი კითხვა მაქვს, მორიელი ხარ"? **კი, სერიოზული მორიელი. შენც მორიელი ხარ?** - ახლა ირაკლიმ ჰკითხა ლევანს. "არა, უბრალოდ, შენი მსჯელობით მივხვდი", - უპასუხა ლევანმა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ირაკლი ჩარკვიანი: "პროზა, პოეზია, კინო, ეს ყველაფერი არის "პაპსა", მე კი "პაპსავიკი" არ ვარ. მე არ ვკერავ იმას, რაც სხვისი გამოჭრილია. პროზაშიც, პოეზიაშიც, კინოშიც მაკლია მუსიკა. საერთოდ, ცხოვრებაში მაკლია მუსიკა".*

# „ოქროს გლობუსი" სცენაზე და კულუარებში




"ოქროს გლობუსი" ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც ჰოლივუდურ პროდუქციაზე "შემჯდარ" საზოგადოებას ხშირად ანატრებინებს ხოლმე: ოჰ, ნეტავი, ერთად იყოს თბილისი და ლოს ანჯელესი. მაგრამ ნატვრა ნატვრად რჩება. შორეულ კალიფორნიაში კი კვლავაც გულუხვად გასცემენ "ოქროს გლობუსებს", თანაც, ზუსტად მაშინ, როცა თბილისში ტკბილად გვძინავს.

ამიტომ გუშინ მხოლოდ კარგად გათენებულზე გავარკვიეთ ის, თუ რომელი ფილმები დააჯილდოეს პრესტიჟული პრიზით, რომელსაც ხშირად "ოსკარის" ბარომეტრსაც უწოდებენ.

ბრძოლა საუკეთესო დრამატული ფილმისთვის მარტინ სკორსეზეს "ავიატორმა" მოიგო. გამოდის, რომ დამსახურებულმა ამერიკელმა რეჟისორმა, ბოლოს და ბოლოს, ნავსი გატეხა და თაყვანისმცემლებს იმის იმედიც გაუმყარა, რომ, პირველად ისტორიაში, "ოსკარის" მოპოვებასაც შეძლებს.

ბედნიერება რეჟისორს ექსცენტრიკული მილიარდერის ჰოვარდ ჰიუზის ბიოგრაფიის ეკრანიზაციამ მოუტანა. თანაც, ერთდროულად ბედნიერება კუბში. "ავიატორი" საუკეთესო დრამატული ფილმი გახდა, მთავარი როლის შემსრულებელი ლეონარდო დი კაპრიო - საუკეთესო დრამატული მსახიობი მამაკაცი, საუკეთესო ორიგინალი პარტიტურისთვის კი კომპოზიტორი ჰოვარდ შორი დაჯილდოვდა.

სკორსეზეს ერთადერთ უიღბლობად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ კვლავაც საუკეთესო რეჟისურის ნომინაციის მიღმა დარჩა. ეს ტიტული კვირა საღამოს ბევერლი ჰილზში გამართულ პომპეზურ ცერემონიალზე ქლინთ ისთვუდს ერგო ფილმისთვის "მილიონდოლარიანი გოგონა". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურათი მოკრივე გოგონას შესახებ კრიტიკოსების ფავორიტიც გახლავთ. ფილმმა მთავარი როლის შემსრულებელ ჰილარ სუენქსაც მოუტანა წარმატება. ის "ოქროს გლობუსით" საუკეთესო დრამატული მსახიობი ქალის ნომინაციაში დაჯილდოვდა.

ამასობაში დამოუკიდებელმა პროდუქციამ, ალექსანდერ პეინის სურათმა "პირისპირ" ისეთ წარმატებას მიაღწია, არავინ რომ არ ელოდა. ამ ფილმს ძალიან მიმზიდველი პლაკატი (მიმზიდველი იმ მხრივ, რომ სრულიად განსხვავებულ აურას აფრქვევს, ვიდრე ჰოლივუდურ ფილმებს სჩვევიათ) და ორიგინალური თემატიკა აქვს (ორი მამაკაცი კალიფორნიულ ვენახებში მოგზაურობს და ღვინის ბოთლის თანხლებით საკუთარ ცხოვრებას აანალიზებს). ფილმს ტემპიც წყნარი უნდა ჰქონდეს - არაბლოკბასტერული. მოკლედ, ეს ის გამონაკლისი შემთხვევა ჩანს, როცა მძაფრ სიუჟეტს გარეგანი სპეცეფექტები კი არ ქმნის, არამედ შინაგანი დრამა.

ამიტომ, ჰოლივუდური სტანდარტებისა და ორიენტირის გათვალისწინებით, ოდნავ უცნაურია, თუ როგორ დაემართათ და როგორ წარადგინეს პეინის ფილმი ყველაზე ბევრ - შვიდ ნომინაციაზე ("ავიატორს" ექვსი ჰქონდა).

საბოლოოდ, "პირისპირ" ორი ჯილდოს პირისპირ დარჩა. ერთი ერგო როგორც საუკეთესო კომედიას, მეორე კი ალექსანდერ პეინმა და ჯიმ ტეილორმა დაიმსახურეს - საუკეთესო სცენარისთვის.


ლეონარდო დი კაპრიო და მარტინ სკორსეზე.


ჰილარი სუენქი.


ჰოვარდ შორი.


ჯეიმი ფოქსი.


ნატალი პორტმანი.


ქლაივ ოუენი.

თუ დღის გმირებზე ჩამოვარდება სიტყვა, ერთ-ერთი მათგანი უკონკურენციოდ იყო ლეონარდო. სცენიდან მან მაყურებელს მოახსენა, რომ შოუბიზნესში ძალიან პრივილეგირებული ცხოვრების სტილით გამოირჩევა, მაგრამ მისთვის უდიდესი პატივი მაინც სკორსეზესთან მუშაობაა, იმ რეჟისორთან, რომელმაც "მრისხანე ხარი" და "კარგი ბიჭები" გადაიღო; ადამიანთან, რომელსაც "უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი დროის კინემატოგრაფის წინაშე".

თავისი რეჟისორის მისამართით ქების სიტყვები არც ჰილარი სუენქმა დაიშურა. 70 წელს გადაცილებულ ქლინთ ისთვუდს, რომელიც წარმატების ზენიტშია, სუენქმა ასე მიმართა: "თქვენ შეუდარებლად გაგვიძეხით წინ. ჩემი მოკრძალებული აზრია ისიც, რომ ეს თქვენს კარიერაში საუკეთესო თამაში იყო", - რეჟისორი ხომ ფილმში თამაშობს კიდეც - მოკრივე სუენქის მწვრთნელის როლს.

მიმომხილველები კი საქმის ასე დაგვირგვინებით კმაყოფილი ჩანან. მათი აზრით, "ოსკარზე" ორი დიდი რეჟისორი შეებმება ერთმანეთს - ისთვუდი, რომელმაც საუკეთესო რეჟისურისთვის "ოქროს გლობუსი" უკვე მოიპოვა და სკორსეზე, რომელიც დიდი ხანია, იგივე კატეგორიის "ოსკარის" ღირსია.

კვირასვე გამოვლინდა კიდევ ორი "საოსკარე" კონკურენტის ვინაობა: ჰილარი სუენქი VS ანეტ ბენინგი. მათი ორთაბრძოლა "ოსკარზე" პირველად 1999 წელს შედგა. მაშინ სუენქმა აჯობა ბენინგს - ჯილდო მოიპოვა საუკეთესო ქალი მსახიობის ნომინაციაში ფილმისთვის "ბიჭები არ ტირიან". ბენინგი კი, "ამერიკულ სილამაზეში" კარგად თამაშის მიუხედავად, დაიჩაგრა. ვნახოთ, რა მოხდება წელს. თუმცა, სცენიდან გასვლის შემდეგ სუენქმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ასე მძაფრად არ აღიქვამს მოვლენებს, კონკურენციაზე სულ არ ფიქრობს და არ ივიწყებს, რომ ანეტმა ახალგაზრდა ჰილარის პროფესიული რჩევები მისცა.

"ძალიან მწყდება გული, რომ საკითხს ასე ზედაპირულად უდგებიან ხოლმე და ყველაფერს გამარჯვებულ-დამარცხებულის დონეზე განიხილავენ. ბოლოს ხომ სულ სხვა რამეა მთავარი - არტისტიზმი და არა კონკურსი", - დასძინა სუენქმა.

ამ სერიოზული მსჯელობის შემდეგ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ჯეიმი ფოქსმა გაამხიარულა, იგივე რეი ჩარლზმა ფილმიდან "რეი". მან ჯერ თავისი წილი "ოქროს გლობუსი" ჩაიბარა, მერე სოულის უსინათლო ლეგენდას მიბაძა და ისიც აღნიშნა, როგორ გააფრთხილა თავისმა აგენტმა, რომ ლოს ანჯელესში ბევრი არ ელოთა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მოღალატე წყვილების ურთიერთობაზე აწყობილი სურათი "სიახლოვე" - ვარსკვლავური დასით. თუმცა, ფილმს მეორეხარისხოვანი "გლობუსები" ერგო: დაჯილდოვდნენ ქლაივ ოუენი და ნატალი პორტმანი, როგორც საუკეთესო მსახიობები მეორეხარისხოვანი როლების შესრულებისთვის.

ესპანური "ზღვა შიგნით" კი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი გახდა. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ამენაბარის ფილმში ხავიერ ბარდემი შესანიშნავად ასრულებს დამბლადაცემული კაცის როლს.

შემდეგ სცენაზე ავიდა რობინ ვილიამსი სესილ დემილის ჯილდოს მისაღებად და ჯეიმი ფოქსის იუმორი საერთოდ დაჩრდილა. ისედაც გამხიარულებულ პუბლიკას ცნობილმა კომიკოსმა ბოლოს ისიც მოახსენა: მადლობა უნდა გადავუხადო ჰოლივუდის უცხოური პრესის სააგენტოს, უილიამ შატნერი, პრინცი, ფი დიდი და მიკ ჯაგერი სცენაზე ერთად რომ შეყარაო. ეს, ალბათ, აპოკალიფსსა და სიცოცხლის დასასრულს მოასწავებსო...

აპოკალიფსისა რა მოგახსენოთ, მაგრამ "ოქროს გლობუსი" "ოსკარის" განწყობას ნამდვილად მოასწავებს. რახან ზევით ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაცია ვახსენეთ, გეტყვით, რომ "გლობუსის" ცერემონიალს სწორედ ეს 93-კაციანი საბჭო აწყობს ყოველწლიურად. ცერემონიალი ოფიციალურად ხსნის ჰოლივუდის საზეიმო რიტუალების სეზონსაც. ამ რიტუალებიდან პირველი 25 იანვარს გაიმართება, როცა ბევერლი ჰილზზე ერთ მშვენიერ დილას "ოსკარის" ნომინაციებს დაასახელებენ. პომპეზურობის სერიალი კი 27 თებერვალს დასრულდება, როცა კინოს ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია "ოსკარებს" გასცემს.

დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



SMS

### რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

(მათთვის, ვინც მობილურ ტელეფონს ხმარობს)

ყველაფერი, რაც ამ კვირაში თავს გადამხდა, სინამდვილეში სწორედ ამ გაზეთის ამ უწყინარი სვეტიდან დაიწყო: ორი თვის წინ ამ გზავნილების გამო დამირეკა პრეზიდენტმა და მკითხა, - ჩემი კრიტიკის გარდა, კიდევ რითი ხარ დაკავებულიო. პრეზიდენტის ზარი იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ მეგონა, რომელიმე ჩემი მეგობარი უკბილოდ მეხუმრებოდა, რადგან მართლა არ მეგონა, თუ პრეზიდენტს გაზეთების წასაკითხად დრო რჩებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი მესიჯების გამო შეწუხდებოდა და საკმაოდ უხერხულად ვიგრძენი თავი. ვუთხარი კიდეც, ვწუხვარ, ძვირფასი დრო რომ დაგაკარგვინეთ-მეთქი. მან შეკითხვა გამიმეორა: ჩემი კრიტიკის გარდა რას აკეთებო. ვუთხარი, რასაც ვაკეთებდი - აკა მორჩილაძესთან ერთად დავით აღმაშენებელზე კინოსცენარს ვწერ-მეთქი. მაშინვე (ტელეფონით) დაინტერესდა მომავალი ფილმით და, იქნებ ხვალ შევხვდეთო, - მითხრა. მეორე დღესვე ვესტუმრე, თანაც ხალისით, რადგან უამრავი შეკითხვა მქონდა იმასთან დაკავშირებით, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, რაც არ მომწონს და მინდოდა, პირადად პრეზიდენტისგან მომესმინა ახსნა და პასუხები. რევოლუციის შემდეგ არ მენახა და გულწრფელად მაინტერესებდა, როგორ შეიცვალა. სანამ საქმეზე გადავიდოდით, თვითონაც გულწრფელად მკითხა, ეს შარვალი საიდან გაქვსო. ვუთხარი, გია გაჩეჩილაძემ მაჩუქა-მეთქი. ძალიან მაგარიაო, - აღფრთოვანება ვერ დამალა. არც მე დამიმალავს, რომ ეს ერთი შარვალი მაქვს და ვერ ვაჩუქებდი, თანაც, ჩემი შარვალი მას არ მოერგებოდა. კი მაგრამ, "უცნობის" შარვალი შენ როგორ მოგერგოო, - და საქმეზე გადავედით. ჯერ მე მოვახსენე, რა არ მომწონდა (თავისი არგუმენტებით). მერე პრეზიდენტი მპასუხობდა შეკითხვებზე. ზოგიერთ შენიშვნაზე დამეთანხმა, ზოგიერთზე კი სრულიად განსხვავებული აზრი ჰქონდა. ბოლოს მომავალი ფილმი დეტალურად მომაყოლა. ზოგიერთი ეპიზოდის თხრობისას როლში ისე შევიჭერი, რომ ალბათ იფიქრა, ეს ჩემზე უარეს დღეში ყოფილაო და რამდენჯერმე ჭიქით წყალი თავისი ხელით მომაწოდა. მოყოლა რომ დავამთავრე და ცხენიდან ჩამოვედი, მართლა ძალიან დაღლილი ვიყავი. პრეზიდენტი კი საკმაოდ დიდხანს, უბრალოდ, დუმდა. მერე მკითხა, ჩვენ რითი შეგვიძლია დაგეხმაროთო. ვუთხარი, რომ ფილმის პროდიუსერს ლევან კორინთელს ძირითადი თანხა უკვე მოძიებული აქვს. თუ რაღაც დააკლდებათ, იქნებ მდიდარ ქართველებთან გვიშუამდგომლოთ-მეთქი. ეს ფილმი იმდენად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რომ თუ საჭირო გახდება, სპონსორებთან მე თვითონ ვივლიო. სიარული და მოძრაობა რომ არ ეზარება, ამაზე ნაღდად ვერ შევეკამათებოდი. წამოსვლისას ისიც მითხრა, თუ მასობრივი ბატალური სცენებისთვის ჯარისკაცები დაგჭირდებათ, მთელ ქართულ ჯარს მოგაშველებთ, არ დამზოგოთო. კმაყოფილი წამოვედი, რადგან ვიფიქრე, თუ პრეზიდენტს ასე ძალიან მოსწონს ეს პროექტი, ქართველი ხალხის გულს ხომ ერთხელ მაინც სიხარულით ავავსებ-მეთქი, მაგრამ შევცდი.

მიუხედავად იმისა, რომ ვეჭვობდი - სადღაც ვიღაც, ალბათ, უკმაყოფილო იქნებოდა მომავალი ფილმის გამო, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ ამდენი შური და ბოროტება დაგვიპირისპირდებოდა ჩვენსავე ქვეყანაში მხოლოდ იმის გამო, რომ გვინდა, მთელ მსოფლიოს შევახსენოთ საქართველოს საამაყო და სახელოვანი წარსული. მეუბნებიან, რომ ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ქართველები შურიანი ხალხი ვართ, მაგრამ მეც ხომ ქართველი ვარ და არავისი მშურს. პირიქით - ნებისმიერი ქართველის წარმატება დღემდე ბავშვივით მიხარია (დედაჩემს ერთი-ორჯერ ვთხოვე: თუ ნაშვილები ვარ, არ დამიმალოთ-მეთქი). ამ ერთ კვირაში კი, შურის გარდა, კიდევ რამდენიმე უცნაური მოვლენა აღმოვაჩინე. ყველაზე მეტად ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტის უცნაურმა ლოგიკამ გამაკვირვა (ერთ-ერთმა ისიც კი მკითხა, პირდაპირ მითხარით, დავით აღმაშენებლს ჟვანია ითამაშებს თუ სააკაშვილიო. მეც პირდაპირ ვუთხარი, ამ როლზე უკვე დამტკიცებულია ვანო მერაბიშვილი-მეთქი, როგორ შეიძლება ასეთ შეკითხვებს სერიოზულად უპასუხო, თუნდაც ყველაზე სერიოზულ პროექტზე საუბრისას...

არ გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ ყოველ მესამე ქართველს თურმე დაწერილი აქვს სცენარი დავით აღმაშენებელზე და თანაც დიდი ხნის წინათ. ამიტომ ყველას მადლობა გადავუხადეთ ამ ერთი კვირის მანძილზე, ვინც რაიმე რჩევა მოგვცა, მაგრამ უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის კატეგორიულ, საბჭოურ მოთხოვნებს ვერაფრით დავეთანხმებით და გავიზიარებთ, რადგან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც სხვა სცენარის ავტორები და სხვა რეჟისორი სურს, შეუძლია თანხა მოიძიოს და, როგორც თვითონ წარმოუდგენია, სწორედ ისე გადაიღოს ნებისმიერი ფილმი (თუნდაც ოთარ კობერიძის სცენარის მიხედვით). კონკრეტულად ჩვენი პროექტი არის კერძო, დამოუკიდებელი კინოსტუდიის ინიციატივა, რომელიც თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი არჩევანის შესახებ. ვისაც ეს გადამღები ჯგუფი არ მოსწონს, შეუძლია სხვა შეარჩიოს. ჩვენ მხოლოდ გაგვახარებს კონკურენტუნარიან გარემოში არსებობა. და, საერთოდ, უნდა დავიჯეროთ, რომ საბჭოთა კავშირი, კაგებე და ცენზურა მხოლოდ მაშინ დამთავრდება საქართველოში, როცა მათი არსებობისგან ჩვენი გულები და ტვინები გათავისუფლდებიან...

*გაგრძელება იქნება*



დავით კოვზირიძის სვეტი

## მალანდროთა რიგების ნოსტალგია

ბრაზილიაში ფეხბურთელთა ჯიშია ეგეთი - მალანდროებს ეძახიან. ეს ის კასტაა, რომელშიც ხელოვნურად არავინ მოხვედრილა, რადგან მალანდრო არის ნიჭით სავსე, უმეტეს შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარი, საყოველთაო ეტიკეტის ფეხებზე დამკიდებელი, ფაველაში დაბადებული და კოპაკაბანას პლაჟზე ბურთის, მზის, წყლისა და მზეთუნახავი დიაცების ყოველდღიურობას ნაჩვევი ჯეელი, რომელიც ისე ხდება დიადი ფეხბურთელი, რომ ზნეს არ იცვლის. ანუ - მალანდროდ დაბადებული მალანდროდვე უნდა მოკვდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ნაღდი მალანდრო.

ასეთები ბევრნი არ არიან: ლეონიდასი, ვინც მსოფლიოს 1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხშიშველი გავიდა მოედანზე და პოლონელებს სამი გოლი მიართვა; ვალდირ პარეირა, იგივე დიდი, "ხმელი ფოთლის" ავტორი; კოჭლი, ლოთი, მწეველი და მიუხედავად ამისა, "ხალხის სიხარულად" შერაცხული უდიადესი მალანდრო - მანე გარინჩა; ქალების მუსუსი რომარიო, რომელზეც ხორხე ვალდანომ თქვა, არავინ იტყუება მოედანზე ისე მაგრად, როგორც რომარიოო.

და რატომ ვლაყბობ ამდენს ამ მალანდროებზე?.. ამას წინათ ჩემი ძველი ამფსონის სვეტს წავაწყდი დაახლოებით შვიდი წლის წინანდელ გაზეთში, სადაც ერთად ვმუშაობდით და ხშირად ვმუსაიფობდით მალანდროთა მსგავს იდუმალ თემებზე. მაშინ მან დიდი სინანულით ივარაუდა, რომ ბოლო მალანდრო სწორედ რომარიო ფარიასია, მაგრამ - გიხაროდეს, გიოჯან! ეს უნიკალური ჯიში კვლავ ფეთქავს და მისი გადამრჩენელი დღეს "კამპ ნოუზე" აგორებს ბურთს სიცილ-ხარხარით.

■ ■ ■

სანამ რონალდინიოზე გავაგრძელებდეთ ლაპარაკს, ისიც ვთქვათ, თუ რატომ იწერება საერთოდ ეს სვეტი. დღეს საქართველოში საფეხბურთო ბუმიაო, ამბობენ ზოგიერთები ამაყად. ამაში, ალბათ, ის იგულისხმება, რომ მომრავლებული საფეხბურთო სკოლები პატარა ბიჭებითაა გადატენილი. ამას რა სჯობს, ბავშვმა სპორტზე უნდა იაროს, პატიოსნად გამარჯვება ისწავლოს და არა სუბუტექსის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ არის ერთი პრობლემა და მას ქუჩის ფეხბურთის სიკვდილი ჰქვია.

ფეხბურთი სოლფეჯიო არ არის, რომ კვირაში სამჯერ ორი-სამი საათით წაივარჯიშო და მოედნიდან შინ მიგეჩქარებოდეს. ადამიანს, რომელსაც ფეხბურთი უყვარს, უყვარს ყოველთვის, ყველგან და ყველანაირი. ადრე, როცა "ბუმი" თითქოს არ იყო, მთელი უბანი, მთელი თბილისი ზაფხულობით საღამოს ელოდებოდა, ხოლო სიცივეში - კარგ ამინდს. სათამაშოდ სხვადასხვა უბნებიდან იკრიბებოდნენ, იყო რიგები და ამ რიგებში მსოფლიოს ახალი ამბების მიმოხილვა, ღადაობა და კამათი მარადიულ თემებზე. მაგალითად, პელე უფრო მაგარია თუ მარადონა, ბრაზილიური ფეხბურთი სჯობს თუ არგენტინული, "რეალი" თუ "ბარსელონა", რუსი "ნაშები" თუ უკრაინელი...

ამ დროს კი მოედანზე ნაღდი მალანდროები სასწაულებს სჩადიოდნენ. ბავშვები მათ უყურებდნენ და მერე ბაძავდნენ. სულ ერთი იყო სად - ტროტუარზე, მანქანებით სავსე ეზოში, შუა ქუჩაშიც კი. მოწინააღმდეგის გარდა, მათ უწევდათ ხეების, ლოდების, შემთხვევითი გამვლელების, გაჩერებული და მოძრავი მანქანების მოტყუება. თამაშობდნენ ერთი-ერთზე, ორი-ორზე, ოთხი-სამზე. ძელების მაგივრობას აგურები ან სკოლის ჩანთები სწევდა. წაგებული "კვასს" და "ბუბლიკებს", ან ლიმონათსა და ნაყინს ყიდულობდა, ამიტომ იყო ერთი ამბავი, "ზა კამანდუ ნი ატვიჩაიუ" და "სამი კუთხური ერთი პენალი".

ის, ვინც ამ აკადემიას წარმატებით გაივლიდა, აი იმ, მალანდროთა რიგში ხვდებოდა, მერე მოედანზე გადიოდა და ზღაპრულად ბურთაობდა, რადგან აღარც გამვლელები უშლიდა ხელს და არც მანქანები. ეს ჯეელები გაცილებით მაგრები იყვნენ, ვიდრე ფეხბურთის სკოლაში მოსიარულეთა უმეტესობა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, პროფესიონალურ ფეხბურთს არ ჰქონდა ახლანდელის დარი პერსპექტივები და ქართველი მალანდროებიც "დოხტურები", ინჟინრები გამოდიოდნენ.

დღეს, იცოცხლე, პერსპექტივისა და სკაუტების მეტი რა არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ბიჭები აღარ არიან, რიგებში რომ იდგნენ და გული უდაგდაგებდათ ბურთთან შეხების მოლოდინში.

იოჰან კრუიფი ბავშვებს საგანგებოდ ავარჯიშებდა ასფალტზე (სად-სად და, ჰოლანდიაში ნამდვილად არ ჭირს არანაირი ბალახი), რადგან მოზარდი, რომელიც ასეთ საფარზე თამაშსაა ნაჩვევი და დაცემის შიში საერთოდ დაკარგული აქვს, ბიბინა მინდორზე უფრო სწრაფად მოქმედებს. თანამედროვე ფეხბურთში კი სწორედ წამი წყვეტს ყველაფერს. თან კრუიფი არასდროს ათამაშებდა პატარებს თერთმეტი-თერთმეტზე, უფრო მინიფეხბურთის მასშტაბებს აწვებოდა და ამას იმით ხსნიდა, რომ ბავშვს მაქსიმალურად ხშირი შეხება უნდა ჰქონდეს ბურთთან და იმთავითვე უნდა მიეჩვიოს რეაქტიულ ტემპს.

და იცით, როგორ იღებდა ახალ ნაკადს "ავაზაში" მიხეილ მესხი? ბიჭებს ჩაამწკრივებდა, დაიძახებდა: "ოროსნები და სამოსნები, ერთი ნაბიჯით წინ!" და როცა თავდახრილი ბავშვები ბრძანებას შეასრულებდნენ, უკან მდგომებს წაუჩურჩულებდა: "თქვენ ჩაიცვით და სახლში წადით."

ასეა, მალანდროები არასდროს იცვლებიან.

■ ■ ■

პრობლემა, რომელსაც გაკვრით შევეხეთ, ძალიან სერიოზული, მრავალწახნაგიანია და მასზე მსჯელობას ერთი რიგითი სვეტი არ ეყოფა. ამიტომ კარგი იქნება, თუ მომავალშიც ვიკამათებთ და გამოსავალს ვიპოვით. ეს აუცილებელია, რადგან ქუჩის ფეხბურთის განადგურება გამოიწვევს ხელოვნურად გამოყვანილი, რობოტისებური თაობის შექმნას, რაც უკიდურეს ზღვარზე მყოფ ქართულ ფეხბურთს კიდევ უფრო ამაზრზენს გახდის. მით უმეტეს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე ისწავლეს კარგი "რობოტების" წარმოება, ჩვენ კი ჯერ ერთი ნორმალური მწვრთნელიც არ გვყავს.

რა არის იმაზე უკეთესი, როცა მოედანზეა რონალდინიო. ჩვენებურ "მსმელ და მომლხენ" საზოგადოებაში იმეორებენ ხშირად, კარგი თამადა ჭიქის აღების შემდეგ იგონებს სადღეგრძელოსო. ციყვისებრი ბრაზილიელიც ასეა - არავინ იცის (არც თვითონ), რას მოიფიქრებს ბურთის მიღების შემდეგ და სწორედ ესაა მალანდროთა მაგიურობა: გამუდმებით გალოდინებენ და ყოველთვის სასიამოვნოდ გიმთავრებენ ამ მოლოდინს. აბა, ალესიო ტაკინარდიმ წინასწარ იცის, რას გააკეთებს ერთ თვეში, "მესინასთან" შეხვედრის მე-18 წუთზე.

ერთად ვიფიქროთ ამ თემაზე.

ფეხბურთი

# „ზესტაფონი" დღეს გემგზავრება

ნაცნობი სიტუაცია: მახარაძე ახალ გუნდს ქმნის

მიხეილ აბაიშვილი

როგორც წესი, ზამთრის საფეხბურთო არდადეგები ქართული კლუბებისთვის შვებულებასავითაა: უმაღლესი ლიგის გუნდების უმეტესობა, უკეთეს შემთხვევაში, ადგილობრივ პირობებში თუ ახერხებს ვარჯიშს. ერთი ხელის თითები გვეყოფოდა იმ გუნდების ჩამოსათვლელად, რომლებიც უცხოეთში გადიოდნენ საწვრთნელ შეკრებას. საბედნიეროდ, ვითარება კარდინალურად იცვლება და იმ ქართული გუნდების რაოდენობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულფასოვან, თან უცხოურ საწვრთნელ შეკრებას გეგმავენ და გადიან, სულ უფრო იზრდება. ამის კარგი მაგალითია საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი", რომელზეც სეზონის დასაწყისში იმასაც ვერავინ იფიქრებდა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეძლებდა. კლუბს შეძლებული მეპატრონე გამოუჩნდა ზესტაფონის "ფეროს" სახით და არათუ სატურნირო მდგომარეობა გამოსწორდა საგრძნობლად, არამედ, მაღალი ადგილის დაკავებაზე საფუძვლიანი პრეტენზიაც გაჩნდა. რა თქმა უნდა, ეს წარმატებები კარგი სასელექციო მუშაობის დამსახურებაცაა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობის მთავარი ნაბიჯი, რამაც უკუსვლით მიმავალი "ზესტაფონის" საქმეები კარდინალურად შემოატრიალა, მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ მახარაძის მიწვევაა. მწვრთნელ-ჯადოქრად სამართლიანად შერაცხულმა მახარაძემ პირველივე დღეებიდან და ტურებიდან დაატყო გუნდს ხელი. მახარაძის მოსვლამდე 11 ტურში გუნდმა ექვსი ქულის მოპოვება შეძლო და მყარად ეკავა სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხური. ახალმა მწვრთნელმა ბოლო 7 ტურში 13 ქულა მოაპოვებინა გუნდს და მეორე წრეს "ზესტაფონი" ქულათა სოლიდური მარაგით ხვდება.

"ზესტაფონი" დღეს გაემგზავრება ანტალიაში, სადაც საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე თემურ მახარაძემ "24 საათის" შეკითხვებს უპასუხა.

**- რამდენად აქტიურად გამოიყენეთ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა?**

- ფოთის "კოლხეთიდან" სამი ფეხბურთელი გადმოვიბირეთ: მეკარე ქვაჩახია, მცველები - გუჩუა და ღონღაძე. წყალტუბოელთა ყოფილი მეკარე ბზიკაძეც მეორე წრიდან ჩვენთან ითამაშებს. უკრაინიდან დაბრუნდნენ იონანიძე და ჩხეტიანი, რომლებიც ასევე "ზესტაფონში" ჩაირიცხნენ. მოვიწვიეთ ახალგაზრდა, 1988 წელს დაბადებული განუგრავა და გოცირიძე, რომლებიც საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებში თამაშობდნენ. "ზესტაფონის" დუბლშემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი - ჭუმბურიძე და ივანიშვილი დავიმატეთ.



თემურ სუხიტაშვილის ფოტო

*თემურ მახარაძე: "ანტალიაში 20-დღიან შეკრებას ვგეგმავთ".*

**- ცნობილია, რომ ორი მეკარის, ყოფილი ვიტჯორჯიელი მერლანისა და ყოფილი ტორპედოელი სტურუას მიმართ იჩენდით ინტერესს.**

- ამ მეკარეების მიმართ მართლაც გვქონდა ინტერესი, მაგრამ მათი გადმობირება ვერ მოვახერხეთ. სტურუამ "ლოკომოტივთან" გააფორმა კონტრაქტი, მერლანის ტრანსფერიც სხვადასხვა მიზეზის გამო გამოირიცხა.

**- "ზესტაფონი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა...**

- დიახ, გუნდიდან წავიდნენ რაქვიაშვილი, ჭილვინაძე, პარამონოვი, ჯაფარიძე და ზირაქიშვილი. ისინი "ზესტაფონისთვის" საკმაო ძალას წარმოადგენდნენ. ძალიან მწყდება გული, რომ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელმა ზირაქიშვილმა დაგვტოვა. მას კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა, ხოლო ახალი კონტრაქტის პირობებზე კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან საერთო ენა ვერ გამონახა.

**- ისეთი ფეხბურთელები ჩამოთვალეთ, რომლებიც პირველ წრეში "ზესტაფონის" ხერხემალს წარმოადგენდნენ. პრაქტიკულად, ახალი გუნდის შენება გიწევთ...**

- გეთანხმებით, თუმცა, პირველად არ ვარ მსგავს სიტუაციაში.

**- ხვალ ანტალიაში მიემგზავრებით საწვრთნელ შეკრებაზე. რამდენ ხანს დარჩებით იქ და ამხანაგურ მატჩებს თუ გეგმავთ?**

- ანტალიაში 20-დღიან შეკრებას ვგეგმავთ. სპარინგმატჩებსაც ჩავატარებთ. უკვე ცნობილია სამი მეტოქე. სამივე რუსული კლუბია - ყაზანის "რუბინი", გროზნოს "ტერეკი" და ვორონეჟის "ფაკელი". ასევე ვეთამაშებით რუმინეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდს. ვგეგმავთ მეხუთე ტესტმატჩსაც. მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა. საქართველოში 8 თებერვალს დავბრუნდებით.

**- ხომ არ იგეგმება უცხოელი ფეხბურთელების ანტალიაში გასინჯვა და რომელიმესთან კონტრაქტის გაფორმება?**

- არ არის გამორიცხული, თუმცა, წინასწარ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**- დაბრუნებიდან ერთ კვირაში უმნიშვნელოვანესი მატჩი გელით ჩემპიონატის ლიდერ თბილისის "დინამოსთან", თუმცა, სხვა ტურნირზე - საქართველოს თასის მერვედფინალში.**

- ამ მატჩზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. პირველი შეხვედრა მინიმალური სხვაობით, 1:2 დავთმეთ. ეს ანგარიში განმეორებითი მატჩის წინ კარგ შანსს გვიტოვებს, მით უმეტეს, რომ შინ ვთამაშობთ. თუმცა, მეტოქე სერიოზულია და მისი დამარცხება იოლი არ იქნება.

**- საქართველოში ხშირად მომხდარა, რომ ამა თუ იმ კლუბს პატრონი გამოსჩენია და ქართული ფეხბურთის საკლუბო ლიდერადაც ქცეულა. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელებულა - დაფინანსების შეწყვეტის გამო ასეთი კლუბი, უკეთეს შემთხვევაში, საშუალო დონის გუნდად ქცეულა, ხოლო უარეს შემთხვევაში - დაშლილა. ასეთ კლუბში თქვენც არაერთხელ გიმუშავიათ. რამდენად სერიოზულია "ზესტაფონის" მეპატრონეთა სურვილი, შექმნან ნორმალური გუნდი, მასაც ხომ არ ელის ერთწლიანი გუნდების ხვედრი?**

- "ზესტაფონი" ამისგან დაზღვეულია. გუნდის მფლობელებს სერიოზული გეგმები აქვთ. ფინანსური საფუძველიც მყარია და განვითარების გეგმაც არა ერთ, არამედ რამდენიმე წელიწადზეა გათვლილი. ის, რომ კლუბი დანახარჯებს არ ერიდება და სერიოზულ საწვრთნელ შეკრებას გავივლით უცხოეთში, ბევრ რამეზე მეტყველებს.

**- რა მოთხოვნებს გიყენებთ კლუბის ხელმძღვანელობა მიმდინარე სეზონში?**

- ემპიონატის პირველ ნახევარში ბევრი ქულა დავკარგეთ და საპატიო ადგილებისთვის ბრძოლა არარეალურია. ეს კარგად ესმის კლუბის ხელმძღვანელობასაც, ამიტომ მკაცრი პირობა არ წამოუყენებია. ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ, მომავალ წელს კი სულ სხვა მიზნები გვექნება.

ჩოგბურთი

# აგასის ტრავმა მითი ყოფილა

ამერიკელი ანდრე აგასის სერიოზული ტრავმის შესახებ საუბარი მითი ყოფილა და სხვა არაფერი. ამერიკელმა ვერ დაამთავრა ენდი როდიკის წინააღმდეგ საჩვენებელი მატჩი, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატს უძღოდა წინ. ის ბარძაყმა შეაწუხა და განაცხადა, რომ ალბათ, ვეღარ შეძლებს მელბურნში გამგზავრებას და ტურნირში მონაწილეობას.

განცხადება განცხადებად და ერთ დროს ამერიკელთა კერპმა შეჯიბრების პირველივე წრეში ბდღვირი ადინა საკვალიფიკაციო ეტაპიდან გადმოსულ გერმანელ დიტერ კინდლმანს - 6:4, 6:3, 6:0.

ბოლო ოთხი ტურნირიდან აგასიმ სამი მოიგო და მხოლოდ შარშან დათმო ნახევარფინალური მატჩი მარატ საფინთან. მეხუთე ლაშქრობის დასაწყისი მისთვის უაღრესად წარმატებული გამოდგა. პირველ ორ სეტში აგასის 17 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ სამის რეალიზაცია მოახერხა. მესამე სეტში კი უკვე ამერიკელს მოუხდა თავისი მოწოდების დაცვა. სეტის შუაგულში მან სამი ბრეიკი მოიგერია.

"ახლა შესანიშნავად ვგრძნობ თავს. როცა გავიღვიძე, უკვე კარგად ვიყავი. თამაშის დროსაც არავითარი პრობლემა არ მქონია", - განაცხადა ანდრე აგასიმ.

ავსტრალიის ღია პირველობის სასტარტო მატჩი ძალიან იოლად წარიმართა მსოფლიოს პირველი ჩოგნის როჟე ფედერერისთვისაც. მისთვის უხერხულ მეტოქესთან ფაბრის სანტოროსთან მატჩში ფედერერმა მხოლოდ ოთხი გეიმი დათმო. ფრანგმა, უბრალოდ, არ იცოდა, რა მოეხერხებინა და სად ერბინა. პირველი სამი გეიმი შვეიცარიელმა ნულზე მოიგო. მეხუთე გეიმისთვის კი მხოლოდ სამი ბურთი დათმო.

"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, პირველი მატჩი იოლად მომეგო. მე მას შანსიც კი არ მივეცი", - მატჩის შემდეგ განაცხადა როჟე ფედერერმა, რომლის დაუმარცხებელი სერია 22 მატჩამდე გაიზარდა.

რაც შეეხება განთესილებს, მათ შორის აღსანიშნავია ესპანელი კარლოს მოიას მარცხი. ტურნირის მეხუთე ჩოგანი თანამემამულე გილიერმო გარსია ლოპესთან შეხვედრაში ოთხ სეტში დამარცხდა. გარსია ლოპესმა, რომელმაც შარშანდელი სეზონი რეიტინგში 128-ე საფეხურზე დაასრულა, მეოთხე სეტის მერვე გეიმში ბრეიკი გააკეთა. შემდეგ თავისი მოწოდება ნულზე მოიგო, რითიც მოია წლევანდელი "დიდი სლემის" პირველი ტურნირის მიღმა დატოვა.

განთესილებმა ქალთა თანრიგშიც დანაკარგი განიცადეს. პირველ დღეს დამარცხდა ტურნირის 30-ე ნომერი იტალიელი ფლავია პენეტა, ფრანგი მარი პირსი (24), ჩეხი ივეტა ბენესოვა (32) და მე-16 ნომრად განთესილი იაპონელი აი სუგიამა. პირველმა უნგრელ პეტრა მანდულას დაუთმო გზა, მეორემ - ფრანგ სტეფანი კოენ-ალოროს, მესამემ - სერბ ანა ივანოვიჩს, მეოთხემ კი - სლოვაკ მარტინა სუხას.



**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 20) - რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 6:4, 6:2, 1:0 |
| | სოდერლინგმა თამაში შეწყვიტა. |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 22) - ლუის ჰორნა (პერუ) | 6:4, 6:3, 6:3 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 28) - ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) | 6:3, 6:2, 6:1 |
| ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) - ვან იუ ცზიუ (ტაივანი) | 7:6, 6:2, 6:4 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 6:1, 6:1, 6:2 |
| მარკოს ბაგხდატისი (კვიპროსი) - ფედერიკო ლუცი (იტალია) | 6:1, 3:6, 6:1, 3:6, 6:3 |
| ბიორნ პხაუ (გერმანია) - ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 6:3, 7:6, 6:3 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 13) - სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) | 5:7, 6:2, 6:4, 6:2 |
| ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 30) - პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) | 7:6, 4:6, 6:3, 4:6, 6:0 |
| პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) - ლიუ იენ-ჰსუნი (ტაივანი) | 6:3, 6:4, 6:4 |
| აგუსტინ კალიერი (არგენტინა) - მაქსიმ მირნი (ბელარუსი) | 6:4, 5:7, 6:4, 4:6, 6:4 |
| ტაკაო სუძუკი (იაპონია) - ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) | 6:4, 6:3, 6:3 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა, 10) - ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) | 7:6, 6:4, 6:3 |
| ანდრე აგასი (აშშ, 8) - დიტერ კინდლმანი (გერმანია) | 6:4, 6:3, 6:0 |
| ტეილორ დენტი (აშშ, 29) - ფლორან სერა (საფრანგეთი) | 7:5, 6:2, 6:4 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| სერენა უილიამსი (აშშ, 7) - კამილ პინი (საფრანგეთი) | 6:1, 6:1 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5) - ჯესიკა კირკლანდი (აშშ) | 6:1, 6:1 |
| ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) - ლუბომირა კურხაიკოვა (სლოვაკეთი) | 6:4, 6:1 |
| ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია, 17) - სელიმა სფარი (ტუნისი) | 6:3, 7:5 |
| სანია მირცა (ინდოეთი) - სინდი უოტსონი (ავსტრალია) | 3:6, 6:3, 6:0 |
| მარტინა სუხა (სლოვაკეთი) - აი სუგიამა (იაპონია, 16) | 7:5, 6:4 |
| ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) - კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 5:7, 6:4, 6:4 |
| ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) - ვირჯინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) | 4:6, 6:1, 6:4 |
| მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) - კლოდინ შოლი (ლუქსემბურგი) | 6:1, 6:3 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია, 15) - იულია შრუფი (გერმანია) | 6:3, 6:4 |
| ანა-ლენა გრენფელდი (გერმანია) - სევერინ ბელტრამი (საფრანგეთი) | 6:1, 6:3 |
| პეტრა მანდულა (უნგრეთი) - ფლავია პენეტა (იტალია, 30) | 3:6, 6:1, 6:3 |
| შინობუ ასაგო (იაპონია, 28) - ანკა ბარნა (გერმანია) | 6:4, 6:2 |
| დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) - სუსანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) | 6:1, 6:1 |
| სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) - მარი პირსი (საფრანგეთი, 24) | 6:2, 6:2 |
| სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) - ნურია პლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) | 2:6, 7:6, 6:4 |
| ლი ნა (ჩინეთი) - ლორა გრანვილი (აშშ) | 6:2, 4:6, 6:2 |
| მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 22) - მეგი სერნა (ესპანეთი) | 6:1, 6:1 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი, 9) - ლიუ ნანანი (ჩინეთი) | 6:4, 6:2 |
| მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) - ლი ტინი (ჩინეთი) | 6:1, 3:6, 6:0 |
| გიზელა დულკო (არგენტინა, 29) - კრისტინა ბრანდი (პუერტო-რიკო) | 6:3, 3:6, 6:3 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 11) - ვირჯინია რაცანო (საფრანგეთი) | 6:1, 6:2 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) | 6:3, 6:1 |
| ვერა დუშევინა (რუსეთი) - ჯილ კრეიბასი (აშშ) | 3:6, 7:6, 6:4 |
| ემი ფრეზერი (აშშ, 21) - მარისა ირვინი (აშშ) | 7:5, 6:1 |
| დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) - სილვია ტალაია (ხორვატია) | 7:6, 6:3 |
| ანა ივანოვიჩი (სერბეთი) - ივეტა ბენესოვა (ჩეხეთი, 32) | 3:6, 7:6, 6:1 |
| ლინდსი ლი უოტერსი (აშშ) - სოფია გუბაჩი (უნგრეთი) | 6:3, 7:5 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 2) - სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 6:2, 6:3 |
| დინარა საფინა (რუსეთი) - ჟენ ჟი (ჩინეთი) | 7:5, 3:6, 6:4 |
| მარიანა დიას ოლივა (არგენტინა) - შაორი ობატა (იაპონია) | 6:3, 6:4 |

ინფოთეკა

## "სახალხო ბანკი" დამსახურებულ სპორტსმენებს ეხმარება

"სახალხო ბანკის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დამსახურებულ სპორტსმენებს საჩუქრად გადაეცა "სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათი, რომელზეც ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ჩაერიცხებათ 100-100 ლარი.

ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს, ასევე დამსახურებულ მწვრთნელებს საშუალება ეძლევათ, ისარგებლონ "სახალხო ბარათით" და "სახალხო ბანკის" 100-ზე მეტ ფილიალსა და სერვისცენტრში მიიღონ ბანკის მიერ დაწესებული საჩუქარი.

### ვეტერან სპორტსმენთა სია

1. **დავით ციმაკურიძე**: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი
2. **ვახტანგ ბალავაძე**: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
3. **გიორგი სხირტლაძე**: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
4. **ოთარ კანდელაკი**: მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი. მსოფლიოს თასის მფლობელი.
5. **ვალერიან მეკოკიშვილი**: ყოფილი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი
6. **მიხეილ თავართქილაძე**: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
7. **როსტომ აბაშიძე**: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.
8. **კუკური ტუღუში**: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
9. **ზარიბეგ ბერიაშვილი**: მსოფლიოს ჩემპიონი. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი.
10. **გურამ საღარაძე**: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.
11. **გურამ რატიშვილი**: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. სპორტის აკადემიის კათედრის გამგე.
12. **ომზარ შოშიტაშვილი**: საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი.
13. **რაფაელ ჩიმიშკიანი**: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.
14. **გიორგი ბარბაქაძე**: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
15. **გურამ დათიაშვილი**: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

### დელ პიერო "იოკოჰამაში"?

ტურინის "იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო სეზონის დასასრულისთვის, შესაძლებელია, იაპონიის J-ლიგის კლუბ "იოკოჰამა მარინოსში" გადავიდეს. ამ იაპონური გუნდის სპონსორი ფირმა "ადიდასი" მზადაა გადაიხადოს დელ პიეროს ტრანსფერის საფასური.

თავად ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ მისი შეძენით არა მარტო "იოკოჰამაა" დაინტერესებული, არამედ იაპონიის ერთ-ერთი უმდიდრესი გუნდი "კაშიმ ანტლერსი". ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ თავისი ამჟამინდელი მწვრთნელით ფაბიო კაპელოთი კმაყოფილი არ არის და ხშირად უხდება მასთან შეკამათება.

ამას გარდა, დელ პიეროს მომავალი გაურკვეველი გახადა კლუბში რუმინელი ფორვარდის ადრიან მუტუს გადმოსვლამ. "იუვენტუსმა" "ჩელსისგან" ნაკროტიკების მოხმარების გამო გაძევებული ფეხბურთელი 13 იანვარს შეიძინა. როგორც ამბობენ, კლუბში მუტუს მოსვლის შემდეგ დელ პიეროს უფლებები მნიშვნელოვნად შემცირდება, მით უმეტეს, რომ ფეხბურთელს მაინცდამაინც თბილი ურთიერთობა არა აქვს გუნდის მთავარ მწვრთნელთან. იაპონიაში კი საქმე სხვაგვარადაა. დელ პიერო ამომავალი მზის ქვეყანაში დიდი პატივისცემით სარგებლობს. იაპონური კლუბები მზად არიან, ფეხბურთელის შეძენისთვის სოლიდური თანხა გადაიხადონ.

ფოლიანტი

# ალი

გიგა გურასაშვილი

*კასიუს მარსელიუს კლეი, შემდგომში მუჰამედ ალი - კაცს, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება, გუშინ 63 წელი შეუსრულდა. ლეგენდარულ მოკრივეს სიცოცხლეშივე უწოდეს დიადი, რაც მოგვიანებით ალის მეტსახელადაც იქცა. ვინ იფიქრებდა, თუ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი, შემთხვევის წყალობით, ვარსკვლავებს მოწყვეტდა. 12 წლის კასიუს მარსელიუს კლეისთვის მოპარულმა ველოსიპედმა ალის საკრივო ისტორია გამოჭედა.*

1954 წელს ლუისვილში, კენტუკის შტატში, მეგობართან ერთად "კოლუმბია აუდიტორიუმის" დარბაზში მყოფმა, როდესაც მოპარული ველოსიპედის თაობაზე შეიტყო, განრისხებული მივარდა პოლიცელის, ვინმე ჯო მარტინს და მიახალა: ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, მნიშვნელობა არა აქვს, ნაკერავზე გავხევო. მარტინი შურისძიების წყურვილით ანთებული კასიუსის დაშოშმინებას შეეცადა, თან ჭკუაც დაარიგა: "უმჯობესი იქნება, თუ თავდაპირველად კრივს ისწავლიო". სწორედ აქედან დაიწყო ალის საკრივო ისტორია. მარტინის დარიგებიდან კვირაც არ იყო გასული, რომ პირტიტველა კასიუსმა პირველი ორთაბრძოლა გამართა და პირველი გამარჯვებაც დააგემოვნა. ჯერაც გამხდარი და გაწლიკული, მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობდა, რაც მოგვიანებით შეძლო კიდეც. პირველი ორთაბრძოლიდან მოყოლებული, 27 წლის განმავლობაში კასიუსი რინგის ბატონ-პატრონი გახდა. და, საერთოდ, მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მისი განჭვრეტა წინასწარმეტყველსაც კი გაუჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, მეამბოხე დიდი ჩემპიონი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებით.

რა თქმა უნდა, პროფესიულ რინგამდე კლეი სამოყვარულო ფიცარნაგზე იწრთობოდა. ახალგაზრდა კლეის არასდროს უმუშავია. მისი ერთადერთი საქმიანობა კრივი და ვარჯიში იყო. სამოყვარულო რინგზე 108 ორთაბრძოლა ჩაატარა და მალე პროფესიულ კრივსაც ეზიარა. მაგრამ ჯერ იყო 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშები, როდესაც კლეის აშშ-ის ნაკრებში უხმეს. ბევრისთვის მოულოდნელად, ჯერაც უსახელომ, ჩხუბის უჩვეულო მანერით კრივის სამყარო აალაპარაკა და მე-18 დაბადების დღიდან ერთ თვეში რომი ოლიმპიური ოქროს მედლით დატოვა, მედლით, რომელსაც საწოლშიც არ იშორებდა. ოლიმპიურ ჩემპიონს სწამდა, რომ შინ დაბრუნებულს მეტი პატივისცემით მოეპყრობოდნენ და არა ისე, როგორც მეორეხარისხოვან ამერიკელს, რის შეგრძნებაც მუდამ სტანჯავდა, მაგრამ... აფროამერიკელი ბევრისთვის კვლავაც "შავტრაკა" ამერიკელად დარჩა. ამის დასტურია ის, რომ მშობლიურ ქალაქში ოლიმპიურ ჩემპიონს ერთ-ერთმა რესტორანმა მომსახურებაზე უარი უთხრა. განაწყენებულმა, მოგვიანებით ოლიმპიური ოქროს მედალი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, მდინარეში გადაუძახა (1996 წელს ატლანტის ასწლოვან ოლიმპიურ თამაშებზე მუჰამედ ალის ხელმეორედ გადაეცა ოლიმპიური ოქროს მედალი.-რედ.).

...იმავე 1960 წელს კასიუს კლეი პროფესიულ კრივს ეზიარა. იქიდან მოყოლებული, კლეი, შემდგომ კი ალი, 61-ჯერ ადის რინგზე. ამ ხნის განმავლობაში გულშემატკივრებს იმ პერიოდის დიდ მოკრივეებთან არაერთ დაუვიწყარ ორთაბრძოლას შესთავაზებს. ალის მონაწილეობით თითოეული ჩხუბი მართლაც რომ გამორჩეული, სულისშემძვრელი და სანახაობრივია. ისევ და ისევ მისი ფიზიკური მონაცემებისა და ჩხუბის მანერით. 97 კილოგრამისა და 192 სანტიმეტრი სიმაღლის მუჰამედ ალი რინგზე უჩვეულოდ მსუბუქად მოძრაობდა და მოცეკვავის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ესეც მისი სიტყვები: "დავფარფატებ, როგორც პეპელა და ვბზუი, როგორც ფუტკარი".

...ხანგრძლივი პროფესიული კარიერის განმავლობაში ალი რინგზე ერთგვარი მოდის კანონმდებლად გვევლინება. ჩატარებულ 61 ორთაბრძოლაში 56 გამარჯვება მოიპოვა, აქედან - 37 ნოკაუტით. მხოლოდ ხუთჯერ დამარცხდა, რაც შემთხვევითობას უფრო მიეწერება. აღსანიშნავია ისიც, რომ ორთაბრძოლათა ნუსხიდან 25 სატიტულო ან მისი შესარჩევი გახლდათ. ეს ციფრი რეკორდულიც იქნებოდა, რომ არა ჯო ლუისი (მისი ეს მონაცემი ერთით მეტია). პირველი მარცხი 1971 წლის 8 მარტს ნიუ იორკში იგემა. თუმცა, არც მეტოქე იყო ხელწამოსაკრავი - ჯო ფრეზერი. კაცი, რომელსაც ძალისმიერი სტილის გამო "შავი მარჩიანო" შეარქვეს.

მაგრამ არის ერთი ორთაბრძოლა, რომელსაც კრივის მემატიანენი "უდიდესსა" და "დაუვიწყარს" უწოდებენ. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც 1974 წლის 30 ოქტომბერს ტიტულის მოცილე ალისა და მოქმედ ჩემპიონს ჯორჯ ფორმენს შორის აფრიკის კონტინენტზე, ზაირში, ქალაქ კინშასაში გაიმართა.

შვიდი რაუნდის განმავლობაში ალი ფორმენს მოსვენებას არ აძლევდა. მეტოქე ბევრს ცდილობდა, ალის მიახლოებოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მერვე რაუნდის შუაწელში ალიმ ფრეზერის დასაბნევად ცრუ კომბინაცია წამოიწყო. მალე ყბაში ძლიერად უთავაზა. დარეტიანებული ფრეზერი ადგილზე უცნაურად დატრიალდა, წაქცევის ზღვარზე მყოფმა, ორი თუ სამი ნაბიჯი გადადგა და რინგზე გაიშხლართა. ალი ჩემპიონია.

ამის შემდეგ მუჰამედ ალი კიდევ ბევრჯერ ავა რინგზე, მაგრამ კინშასაში შემდგარი ორთაბრძოლა მაინც "ტკბილ მოგონებად" დარჩება კრივის სამყაროში.

კრივის კარიერას უკვალოდ არ ჩაუვლია. 80-იან წლებში, როდესაც ხელთათმანები საბოლოოდ გაიძრო, პარკინსონით დაავადდა. ავადმყოფობის მიუხედავად, ალი დღესაც აქტიურადაა ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში.

### აქვე გთავაზობთ სრულ ჩამონათვალს იმ ორთაბრძოლებისა, რომლებიც მუჰამედ ალიმ პროფესიულ რინგზე ჩაატარა:

**1960 წელი**
29 ოქტომბერი ტუნი ჰანსეიკერი, ლუისვილი ........ W6
27 დეკემბერი ჰერბ საილერი, მაიამი ბიჩი ........ KO4
**1961**
17 იანვარი ენტონი სპერტი, მაიამი ბიჩი ........ KO3
7 თებერვალი ჯიმ რობინსონი, მაიამი ბიჩი ........ KO1
21 თებერვალი დონი ფლიმანი, მაიამი ბიჩი ........ KO7
19 აპრილი ლამარკ კლარკი, ლუისვილი ........ KO2
26 ივნისი დიუკ სეიბდონგი, ლას ვეგასი ........ W10
22 ივლისი ალონსო ჯონსონი, ლუისვილი ........ W10
7 ოქტომბერი ალექს მიტეფი, ლუისვილი ........ KO6
29 ნოემბერი ვილი ბესმენოფი, ლუისვილი ........ KO7
**1962**
10 თებერვალი სონი ბენქსი, ნიუ იორკი ........ KO4
28 თებერვალი დონ უორნერი, მაიამი ბიჩი ........ KO4
23 აპრილი ჯორჯ ლოგანი, ლოს ანჯელესი ........ KO6
19 მაისი ბილი დენიელსი, ნიუ იორკი ........ KO7
20 ივლისი ალეხანდრო ლავორანტე, ლოს ანჯელესი ........ KO5
15 ნოემბერი არჩი მური, ლოს ანჯელესი ........ KO4
**1963**
24 იანვარი ჩარლი პაუელი, პიტსბურგი ........ KO3
13 მარტი დოუ ჯონსი, ნიუ იორკი ........ W10
18 ივნისი ჰენრი კუპერი, ლონდონი ........ KO5
**1964**
25 თებერვალი სონი ლისტონი, მაიამი ბიჩი ........ TKO7 საჩემპიონო
**1965**
25 მაისი სონი ლისტონი, ლევისტონი ........ KO1 საჩემპიონო
22 ნოემბერი ფლოიდ პატერსონი, ლას ვეგასი ........ KO12 საჩემპიონო
**1966**
29 მარტი ჯორჯ კუვალო, ტორონტო ........ W15 საჩემპიონო
21 მაისი ჰენრი კუპერი, ლონდონი ........ KO6 საჩემპიონო
6 აგვისტო ბრაიან ლონდონი, ლონდონი ........ KO3 საჩემპიონო
10 სექტემბერი კარლ მილდენბერგერი, ფრანკფურტი ........ KO12 საჩემპიონო
14 ნოემბერი კლეველენდ უილიამსი, ჰიუსტონი ........ KO3 საჩემპიონო
**1967**
6 თებერვალი ერნი ტერელი, ჰიუსტონი ........ W15 საჩემპიონო
22 მარტი ზორა ფოლი, ნიუ იორკი ........ Ko7 საჩემპიონო
**1970**
26 ოქტომბერი ჯერი ქუორი, ატლანტა ........ KO3
7 დეკემბერი ოსკარ ბონავენა, ნიუ იორკი ........ KO15
**1971**
8 მარტი ჯო ფრეზერი, ნიუ იორკი ........ L15
26 ივლისი ჯიმი ელისი, ჰიუსტონი ........ KO12
17 ნოემბერი ბასტერ მატისი, ჰიუსტონი ........ W12
26 დეკემბერი იურგენ ბლინი, ციურიხი ........ KO7
**1972**
1 აპრილი მეკ ფოსტერი, ტოკიო ........ W15
1 მაისი ჯორჯ კუვალო, ვანკუვერი ........ W12
27 ივნისი ჯერი ქუორი, ლას ვეგასი ........ KO7
19 ივლისი ელვინ ლევისი, დუბლინი ........ KO11
20 სექტემბერი ფლოიდ პატერსონი, ნიუ იორკი ........ KO8
21 ნოემბერი ბობ ფოსტერი, სტეიტლაინი ........ KO8
**1973**
14 თებერვალი ჯო ბაგნერი, ლას ვეგასი ........ W12
31 მარტი კენ ნორტონი, სან დიეგო ........ L12
10 სექტემბერი კენ ნორტონი, ლოს ანჯელესი ........ W12
20 ოქტომბერი რუდი ლუბერსი, ჯაკარტა ........ W12
**1974**
28 იანვარი ჯო ფრეზერი, ნიუ იორკი ........ W12
30 ოქტომბერი ჯორჯ ფორმენი, კინშასა ........ KO8 საჩემპიონო
**1975**
24 მარტი ჩაკ ვეპნერი, კლივლენდი ........ KO15 საჩემპიონო
16 მაისი რონ ლაილი, ლას ვეგასი ........ KO11 საჩემპიონო
30 ივნისი ჯო ბაგნერი, კუალა ლუმპური ........ W15 საჩემპიონო
1 ოქტომბერი ჯო ფრეზერი, ქუიზონ სიტი ........ KO14 საჩემპიონო
**1976**
20 თებერვალი ჟან-პიერ კუპმანი, ჰატო რეი ........ KO5 საჩემპიონო
30 აპრილი ჯიმი იანგი, ლენდოვერი ........ W15 საჩემპიონო
24 მაისი რიჩარდ დანი, მიუნხენი ........ KO5 საჩემპიონო
28 სექტემბერი კენ ნორტონი, ნიუ იორკი ........ W15 საჩემპიონო
**1977**
16 მაისი ალფრედო ევანგელისტა, ლენდოვერი ........ W15 საჩემპიონო
29 სექტემბერი ერნი შეივერსი, ნიუ იორკი ........ W15 საჩემპიონო
**1978**
15 თებერვალი ლეონ სპინქსი, ლას ვეგასი ........ L15 საჩემპიონო
15 სექტემბერი ლეონ სპინქსი, ახალი ორლეანი ........ W15 საჩემპიონო
**1980**
2 ოქტომბერი ლარი ჰოლმსი, ლას ვეგასი ........ KO'd11 საჩემპიონო
**1981**
11 დეკემბერი ტრევორ ბერბიკი, ნასაუ ........ L10

***განმარტება:*** *თავდაპირველად მითითებულია წელი, რიცხვი და თვე, შემდეგ - მეტოქის ვინაობა, ქალაქი, რომელშიც ორთაბრძოლა ჩატარდა. W - მოგება მსაჯთა დათვლით; L - წაგება მსაჯთა გადაწყვეტილებით; KO - ნოკაუტი; KO'd - ნოკდაუნი. რიცხვები რაუნდების რაოდენობაზე მიუთითებს.*

ინფოთეკა

## ბაქოში გაცამტვერებული ხალიჩა

დასაწყისიც ამას ჰქვია. ჭაბუკებმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პირველივე ოფიციალურ ასპარეზობაზე შვიდი მედალი მოიპოვეს.

სამიოდე დღის წინათ ბაქოში დამთავრებულ ისაევის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ქართველ ფალავნებთან ერთად რუსეთის, ირანის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და მასპინძელთა გუნდები გამოდიოდნენ, ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და შინ შესაბამისი ადგილისთვის განკუთვნილი თასით დაბრუნდნენ. საკუთარი შეგირდებით კმაყოფილი არიან ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი და მისი თანაშემწეები: გია კოტიშაძე და ელგუჯა ქობესაშვილი.

ახლა კი მათზე, ვინც აზერბაიჯანში იყოჩაღა. პირველი ადგილები დაიკავეს მურთაზ კვესაძემ (58კგ), თორნიკე სვანაძემ (76კგ), დავით მოძმანაშვილმა (85კგ) და ზაალ მარტიაშვილმა (100კგ); ვერცხლი - დაჩი ქერაშვილმა (85კგ), რომელსაც ფინალში თანაგუნდელ მოძმანაშვილთან მოუხდა დაჭიდება. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გოჩა ლომთათიძემ და თორნიკე კიკაბიძემ (ორივე - 69კგ).

### ტაისონი საუკეთესოა

ცნობილმა მწვრთნელმა, რომლის დარბაზშიც აგერ უკვე ერთი კვირაა მაიკ ტაისონი ვარჯიშობს, განაცხადა, რომ ექსჩემპიონი ძველებურად საუკეთესო ფორმაშია. მისი თქმით, იგი ოფიციალურად ითვლება ტაისონის მწვრთნელად და მასთან ყოველდღე დაუღალავად მუშაობს.

"ის დღეში სამჯერ ვარჯიშობს. სპორტდარბაზში ყოფნის დროს ცდილობს გაიმეოროს ის, რასაც ოდესღაც აკეთებდა. დიდ ყურადღებას უთმობს კომბინაციებს. მაიკი დიდი ენთუზიაზმით ეკიდება საქმეს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, აპირებს თუ არა ახლო მომავალში მატჩის ჩატარებას, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ტაისონს რინგზე კვლავაც არ ჰყავს ბადალი. მას ვერავინ დაამარცხებს. ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით ვდგავარ, " - აღნიშნა მწვრთნელმა.

### "ჩელსი" კეჟმანს თავიდან იშორებს

ინგლისის ფეხბურთის კლუბმა "ჩელსიმ" განაცხადა, რომ თავდამსხმელის მატეა კეჟმანის დათმობას აპირებს. ფეხბურთელის ყიდვის კონკრეტული მსურველი ჯერჯერობით არ ჩანს.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის სერბმა ფეხბურთელმა "ჩელსისთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა გასული წლის ზაფხულში. კეჟმანი ვარსკვლავი გახდა ჯერ კიდევ 1999 წელს, როცა "პარტიზანში" თამაშისას მან 28 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ, 2003 წელს, მან ჰოლანდიაში წარმოუდგენელი, ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა: 32 მატჩში 35 ბურთი გაიტანა და ჩემპიონატის ყველაზე წარმატებული ფეხბურთელი, ევროპაში კი მეორე ადგილის მფლობელი გახდა. ვან ბასტენის რეკორდის მოხსნას ცოტაღა დააკლდა. აი, მაშინ კი წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულსაც მოიპოვებდა. გასულ სეზონზე მის ანგარიშზე 28 გოლი ირიცხებოდა.

"ჩელსიში" გადასვლამდე კეჟმანზე რამდენიმე ევროპული გუნდი ნადირობდა, მათ შორის, ბრიტანულიც.

ახლა კი ასეთი წარმატებული ფეხბურთელის ბედი გაურკვეველია.

კლუბის მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს კეჟმანისთვის ნამდვილად არ სცხელა. იგი საკუთარი საქმეებითაა დაკავებული. მწვრთნელი "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. როგორც ამბობენ, კლუბის მფლობელი რომან აბრამოვიჩი იმდენად კმაყოფილია მწვრთნელის საქმიანობით, რომ მზადაა, მოურინიოს 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*



# მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენები

მერაბ ლორთქიფანიძე

"მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენის" წოდებას არცთუ ბევრი ოფიციალური მფლობელი ჰყავდა, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, რომ ლამის ყოველწლიურად, ის შეიძლება ხელიდან ხელში გადავიდეს. შეიძლება კი არა, შესაბამისი პროექტები ინტენსიურად მუშავდება და თითქმის ყოველწლიურად, მინიმუმ თითო ასეთი პროექტის განხორციელება იწყება. ამ საქმეში განსაკუთრებით აზიელები აქტიურობენ, სადაც სოკოებივით მრავლდებიან ცათამბჯენები.

ამ მხრივ, ჩინური მეგაპოლისები ლიდერობენ, თუმცა მათ ბოლო ხანებში არც არაბული სამყაროს დიდი ქალაქები ჩამორჩებიან. განსაკუთრებით ეს გაერთიანებული საემიროების მთავარ ქალაქ დუბაის ეხება, სადაც უკვე მოწონებულია ქალაქის ახალი საქმიანი ცენტრის მრავალმილიარდიანი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, 2008 წელს მსოფლიოს ახალი, 800-მეტრიანი ცათამბჯენი, სახელად "ბურჯ დუბაი" მოევლინება. მანამდე კი პირველობა ტაივანში ახლახან დასრულებულ 101-სართულიან "ტაიპეი 101-ს" ეკუთვნის.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, თანამედროვე არქიტექტურის ეს შედევრი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე "შტორმულ" არეში მდებარეობს - აქ ხშირია დამანგრეველი ძალის ქარიშხლები, რომელთა სიჩქარე ხშირად აღემატება 200 კმ/სთ-ს, ხშირია ცუნამი და რაც მთავარია, მიწისძვრები. "ტაიპეი 101-ს" სულ 198 მეტრი აშორებს ტექტონიკური რღვევის ზოლიდან. მართალია, სეისმოლოგები ირწმუნებიან, რომ ამ ზოლის გააქტიურება უახლოეს 45 000 წელიწადში მოსალოდნელი არ არის, კონსტრუქტორებმა მაინც დაიზღვიეს თავი და უპრეცენდენტო ზომებს მიმართეს უბედურების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

ზემოთ "ბურჯ დუბაი" ვახსენეთ. 3-4 წლის შემდეგ ის იქნება მსოფლიოში უმაღლესი, თუმცა მანამდე, "ტაიპეი 101"-ს პირველობას სულ სხვა შენობა ჩამოართმევს - 2007 წელს მწყობრში ჩადგება ჩინეთის უდიდესი ქალაქისა და სამრეწველო ცენტრის, შანხაის "მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი". გარდა ამისა, მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენის აშენებას აპირებენ ჰონგ კონგშიც, ნიუ იორკში კი, დანგრეული მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპების ადგილზე, მასზე გაცილებით მაღალი, "მშვიდობის კოშკი" (ფრიდომ ტაუერ) აღიმართება.

მომზადებულია პროექტი, სახელად "ბიონიკ ტაუერი", რომლის განხორციელების შემთხვევაშიც, შანხაის სანაპირო ზოლში კილომეტრის სიმაღლის კოლოსი მოევლინება ჩვენს პლანეტას. ამ კოლოსში კი, როგორც პროექტის ავტორები ირწმუნებიან, ასი ათასი ადამიანი იცხოვრებს და ფაქტობრივად, ეს იქნება ქალაქი ქალაქში.

## რას ნიშნავს "უმაღლესი"

სხვათა შორის, წოდება (გინდა მცნება) "მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენი", ცოტა არ იყოს, ზოგადია და ის საერთაშორისო ორგანიზაცია "მაღალი შენობებისა და ურბანული საცხოვრებლების საბჭოს" ოთხ ნაწილად, ერთგვარ ქვეტიტულად აქვს დაყოფილი:

პირველია დაშორება მიწის ზედაპირიდან კენწერომდე. ტაივანის ცათამბჯენის სიმაღლე ამ მხრივ 508 მეტრია. ამ პუნქტის მიხედვით, "ტაიპეი 101-ის" მშენებლობის დამთავრების შემდეგაც (იგივე საბჭოს წესით, შენობა მხოლოდ მას შემდეგ გადის ოფიციალურ რეგისტრაციას, რაც მისი საოფისე ფართის უმეტესი ნაწილი ექსპლუატაციაში გადაეცემა), პირველობა ჩიკაგოს "სირს ტაუერს" ეკუთვნის, რომლის სიმაღლე სატელევიზიო ანძის ჩათვლით, 528 მეტრია.

მეორეა დაშორება მიწის ზედაპირიდან მზიდი სტრუქტურის ზედა ბოლომდე. ამ მხრივაც "ტაიპეი 101-ის" სიმაღლე 508 მეტრია, მის დასრულებამდე კი ამ მაჩვენებლით პირველი იყო მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში მდებარე ტყუპი კოშკი "პეტრონას ტაუერი", რომლის სტრუქტურის სიმაღლეა 452 მეტრი.

მესამეა დაშორება მიწის ზედაპირიდან შენობის ჭერამდე (შპილი). ეს მაჩვენებელი ტაივანურ კოლოსს 448 მეტრი აქვს, მის დასრულებამდე კი პირველობა "სირს ტაუერის" (431 მეტრი) ხელში იყო. მეოთხე მაჩვენებელია დაშორება ზედიპირიდან უმაღლეს საბინადრო წერტილამდე. ამ მხრივაც, ადრე ლიდერი ჩიკაგოს ცათამბჯენი იყო (ზუსტი მონაცემი არ მოგვეპოვება), დღეს კი აქაც "ტაიპეი 101" ლიდერობს - 438 მეტრი.

აქ იმის თქმაც ღირს, რომ უმაღლეს ნაგებობათა შორის პირველობას ჯერაც ინარჩუნებს ტორონტოს სატელევიზიო ანძა, რომლის სიმაღლე 553 მეტრია. ის 13 მეტრით მაღალია მოსკოვის "ოსტანკინოს" ტელეანძაზე. ოღონდ, ისინი სათვალავში არ მიიღებიან, რადგან არ არიან გათვალისწინებული არც საცხოვრებლად და არც საოფისედ. სხვათა შორის, ამავე მიზეზის გამო, "მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენის" წოდება უფრო ხშირად მიწის ზედაპირიდან შენობის სტრუქტურულ ზენა წერტილამდე სიმაღლით განისაზღვრება და ამ მხრივ, დღეს ყველაზე მაღალი სწორედ ტაივანური ცათამბჯენია.

## ტაიპეი 101

მაშ ასე, გაიცანით მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენი - "ტაიპეი 101". შენობას, რომლის აგებაც 1.7 მილიარდი დოლარი დაჯდა, 101 სართული აქვს, მისი უმაღლესი წერტილი კი გრუნტიდან 508 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამასთან შპილის სიმაღლე სულ 448 მეტრია, ბოლო სართულის ჭერი კი გრუნტიდან 438 მეტრის სიმაღლეზეა.

შენობის საოფისე ფართი დაახლოებით 198 000 კვ.მეტრს შეადგენს. ფუნდამენტი მიწის ზედაპირიდან 28 მეტრის სიღრმიდან იწყება, ხიმინჯები კი გაცილებით ღრმად, 63 მეტრის სიღრმეზეა "გადგმული". "ტაიპეი 101-ის" მშენებლობისას სულ 242 852 კუბ.მეტრი ბეტონი და 107 000 ტონა ფოლადია გამოყენებული. მისი სატელეფონო ქსელის გასაბმელად 5260 კილომეტრის სიგრძის კაბელი დაიხარჯა, წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციებზე კი დაახლოებით 100 კილომეტრი მილები იქნა გამოყენებული. გარედან შენობას ფარავს 120 000 კვ.მეტრი საერთო ფართის მქონე გამჭოლი საიზოლაციო შუშა, რომელიც დაახლოებით 120 მილიონი დოლარი დაჯდა.

შენობის ძირითადი მზიდი კარკასის (ჩონჩხის) ძირითად ნაწილს ფოლადის 8 მეგაბურჯისგან შემდგარი კონსტრუქცია წარმოადგენს, რომელთაგან ყოველი ორი შენობის ოთხივე კუთხეშია განლაგებული. ამ ბურჯების კედლის სისქე 8 სანტიმეტრია, შიგნიდან კი ისინი 62 სართულის სიმაღლემდე სპეციალური, ზემტკიცე ბეტონითაა შევსებული. ბურჯებს გარს აკრავს ფოლადის მტკიცე ბადე, რომელიც შენობას სიმტკიცესაც სძენს და მიწისძვრის შემთხვევაში, "სუნთქვის" საშუალებას აძლევს.

ყოველ 8 სართულს სპეციალური გამყოფი "მოედანი" აშორებს, რომლებიც ცათამბჯენს ცალკე სეგმენტებად ჰყოფენ. ასეთი, ერთი ზომის სეგმენტი, "ტაიპეი 101-ს" სულ 8 (ჩინელებისთვის იღბლიანი რიცხვი) აქვს. ამ სეგმენტიდან თითოეულს "თავისი" მზიდი სისტემა გააჩნია, რომლებიც ძირითადთან შედარებით მცირე განივკვეთის მქონე, 16 ცალ ბურჯზეა დამყარებული. ეს ბურჯები კონსტრუქციის ცენტრალურ ნაწილში, სიმეტრულადაა განლაგებული და შენობას დამატებით სიმტკიცეს სძენს.


ტაიპეი 101


ტაიპეი 101-ის ქანქარის ბირთვი

"ტაიპეი 101" მსოფლიოში უსწრაფესი ლიფტებითაა აღჭურვილი. ზევით მოძრაობისას, მათი სიჩქარე 60 კმ/სთ-ს აღწევს, ქვევით მოძრაობისას კი - 36 კმ/სთ-ს. ამასთან, ისინი აეროდინამიკური ფორმისანი არიან და ორი სართული აქვთ. ორსართულიანი ლიფტები რაღა საჭიროაო, იკითხავთ. რა და, ასე ნაკლები შახტაა საჭირო, რითაც იზოგება შენობის სასარგებლო ფართობი. ორსართულიანი ლიფტის ერთი სართული მხოლოდ კენტ სართულებზე ჩერდება, მეორე კი - ლუწზე. ამ ლიფტების წყალობით, ადამიანი 89-ე სართულზე მდებარე სათვალთვალო ბაქანს სულ რაღაც 40 წამში მიაღწევს.

ქარისა და მიწისძვრისადმი ცათამბჯენის მდგრადობას უზრუნველყოფს ფოლადის უზარმაზარი, 730-ტონიანი ბირთვი-ქანქარა, რომლის დიამეტრი 5.5 მეტრია და რომელიც ადამიანის მკლავის სისქის ფოლადის გვარლებით შენობის 92-ე სართულზეა დაკიდული.

ბირთვის მასა "ტაიპეი 101-ის" საერთო მასის მხოლოდ 0.24 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ეს სრულებით საკმარისია იმისათვის, რომ ცათამბჯენის რხევების ამპლიტუდა ორჯერ შეამციროს. ბირთვს იჭერს 8 ცალი მძლავრი ჰიდრავლიკური ამორტიზატორი, რომლებიც მას 1.5 მეტრზე მეტად გაქანების საშუალებას არ აძლევენ.

გათვლების მიხედვით, "ტაიპეი 101" თავისუფლად გაუძლებს რიხტერის სკალით 7-ბალიან მიწისძვრას. ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე შენობას სპეციალური, მძლავრი ჰიდრავლიკური დანადგარებით ჩაუტარდა გამოცდა მიწისძვრაზე, რომელიც მან შესანიშნავად ჩააბარა. გარდა ამისა, ტესტი ჩატარდა ქარიშხალზეც, რისთვისაც გამოყენებულ იქნა რეაქტიული საავიაციო ძრავი.

სხვათა შორის, იმ დროს, როცა ნიუ იორკში 11 სექტემბრის ტერაქტი განხორციელდა, "ტაიპეი 101-ის" მშენებლობა სამი წლის დაწყებული იყო. კონსტრუქტორებმა გადახედეს მის კონცეფციას და სერიოზული ცვლილებანი შეიტანეს შენობის კონსტრუქციაში. ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტრაგედიამ გამოავლინა, რომ ცათამბჯენებისთვის ცეცხლიც ისევე საშიშია, როგორც მიწისძვრა და ქარიშხალი. ამიტომ, ყველა საყრდენი ბურჯი და ფოლადის მზიდი ჩარჩო სპეციალური, მტკიცე ცეცხლმედეგი შრით დაფარეს. თვითონ შენობა კი უამრავი ცეცხლმქრობით აღჭურვეს, რომელთა შიგთავსითაც ორი დიდი (50-მეტრიანი) აუზის გავსება შეიძლება. უფრო მეტიც, რვავე რვასართულიანი სეგმენტი ავტონომიური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით მოამარაგეს.

უნდა ითქვას, რომ ცუდმა ამინდებმა და ხშირმა მიწისქვეშა ბიძგებმა, მშენებლობის დასრულება ორი წლით დააგვიანეს. წარმოიდგინეთ, მშვიდ, უქარო ამინდშიც კი, ზედა სართულებზე ისე ძლიერად უბერავდა, რომ თავისუფლად შეეძლო ადამიანის წაქცევა. ამიტომ, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან ჩამოსული მშენებელ-სპეციალისტები სპეციალური დამზღვევი თოკებით დამაგრებულები ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს. ხშირად სამუშაოები იმის გამო ჩერდებოდა, რომ ცათამბჯენის ზედა სართულებზე ღრუბელი გადაივლიდა და იქ სქელი ნისლი წვებოდა.

ბოლოს და ბოლოს, უბედური შემთხვევაც მოხდა - 2002 წლის 31 მარტს ბიძგები სულ ნახევარ წუთს გრძელდებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ნახევარ კილომეტრზე აზიდული ამწეები სამაგრებიდან ამოვარდნილიყო. უზარმაზარმა კონსტრუქციებმა ვარდნისას შენობის ფასადის ნაწილი ჩამოანგრიეს და სამშენებლო მოედანზე რამდენიმე მანქანა მოიყოლეს ქვეშ. დაიღუპა ოთხი ადამიანი - მათგან ორი ამწის მექანიკოსი, ერთი ელექტროგაყვანილობის სპეციალისტი და ერთიც ტაქსის მძღოლი, რომელიც, მისდა საუბედუროდ, სწორედ იმ დროს გაჩერებულიყო მშენებარე კოლოსის სიახლოვეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნგრევა მხოლოდ ამწეების ვარდნის შედეგი იყო, თავად შენობამ კი ღირსეულად გაუძლო სერიოზულ გამოცდას, თუმცა მისი მშენებლობა მაინც რამდენიმე თვით შეწყდა.

და მაინც, 2003 წლის ოქტომბერში დასრულდა "ტაიპეი 101-ის" ძირითადი ნაწილის მშენებლობა და მან მსოფლიოს უმაღლეს ცათამბჯენებს შორის ლიდერობა იგდო ხელთ - გადაასწრო კუალა ლუმპურის ტყუპ ცათამბჯენ "პეტრონას ტაუერს".

## ჩინური ტრადიციები

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ არქიტექტორმა შუნ პინ ვანმა ქალაქ ტაიპეის მერიას 66-სართულიანი საოფისე კომპლექსის პროექტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ახალ ბიზნესცენტრში სამი ცათამბჯენი უნდა აღმართულიყო. შემდეგ, მშენებელთა მოთხოვნით, პროექტი გადაკეთდა და სამის ნაცვლად, კომპლექსი ერთშენობიანი გახდა, რამაც მისი ამაღლება გამოიწვია. პროექტის რამდენჯერმე გადაკეთების შემდეგ, ცათამბჯენი 88 სართულამდე ამაღლდა.

ქალაქის მაშინდელ მერსა და ქვეყნის ახლანდელ პრეზიდენტ ჩენ შუიბიანს ესეც ეცოტავა და არქიტექტორს შენობის კიდევ უფრო ამაღლება მოსთხოვა. იდეით, ეს უბრალოდ, მორიგი ცათამბჯენი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მშობლიური კუნძულის სავიზიტო ბარათი. როცა ამ მოთხოვნას აყენებდა, მერი უკვე აღარც კი ფიქრობდა პროექტის ღირებულებაზე.

შენობის დიზაინი უხვადაა მორთული ჩინური ტრადციების მატარებელი ორნამენტებით. "ტაიპეი 101-ის" ოთხივე მხარეს, პირველი რვასართულიანი სეგმენტის ძირში, უზარმაზარი მონეტებია დამაგრებული, რომლებმაც მის ბინადართ და მასში მომუშავეებს იღბალი და ბედნიერება უნდა მოუტანოს. სხვათა შორის, შენობისთვის სწორი ადგილის შერჩევისას, გამოყენებულ იქნა ფენშუის სწავლების ელემენტები. მათი წყალობით, "ტაიპეი 101-ზე" გაივლის სამყაროს ენერგია ცი, რომელსაც ხალხისთვის დოვლათი და ბედნიერება მოაქვს.

"ტაიპეი 101-ის" შესასვლელისთვის ადგილის შერჩევა არქიტექტორებმა ფენშუის საუკეთესოდ მცოდნე ოსტატს მიანდვეს. მანვე შეურჩია შენობას ფერი და მოსაპირკეთებელი მასალები. მთავარი არქიტექტორის თქმით, ტაივანში ფეხსაც არავინ შედგამს იმ შენობაში, რომლის აგების დროსაც არ იქნება გათვალისწინებული ძველებური ადათ-წესები. სწორედ ამ ადათისთვის გაღებული ხარკია ძვირფასი ლითონისგან ჩამოსხმული ოთხი უზარმაზარი დრაკონი, რომლებიც შენობის ოთხივე კუთხეს "იცავენ".

პინ ვანი ამბობს, რომ მას და მის კოლეგებს თავიდანვე ჩაფიქრებული ჰქონდათ თანამედროვე ცათამბჯენების ეგრეთ წოდებული საერთაშორისო სტილის ჩარჩოების დარღვევა. მათ დააპროექტეს უნიკალური სიმაღლისა და ფორმების მქონე შენობა, რომლის დანახვისთანავე ადამიანი ადვილად განსაზღვრავდა, თუ რომელ ქვეყანაშია იგი აგებული. ეს მათ მართლაც შესანიშნავად გამოუვიდათ...

## ემირატების განაცხადი

იმ დროს, როდესაც "ტაიპეი 101-ის" მშენებლობის დასრულებას დღეებიღა აკლდა, დუბაიში მედიას ემცნო ახალი სუპერკოლოსის, "ბურჯ დუბაის" პროექტის შესახებ. უფრო სწორედ, საზოგადოებისთვის ამ პროექტის არსებობა ადრეც ცნობილი იყო, მაგრამ მისი დამპროექტებელი კომპანია "ემაარ პროპერტისი" განსაკუთრებულად ასაიდუმლოებდა ინფორმაციას მისი სიმაღლის და ზოგიერთი ძირითადი პარამეტრის შესახებ.

14 დეკემბერს, სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ 2005 წლის დასაწყისში, დუბაის ახალ, 8 მილიარდ დოლარად შეფასებულ მშენებარე საქმიან უბანში, კორეული ინდუსტრიული კონგლომერატი "სამსუნგი" შეუდგება ცათამბჯენ "ბურჯ დუბაის" მშენებლობას. შენობის სიმაღლე პროექტით 795 მეტრი იქნება, მისი ყველა სართულის საერთო ფართი კი ნახევარ მილიონ კვ.მეტრს მიაღწევს. როგორც ამბობენ, მშენებლებმა უკვე დაიწყეს სამშენებლო მოედანზე ფოლადის კონსტრუქციების შეტანა. საქმიანი ცენტრისთვის გამოყოფილი თანხის მეოთხედი "ბურჯ დუბაის" მშენებლობისთვის დაიხარჯება.

პარალელურად, დუბაის იმავე რაიონში უკვე დაწყებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომლის დასრულება 2006 წლისთვისაა დაგეგმილი. ის 50, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საფეხბურთო სტადიონს დაიტევს. მის შიგნით განლაგდება არა მხოლოდ ასეულობით სავაჭრო კომპლექსი, არამედ მსოფლიოში ყველაზე დიდი მოდების საჩვენებელი კომპლექსიც. აქ მუდმივ ოფისებს გახსნიან მსოფლიოს წამყვანი მოდელიორები, რომელთა ცენტრები და მოდების საჩვენებელი კომპლექსი სპეციალურ, "მოდის კუნძულზე" განთავსდება. მოსალოდნელია, რომ მშენებლობის დასრულებიდან პირველი წლის განმავლობაში, დუბაის სავაჭრო კომპლექსს 35 მილიონზე მეტი ადამიანი მიაკითხავს.

სავაჭრო პავილიონების გარდა, კომპლექსს გასართობი სეგმენტიც ექნება, რომელიც მოიცავს სათამაშო დაწესებულებებს, რესტორნებს, დისკოთეკებს, სპორტულ არენებსა და სასტუმროებსაც კი. მიწისქვეშ განლაგდება ავტოსადგომი, რომელიც ერთდროულად 16 000 ავტომობილს დაიტევს. კომპლექსის ქვემოთ აიგება შუშის გვირაბები, რომელთა მეშვეობითაც, ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ, პირისპირ შეხვდნენ ზვიგენებს, დელფინებს და წყალქვეშა სამყაროს უამრავსა და ულამაზეს წარმომადგენლებს.

ცენტრის მთავარი ნაწილი იქნება "ბურჯ დუბაის" ბულვარი, რომელზეც ოთხი ძირითადი მოედანი განთავსდება. მათი სახელები იქნება მიწის, წყლის, ქარისა და ცეცხლის მოედანი. ბულვარი მიგვიყვანს "ტაუერ პარკთან", რომლის მთავარი ნაწილიც "ბურჯ დუბაის" ცათამბჯენი იქნება. "ტაუერ პარკი" 15 ჰექტარის ფართს დაიკავებს და მას დაამშვენებს უამრავი ფანტანი და მარადმწვანე ნარგავთა ტერასები.

არაბეთის გაერთიანებული საემიროები იმედოვნებენ, რომ საქმიანი ცენტრის მშენებლობის დასრულებისთანავე ქალაქი დუბაის მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი გახდება.


სირს ტაუერი


ბურჯ დუბაი

## ფოტოგალერეა



ჰიმნი.

ავტორი: გოგიტა ბუხაიძე

# კონკურსი სახალხო დამცველის აპარატში

1. სახალხო დამცველის აპარატში ცხადდება კონკურსი ვაკანტურ თანამდებობებზე მაღალი კვალიფიკაციის, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და მოტივაციის მქონე კადრებით დაკომპლექტების მიზნით. კონკურსის წესით დაკომლექტებულ თანამდებობის პირებს ექნებათ მაღალი შრომითი ანაზღაურება (ხელფასი).

2. კონკურსის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და საჯაროობა.

3. საკონკურსო კომისია აყალიბებს თანამდებობის პირთა შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს, რომელიც დამყარებული იქნება შერჩეული პირის ცოდნაზე, გამოცდილებასა და საზოგადოებრივ რეპუტაციაზე.

4. კონკურსი ტარდება შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა. მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობებში

ბ. მრჩეველი იურიდიულ საკითხებში.

**გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი:**

ა. დეპარტამენტის უფროსი;

ბ. მართლმსაჯულების მიმართულების ხელმძღვანელი კოორდინაციას გაუწევს სასამართლოს, პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო ორგანოების, პოლიციის, ჯარის, სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგს და რეაგირებას მოახდენს ამ სფეროში გამოვლენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე;

გ. მართლმსაჯულების მიმართულების თანაშემწე - 4 ვაკანსია;

დ. სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი აწარმოებს შრომის, განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიური უფლებების, საკუთრების უფლების, ბიზნესისა და მომხარებელთა უფლებების, უნარშეზღუდულ პირთა უფლებების, ქალთა და ბავშვთა უფლებების, საგადასახადო სისტემაში არსებულ საკითხთა მონიტორინგს და კოორდინაციას;

ე. სოციალ-ეკონომიკური უფლებების მიმართულების თანაშემწე - 4 ვაკანსია;

ვ. თავისუფლების და თანასწორობის საკითხთა მიმართულების ხელმძღვანელი ახორციელებს მონიტორინგსა და კოორდიაციას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვაზე, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე, დისკრიმნაციის საკითხებზე, უცხოელთა უფლებებზე, მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლებაზე, უმცირესობათა უფლებების დარღვევის საკითხებზე;

ზ. თანაშემწე თავისუფლების და თანასწორობის საკითხებში - 2 ვაკანსია;

თ. ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი აწარმოებს ინფორმაციის თავისუფლების, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონიტორინგს და კოორდინაციას;

ი. ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების თანაშემწე - 1 ვაკანსია.

**განათლების და ინფორმაციის დეპარტამენტი:**

ა. დეპარტამენტის უფროსი;

ბ. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი პასუხისმგებელია მედიასთან, საზოგადოებასთან, დონორებთან და ყველა დაინტერესებულ პირთან კომუნიკაციის განხორციელებაზე, ინფორმაციის შეგროვებასა და მიწოდებაზე, ვებ გვერდის განახლებაზე, საჯარო შეხვედრების და პრესკონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაზე და სხვა.

გ. განათლების მიმართულების კოორდინატორი პასუხისმგებელია სამოქალაქო განათლების მიმართულებით ყველა სახის საქმიანობაზე, მათ შორის, საპრეზენტაციო და საგანმანათლებლო მასალების მომზადებასა და გამოცემაზე, საგანამათლებლო ღონისძიებების ჩატარებაზე, ანგარიშების მომზადების კოორდინირებაზე და სხვა.

დ. ბიბლიოთეკის - სადოკუმენტაციო ცენტრის კოორდინატორი;

ე. დეპარტამენტის თანაშემწე - 7 ვაკანსია;

**ადმინისტრაციული დეპარტამენტი:**

ა. დეპარტამენტის უფროსი/ფინანსური მენეჯერი;

ბ. ბუღალტერი;

გ. განცხადებების მიღების კოორდინატორი;

დ. განცხადებების მიმღები - 2 ვაკანსია;

ე. ასისტენტი;

ვ. მდივანი - 3 ვაკანსია;

ზ. თ. ოფისის მენეჯერი/კადრების სამმართელოს უფროსი;

ი. ლოჯისტიკი

**რეგიონული ოფისები:**

**მარნეულის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

ბ. ასისტენტი

გ. მდივანი

**ქუთაისის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

ბ. ასისტენტი

გ. მდივანი

**ზუგდიდის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

**ახალციხის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

**თელავის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

**გორის ოფისი:**

ა. ოფისის ხელმძღვანელი

5. კანდიდატი დეპარტამენტის უფროსის, რწმუნებულის, მრჩევლის, სპეციალისტის თანამდებობებზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ჰქონდეს უმაღლესი განათლება (უპირატესობა ენიჭება იურიდიულ განათლებას);
- ჰქონდეს მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამის სფეროში;
- ერკვეოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებში;
- თავისუფლად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა;
- სასურველია ფლობდეს უცხო ენას.

**6. კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:**

1. პირველი ეტაპი: პირველი ეტაპისას შერჩეული იქნება საუკეთესო განცხადება-აპლიკაციების მქონე კანდიდატები,

2. მეორე ეტაპი: აპლიკაციების საფუძველზე კანდიდატების შერჩევის შემდეგ, საკონკურო-დამოუკიდებელი კომისია ატარებს გასაუბრება-კონკურსს, რომელიც საბოლოოდ შეაფასებს კანდიდატურებს თავიანთი ცოდნის, გამოცდილების, უნარჩვევბისა და რეპუტაციის გათვალისწინებით და გამოავლენს გამარჯვებულებს.

**კონკურსში მიღების მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონ:**

1. აპლიკაცია (Curricculum Vitae) და განცხადება ვაკანსიაზე სადაც ძირითად მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მიეთითოს ტელეფონის ნომერი;

2. განაცხადი: მოტივაცია და სამოქმედო გეგმა ვაკანტურ თანამდებობზე, არჩეული თანამდებობის მითითებით;

3. დიპლომის ასლი.

**საბუთების მიღება წარმოებს 11 იანვრიდან 25 იანვრამდე.**

**მხოლოდ შერჩეული აპლიკაციების მქონე კონკურსანტებს დაუკავშირდება აპლიკაციების მიმღები პირი, რომელიც აცნობებს კონკურსანტს, რომ მან გადალახა პირველი ეტაპი.**

**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე:**

**92-24-77 ან ელ.ფოსტაზე: info@ombudsman.ge**

**1 - 5 თებერვლის ჩათვლით აპლიკაციების საფუძველზე შერჩეული კანდიდატებისათვის ჩატარდება გასაუბრება-კონკურსი.**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 9 თებერვალს.**

## სკანვორდი




## TV პროგრამა

18 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "დრაკონთან შებრძოლება" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "საგნების უშიშროება" (18) (გლენ კლოუზი) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გრანდიოზული გაქცევები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "ათენი" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" მე-4ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დროში მოგზაურობა" (ბი-ბი-სი) **23.00** პროფესიონალი **23.30** მხ. ფილმი "თითქოს არაფერი მომხდარა" **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთში" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "ბუშლენდის სკოლა" **21.20** საქართველო ახალ წელს **22.40** კინოსეანსი "მყუდრო სავანე"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-2" **12.20, 17.10, 23.40, 04.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "აფრიკელი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-3" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **00.05** მხ. ფილმი "დედოფალი მარგო" (18) (ი. აჯანი) **02.25** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** კომედია "ზაზუნას დღესასწაული" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "სტარტი" **12.15** თრილერი "საკმარისია" **14.10** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "ნემეზიდის ვარსკვლავური გზა" **16.40** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "მცოცავი ქვიშა" **21.00** დრამა "ცივი მთა" **23.30** საინფ. გამოშვება **23.50** კომედია "ბუმერანგი"

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "სიყვარულის ტატუირება" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Док. детектив. "Свастика на обочине". Дело 2002 г. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Татьяна Догилева в комедии **"ОБИДА" 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Зимняя шутка с...". **19.50** Лариса Удовиченко в детективе **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА". 21.00** Время. **22.40** "Элвис Пресли". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Звезды эфира". Аркадий Райкин. **00.20** Крылья. "Короли ледяных аэропортов". **00.50** "Гении и злодеи". Никола Тесла. **01.20** Джет Ли в боевике **"УДАР ДРАКОНА". 03.05** Тим Мэтсон в триллере **"ИНОГДА ОНИ ВОЗВРАЩАЮТСЯ"**. Школьный учитель приезжает в свой родной город после 30-летнего отсутствия. Когда-то здесь произошла страшная трагедия: шайка головорезов из числа его учеников убила его брата. А затем и сами убийцы погибли во время крушения поезда. Это случилось давно. Но страшные призраки прошлого один за другим начинают вновь возвращаться... **04.40** Сериал **"ПОСЛЕДНЯЯ ГРАНИЦА"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.55** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"УСАДЬБА". 13.30** Виктор Бычков в сериале **"НА ВИРАЖЕ". 1**-я серия. **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА". 20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.40** Чрезвычайное происшествие. **00.10** Роман Полански в остросюжетном фильме **"ЖИЛЕЦ"**. Польский чиновник Трелковский живет и работает в Париже. Сняв комнату в тихом квартале, он узнает, что предыдущая квартирантка Симон Шульц по неизвестным причинам выбросилась из окна. При этом она еще жива и находится в больнице. Трелковский навещает Симон, где знакомится с ее подругой Стеллой. Попытки поговорить с Симон успехом не увенчались. Издав дикий крик, девушка умирает. С первых дней жизни в комнате Симон Трелковский начинает ощущать недоброжелательность соседей. Его постоянно в чем-нибудь обвиняют, и ему начинают мерещиться ужасы...

# დებიუტი



გუშინ "წიგნის სახლმა" ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოჩენილ ახალ ავტორსა და მის გულშემატკივრებს უმასპინძლა. ქეთევან წიქორიძე-კრესბერის ფსიქოლოგიური რომანის პრეზენტაცია "პეკინზე" მდებარე ლიტერატურულ კერაში საღამოს ხუთ საათზე დაიწყო.

მსგავსი პრეზენტაციები ძირითადად ორგვარად იყოფა ხოლმე: საზოგადოებრივად მნიშვნელოვნად და ავტორის სააxლობლო-ნათესავებისთვის ყურადსაღებად. განმასხვავებელი ნიშანიც სწორედ ამ ღონისძიებებზე შეკრებილი აუდიტორიაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუშინდელი პრეზენტაციის ავტორი დებიუტანტი მწერალია, მაშინ უფრო გასაგები გახდება, რომ პირველი წიგნის დაბადება ახალგაზრდა ქალბატონს მხოლოდ ახლობლებმა მიულოცეს.

"ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანი", - ეს განსაზღვრება საკუთარ ნაწარმოებს - "მე და მე" ავტორმა შეურჩია. წიგნი ახალგაზრდა ქალბატონის პირველი ლიტერატურული მცდელობაა, რასაც ქეთევან წიქორიძე-კრესბერმა ნახევარი წელიწადი მოანდომა.

"რომანის მთავარი გმირი 30 წლის ქალია, რომელსაც სახელი არ აქვს და ნებისმიერს შეუძლია, ის საკუთარ თავად აღიქვას. წიგნის გმირს ყველაფერი აქვს - სამსახური, მანქანა და სახლი, მაგრამ მისთვის მთავარი საკუთარ თავში ჩაღრმავება, ცხოვრების აზრისა და მიზნის ძიებაა", - ამგვარია ავტორის მიერ გადმოცემული რომანის მოკლე გადმოცემა. წიგნში მოქმედება თბილისსა და აჭარაში ხდება.

ავტორის თქმით, დიდი სურვილი აქვს წიგნი შვეიცარიაშიც (სადაც ავტორი მეათე წელიწადია, ცხოვრობს) გამოსცეს. "თუკი ნაწარმოები კარგად, ლიტერატურულად გამართულად ითარგმნება გერმანულად, სიამოვნებით გამოვცემდი. თუკი მომიწონა ქართველმა მკითხველმა, შვეიცარიაშიც შევძლებ ამას, რადგან იქ ნაკლებად პრეტენზიული და მომთხოვნი მკითხველია" - გვითხრა ავტორმა.

ქეთევან წიქორიძე-კრესბერის "მე და მე" თბილისში შპს "იმპერიალმა" გამოსცა. რამდენად მიიღებს მის სადებიუტო ლიტერატურულ ქმნილებას ქართველი მკითხველი, ამას ავტორი, ალბათ, ახლობელ-ნათესავებისგან შეიტყობს - ქეთევან წიქორიძე ამ დღეებში ისევ შვეიცარიაში ბრუნდება. გუშინდელ პრეზენტაციაზე კი დებიუტანტი მწერლის გულშემატკივრები და რომანის პირველი მკითხველები მისივე ახლობლები იყვნენ.

*24 საათი*

# ეროვნული მუზეუმი ამუშავდა

ახლადშექმნილმა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ფუნქციონირება გუშინ დაიწყო. მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორის კახა ტრაპაიძის თქმით, მუზეუმის ოფიციალური პრეზენტაცია რამდენიმე დღეში გაიმართება. საწყის ეტაპზე მოხდება მუზეუმში არსებული კოლექციების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, რათა დადგინდეს, რა ქონება გააჩნია მუზეუმს; უახლოეს მომავალში კი გამოფენების მოწყობაა დაგეგმილი. რამდენიმე დღეში გაიხსნება გამოფენა "ოქრომრავალი კოლხეთი", რომელზეც ვანში ახლადაღმოჩენილი კოლექცია იქნება გამოფენილი. "ამ ერთი წლის განმავლობაში მუზეუმში ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური ცვლილებებია დაგეგმილი, რასაც სრულიად ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება მოჰყვება," - აღნიშნა ტრაპაიძემ.

გუშინვე გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა ნოდარ ლომოურმა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების, ჯანაშიას სახელობის ისტორიის, ჩიტაიას სახელობის ხუროთმოძღვრებისა და ყოფის, გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმებისა და ლორთქიფანიძის სახელობის ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა.

*24 საათი*

# ხმაურიანი კინოპროექტი

დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მხატვრული ფილმის გადაღებას 5-7 მილიონი აშშ დოლარი დასჭირდება. განაცხადა გუშინ კინოთეატრ "ამირანში" გამართულ პრესკონფერენციაზე ფილმის სცენარის თანაავტორმა, მწერალმა დავით ტურაშვილმა. მისივე თქმით, ღია პროექტში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია. ამისათვის, მიმდინარე წლის 15 მარტამდე ყველანაირი შენიშვნა, იდეა და სცენარი მიიღება.

"მთავარი როლის შემსრულებელი აუცილებლად ქართველი იქნება. თუმცა, შესაძლოა ის არაპროფესიონალი მსახიობი და საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სახე იყოს. აქტიური მოლაპარაკებები დაწყებულია ირლანდიელ რეჟისორებთან. მათი ვინაობა, ჯერჯერობით, არ სახელდება. დეტალები ზუსტად ორ კვირაში გაირკვევა," - აღნიშნა ფილმის პროდიუსერმა ლევან კორინთელმა.

"ამ ფილმის საშუალებით ჩვენ შევძლებთ, მსოფლიოს გავაცნოთ ქართველი ხალხი და მისი დიდი ისტორია", - აცხადებენ იდეის ავტორები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ფილმი მაყურებლისთვის საინტერესო იქნება და სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ისეთ ფილმებს, როგორებიცაა "მამაცი გული", "ტროა" და "ალექსანდრე".

*24 საათი*

# საქველმოქმედო შემოქმედებითი საღამო

დღეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ცნობილი ქართველი მსახიობის სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

როგორც ფონდ "ივანანას" სამხატვრო ხელმძღვანელმა თეო ჯორბენაძემ განაცხადა, საღამოდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა საქველმოქმედო ფონდს.

ფონდი "ივანანა", რომლის პრეზიდენტიც ცნობილი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძეა, აგრძელებს საქველმოქმედო საღამოების სერიას. ოპერის თეატრში 20 იანვარს ცნობილი შემსრულებლის ბუბა კიკაბიძის საქველმოქმედო კონცერტიც არის დაგეგმილი.

*ინტერ-პრესი*

# გარდაიცვალა ვიქტორია დე ლოს ანხელესი

ოპერის ესპანელი დედოფალი, ბრონქიტით დაავადებული ვიქტორია დე ლოს ანხელესი საავადმყოფოში 31 დეკემბერს მიიყვანეს; მალე მომღერალი კომაში ჩავარდა, შაბათს კი გარდაიცვალა.

დე ლოს ანხელესი 1923 წელს დაიბადა; მისი დებიუტი სცენაზე 1945 წელს შედგა, მუსიკალური კარიერა 50 წელზე მეტხანს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ცნობილი სოპრანო პარიზის ოპერის, ლონდონის "კოვენტ გარდენისა" და ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ-ოპერას" წამყვანი სოლისტი იყო. დე ლოს ანხელესმა 1998 წელს, ერთ-ერთი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ დატოვა სცენა. ესპანელი ოპერის დედოფლის ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია მთავარი პარტიები ბიზეს "კარმენში", პუჩინის "მადამ ბატერფლაისა" და "ბოჰემაში".

# 66 მილიონი ევრო დონ კიხოტის იუბილეზე



400 წელიწადი შესრულდა სერვანტესის წიგნის "ცბიერი იდალგო დონ კიხოტი ლა მანჩელის" პირველი პუბლიკაციიდან.

წიგნი, რომელმაც 1605 წელს იხილა დღის სინათლე, ბიბლიის შემდეგ ყველაზე მეტჯერ არის გამოცემული. ამიტომაც 2002 წელს ის ყველა დროისა და ხალხის წიგნად აღიარეს. როგორც გეოგრაფიის, ისტორიის, ფილოლოგიის, მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ესპანელი მეცნიერები იუწყებოდნენ, ორწლიანი მუშაობის შემდეგ შესაძლებელი გახდა, განსაზღვრულიყო "სადღაც ლა მანჩის" (საიდანაც იწყება წიგნში მოქმედება) გეოგრაფიული მდებარეობა. საუბარია პატარა ქალაქ დე ლოს ინფანტეს ვილიანუევზე, რომელიც მადრიდიდან სამხრეთით, 225 კილომეტრზე მდებარეობს. ახლომახლო მდებარე წყნარი სოფლების მცხოვრებლები უკვე ტურისტთა დიდი ნაკადის მოლოდინში არიან. ლეგენდარული რაინდის "სამშობლოში" მასშტაბური კულტურული ღონისძიებებია დაგეგმილი. 66 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯება თითქმის ორი ათას ექსპოზიციაზე, სპექტაკლებსა და სხვა სახის ღონისძიებაზე. გამოფენებს შორის იქნება ასეთებიც - "დონ კიხოტი თანამედროვე ხელოვნებაში", "დონ კიხოტი კერამიკაში", "დალი და დონ კიხოტი".

მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, მოაწყონ ტურნე რაინდისა და მისი დამხმარე სანჩო პანსას მიერ განხორციელებული "წარმატებული ბრძოლების" ადგილებში. ეს ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მარშრუტი ევროპაში 105 სოფელზე გადის.

# ჰიტლერზე ფილმმა "ბავარიული ოსკარი" მიიღო



ფილმმა "მზის ჩასვლამ", რომელიც ადოლფ ჰიტლერის სიცოცხლის ბოლო დღეებს ასახავს, "ბავარიული ოსკარი" დაიმსახურა. ბავარიაში გამართულ კონკურსზე ფილმის სცენარის ავტორს და რეჟისორს ფოკლერ შლენდორფს - 300 ათასი ევრო, პროდიუსერს ბერნდ აიჰინგერს კი 200 ათასი ევრო გადაეცა. 63 წლის გერმანელმა მსახიობმა ბრუნო განცმა, რომელმაც ჰტლერის როლი ითამაშა, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის 100 ათასი ევრო მიიღო.

"მზის ჩასვლა" ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის და პუბლიცისტის იოაჰიმ ფესტის ნაწარმოების - "მესამე რაიხის დასასრული" და ჰიტლერის მდივანი ქალის ტრაუდლ იუნგეს მოგონებების მიხედვითაა გადაღებული.

ამ ფილმით გერმანიამ ათეულობით წლის წინ გერმანულ კინემატოგრაფიაში ჰიტლერის გამოსახულებაზე დადებული ტაბუ მოხსნა. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ისტორიაში პირველად, ფიურერი მთავარ როლში არა მყვირალა დემაგოგად, არამედ ჩუმ მეოცნებედ წარმოგვიდგა.

ფილმი ბერლინის ბუნკერში ჰიტლერის სიცოცხლის ბოლო 12 დღეზე მოგვითხრობს, მათ შორის აღწერილია მისი თვითმკვლელობაც. ფილმში გერმანელთა ბოროტი გენიოსი წარმოდგენილია გულკეთილ ადამიანად, რომელსაც შოკოლადის ტორტი უყვარს.

"მზის ჩასვლა" გერმანელი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფილმი გახდა. სურათი ბერლინში, მიუნხენსა და სანკტ-პეტერბურგშია გადაღებული. ფილმს კეთილგანწყობით შეხვდნენ კრიტიკოსები.




## თეატრები

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი საღამო
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
შალვა დადიანი
"გუშინდელნი"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ნახო ზღვა"
(რეჟისორი: ფრანსუა ოზონი)
ფასი: 1 ლარი
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 13:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 19:15; 20:00 სთ.

**ამირანი**
"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 18:00 სთ.

"მზის ჩასვლის შემდეგ"
დას: 20:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა
გამოფენა

**ჰობი**
გაიხსნება ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი
გახსნა: 17 საათზე

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**გოეთეს ინტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენა
"ვერნერ ჰერცოგი: ფილმი ფიზიკური უნდა იყოს"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა,
ქანდაკება)

ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.